პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№134 (12813) 10 ივნისი ოთხშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხიზანიშვილი რაიკაარდთან

Mirror.co.uk



>> გვერდი 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქუპერი? ჯერ არ ვიცით, გვექნება ფული, თუ არა

ქავთარაძე განმარტავს...

>> გვერდი 3



## მალე! ახალი სტადიონი

ვიტ ჯორჯიამ და ფედერაციამ ხელი ხელს დაჰკრეს

>> გვერდი 2 პრესკონფერენცია

## შენგელია ტრევიზოს კემპის ოლ სტარში



>> გვერდი 12

# ქვახაძე თითქმის გამოირიცხა



>> გვერდი 3 სანაკრებო ამბები ალბანეთიდან

# კაკა არის, ვილია იქნება, შემდეგი რონალდოა?





MARCA

ASÍ FUE SU DECLARACIÓN EN EL JUICIO DEL VOTO POR CORREO

CALDERÓN: "FELICITARÍA 5.000 VECES A NANÍN"

"Florentino es amigo mío, tengo una magnífica relación con él" • El Juez al ex presidente: "No haga consid

EL PRECIO SERÍA DE 37 KILOS MÁS PLUSES POR OBJETIVOS

ACUERDO TOTAL POR VILLA

გუშინ საღამოს „მარკას" ვებგვერდზე „რეალში" **დავიდ ვილიას** გადასვლის თაობაზე დაიწერა. როგორც ესპანური გამოცემა ამტკიცებს, **ფლორენტინო პერესმა** ვალენსიელ ფორვარდთან საბოლოო შეთანხმებას მიაღწია, ტრანსფერზე თავად „ვალენსიაც" დაითანხმა და „ჩელსი" ხახამშრალი დატოვა. ცნობილია, რომ ვილიას შეძენა **რომან აბრამოვიჩსაც** სურდა, მაგრამ ფლორენტინომ ამ ფრონტზეც იმარჯვა და რუს ოლიგარქს ბრძოლა პირწმინდად მოუგო.

„მარკას" მტკიცებით, პერესს ვილია 37 მილიონი ევრო დაუჯდა. იმ შემთხვევაში, თუ დავიდის საგოლე ნიჭი სამეფო კლუბს პრიმერა დივიზიონის ან ჩემპიონთა ლიგის მოგებაში დაეხმარება, „ღამურები" დამატებით 2 მილიონ ევროსაც მიიღებენ. მოგეხსენებათ, კაკას შეძენამდე პერესმა **კრისტიანო რონალდოს** ტრანსფერის სურვილიც გამოთქვა, ვილიაზე კი გუშინ მოგვიანებით გააკეთა კომენტარი - დავიდი გვინდა, მაგრამ ჯერ არაფერზე შევთანხმებულვართო. იქვე, პერესი დასძენს, რომ შეხვდა ვალენსიელ კოლეგა **მანუელ ლორენტეს** და ტრანსფერისთვის ნიადაგი მოსინჯა...

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენები ალბანეთში

ამხანაგური მატჩების წინ

# კვახაძე თითქმის გამორიცხულია

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ტირანაში გუშინ დილით, ჩარტერული რეისით ჩაფრინდნენ. ალბანეთის დედაქალაქში ჩვენებს დარი და სიცხე დახვდათ. აეროპორტში ქართველთა დელეგაციას 7-8 ჟურნალისტი დახვდა, მათი ნაწილი ტელევიზიის წარმომადგენელი იყო. მასმედიელთა მთავარი სამიზნე ჩვენი გუნდის თავკაცი **ექტორ კუპერი** გახლდათ. მერე კი თითო კითხვა **ზურაბ ხიზანიშვილს, ლევან კობიაშვილს, ალექსანდრე იაშვილსა** და **რატი ალექსიძესაც** დაუსვეს.

ქართველები ტირანის ცენტრში, „როგნერ ოტელში" დაბინავდნენ. ბიჭებმა ცოტა დაისვენეს, მერე ისადილეს და საღამოს მატჩისწინა ბოლო ვარჯიშები გამართეს. კუპერმა ალბანელთა მთავარ არენა „ქემალ სტაფაზე" გუნდი ადგილობრივი დროით 19 საათზე გაიყვანა. არგენტინელის განკარგულებაში 20 ფეხბურთელი იყო: **გიორგი ლომაია, ზურაბ მამალაძე, გრიგოლ ბედიაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, გურამ კაშია, დავით გიგაური, ლექსო კვახაძე, გიორგი ფოფხაძე, გიორგი შაშიაშვილი, უჩა ლობჟანიძე, ლევან კობიაშვილი, ირაკლი კლიმიაშვილი, მურთაზ დაუშვილი, ლუკა რაზმაძე, გიორგი სეთურიძე, გიორგი მერებაშვილი, ოთარ მარცვალაძე, რატი ალექსიძე, ლადო დვალიშვილი, ალექსანდრე იაშვილი.**

ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით, მოთელვის, გაწელვითი ვარჯიშისა და პასების შემდეგ, არგენტინელმა გოლკიპერები ტრადიციულად მეკარეების მწვრთნელ **მამუკა აბუსერიძეს** ჩააბარა. კუპერმა შეგირდები გამძლეობაზე 15 წუთით ავარჯიშა, შემდეგ ცალკე გაიყვანა მცველები, ხოლო ნახევარმცველებსა და თავდამსხმელებთან **ხოსე ფანტაგუციმ** იმუშავა. წვრთნის ბოლო აკორდი იყო კომბინაციები - ჯერ ერთი, მერე კი მეორე ფლანგის გამოყენებით, რაც საბოლოოდ კარში დარტყმით მთავრდებოდა. ვარჯიშში, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა, 20-დან 19 ფეხბურთელი მონაწილეობდა. კვლავაც მოედნის მიღმიდან ადევნებდა წვრთნას თვალს **ლექსო კვახაძე**. „ვიტ ჯორჯიას" მცველს კუნთი აქვს დაჭიმული, გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო და თითქმის 100 პროცენტით გარკვეულია, რომ ვერ ითამაშებს.

რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, **კახა ცხადაძემ** გუნდი ქალაქ დურეში, 17:30 საათზე ავარჯიშა. წვრთნაში 18-ივე ფეხბურთელი მონაწილეობდა: **როინ კვასხვაძე, რევაზ თევდორაძე, თორნიკე თარხნიშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, თემურ შონია, ვაჟა ნემსაძე, გულვერდ თომაშვილი, ლევან კაკუბავა, გიორგი ხიდეშელი, ვალერი ბოლქვაძე, ლაშა თოთაძე, გიორგი ივანიშვილი, დავით თარგამაძე, მიხეილ ბარაბაძე, გიორგი კბილცეცხლაშვილი, დავით ხურცილავა, გიორგი ადამაძე, ვახტანგ ფანცხავა.**

■ ■ ■

ახლა მეტოქეზეც ვთქვათ. როგორც ირკვევა **იოჟეფ კუცეს** 4 (ზოგი წყაროს ვერსიით - 5) ფეხბურთელი დააკლდა. მათ ნაცვლად ხორვატმა ახალგაზრდები დაიმატა. კუცე, რომლის თვიური ჯამაგირი სადღაც 14 ათასი ევრო ყოფილა, აცხადებს, რომ საქართველოს ნაკრების შესახებ არცთუ ცოტა იცის, და რაც მთავარია, იცის, რომ ქართველების მთავარი კოზირი ინდივიდუალური ოსტატობაა. აქედან გამომდინარე, მას მიაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებს მჭიდროდ უნდა ეთამაშო, თორემ თუ სივრცე მიეცი, აუცილებლად დაგსჯის (ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონია ბატონ კუცეს ჩვენს გუნდზე).

ბოლოს კი დღევანდელზე. დურეში, ჩვენი დროით 18 საათზე, „ნიკო დოვანაზე" ალბანეთისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი დაიწყება, 3 საათის შემდეგ კი ტირანაში, „ქემალ სტაფაზე", ერთმანეთის პირისპირ ეროვნული გუნდები წარდგებიან.

**დავით ცაგაძე**



მნიშვნელოვანი ამბავი




მარცხნიდან: ნოდარ ახალკაცი და გურამ რუხაძე

# ფედერაციამ და ვიტ ჯორჯიამ ხელი ხელს დაჰკრეს

## მცხეთაში ახალი სტადიონი იქნება

უეფა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და „ვიტ ჯორჯია" - ამგვარი თანამშრომლობის შედეგად ჩვენს ქვეყანას ნორმალური საფეხბურთო არენა უნდა შეემატოს. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მცხეთის სტადიონი ნოემბრისთვის უკვე მზად იქნება.

„ვიტ ჯორჯია" გამართული კლუბია, წლეულს მეორედ გახდა საქართველოს ჩემპიონი, თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კლუბს ყველა საკითხი მოგვარებული აქვს - „ვიტ ჯორჯია" განვლილ სეზონში საშინაო მატჩებს გორში ატარებდა. გარდა ამისა, გუნდს არ აქვს საკუთარი ბაზა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობა ამ მიმართულებითაც აპირებს მუშაობას...

გუშინ „ვიტ ჯორჯიას" ოფისში, მასმედიის თანდასწრებით, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ფედერაციასა და „ვიტ ჯორჯიას" შორის. მასპინძლების, „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტ გურამ რუხაძისა და კლუბის სხვა წარმომადგენლების გარდა, ღონისძიებაზე ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებიც მივიდნენ - პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, გენერალური მდივანი რევაზ არველაძე და ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე...

**ნოდარ ახალკაცი:** *„ეს ერთობ მნიშვნელოვანი დღეა ქართული ფეხბურთისთვის. იცით, ალბათ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემოსავლებიდან უეფა თავის წევრ ორგანიზაციებს უნაწილებს თანხას და ეს არის 4-წლიანი პროცესი. პროგრამა „ჰეთ თრიკი" გამოყოფს ფულს კონკრეტული პროექტებისთვის. ჩვენ, ფეხბურთის ფედერაციასა და „ვიტ ჯორჯიას", გვაქვს სურვილი, ერთიანი ძალით მცხეთის სტადიონზე ჩატარდეს სამუშაოები და საქართველოს კიდევ ერთი ლამაზი, კოხტა სტადიონი შეემატოს. ეს იქნება ჩვენი ერთობლივი პროექტი. ცხადია, ჩვენც და კლუბიც დაინტერესებულნი ვართ, რომ ეს სამუშაოები მალე დაიწყოს. ჩატარდება ტენდერი, რომლითაც გამოვლინდება კომპანია, „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე ხელოვნურსაფრიან მოედანს რომ დააგებს".*

**გურამ რუხაძე:** *„ეს პროექტი არა მხოლოდ ჩვენი კლუბისთვის, არამედ მთლიანად ქართული ფეხბურთისთვისაც მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება. ჩვენს სტადიონზე ბოლო თაობის, უმაღლესი ხარისხის ეროვნული საფარი დაიგება. პარალელურად წარიმართება სამუშაოები ტრიბუნის და გასახდელების კეთილმოსაწყობად. სტადიონის რეკონსტრუქციის პირველი ეტაპზე ხელოვნურ საფარს დაემატება ერთი 2-ათასიანი ტრიბუნა. ყველა ეს სამუშაო წელს ჩატარდება. მეორე ეტაპზე დაგეგმილი გვაქვს ტრიბუნის აშენება საპირისპირო მხარეს, იმავე ტევადობით. დაგეგმილია რეკონსტრუქციის მესამე ეტაპიც - ვაპირებთ ბაზის აშენებას".*

**რევაზ არველაძე:** *„როცა „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე ხელოვნური საფარი დაიგება და ტრიბუნასაც ჩაუტარდება რეკონსტრუქცია, ამ სტადიონს მიენიჭება ორი ვარსკვლავი (ხელოვნურსაფრიანი სტადიონისთვის მაქსიმალური დონე არის 3 ვარსკვლავი - დ.თ.). ფედერაცია „ვიტ ჯორჯიას" ამ საქმეში ყველანაირად დაეხმარება. ახლა ველით ტენდერის პირობებს უეფადან და ამის შემდეგ სწორედ უეფას კრიტერიუმებით მოხდება იმ კომპანიის არჩევა, რომელიც მცხეთაში უმაღლესი დონის ხელოვნურ საფარს დააგებს".*

უკვე გამოჩნდა სამი კომპანია, რომელსაც აქვს სურვილი, ხელოვნური ბალახი დააგოს „ვიტ ჯორჯიას" სტადიონზე: „გლობალი", „პოლიტენი" და „ტარკეტი". გუშინდელ ღონისძიებაზე ამ კომპანიებიდან პირველი სიტყვა „გლობალის" წარმომადგენელმა წარმოთქვა. მან გვამცნო, რომ „გლობალის" კომპანიონი არის ამერიკული კომპანია, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანაში ხელოვნური საფრის ოთხი ქარხანა აქვს და „გლობალს" საქართველოში უკვე დააგო სხვადასხვა ზომის 246 ხელოვნურსაფრიანი სტადიონი. ამავე კომპანიას დაუგია ხელოვნურსაფრიანი მოედანი ბორჯომში. კომპანიის წარმომადგენელმა გვითხრა, რომ ბორჯომის მოედანი ახლაც იდეალურ მდგომარეობაშია. „გლობალმა" გაუმზადა ხელოვნური მოედანი აზერბაიჯანულ კლუბ „გაბალას" თავის ბაზაზე. უკვე გადაწყვეტილია, რომ „გლობალი" დააგებს ხელოვნურსაფრიან მოედანს ერევანში, სომხეთის ნაკრების ბაზაზე. სხვათა შორის, „გლობალის" მომსახურებით ისარგებლა საგურამოში ფედერაციისა და „ლოკომოტივის" ერთობლივმა ბაზამაც. ამ კომპანიის ხელოვნური ბალახი წარმოადგენს 60 მმ-იან საფარს, რომელშიც ურევია ქვიშა და კაუჩუკი. „გლობალმა" ნიმუში გუშინდელ შეხვედრაზეც წარმოადგინა.

რაც შეხება „პოლიტენს", გაირკვა, რომ ესეც საკმაოდ გამოცდილი კომპანიაა. მას მინიჭებული აქვს 20-ზე მეტი 2 ვარსკვლავი და, როგორც ამ კომპანიის წარმომადგენელმა განგვიმარტა, ამ მაჩვენებლით ეს კომპანია არის ლიდერი. „პოლიტენს" ემსახურებიან გერმანელი სპეციალისტები, რომლებიც საქმეს იწყებენ დრენაჟის დადებით, რამეთუ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია ხელოვნურსაფრიანი მოედნის მშენებლობაში.

კომპანია „ტარკეტი" შერეული საფრის ტექნოლოგიით არის ცნობილი - ხელოვნური და ბუნებრივი მინდორი ერთმანეთშია არეული. „ტარკეტის" წარმომადგენლის ინფორმაციით, ამ კომპანიის მომსახურებით ისარგებლეს „ბარსელონამ", „მანჩესტერ იუნაიტედმა", „აიაქსმა", „ჩელსიმ", მოსკოვის ცსკა-მ, კიევის „დინამომ", დონეცკის „შახტარმა"... კომპანია „ტარკეტი" 8-წლიან გარანტიას იძლევა, 24-საათიანი ყოველდღიური დატვირთვის რეჟიმშიც კი. ამ კომპანიის წარმომადგენელმა **კობა ახალკაცმა** ისიც გვითხრა, რომ „ტარკეტის" საფარი უძლებს -55 გრადუს ყინვასა და +70 გრადუს ტემპერატურას.

როგორც შევიტყვეთ, ტენდერში გამარჯვებული დამდეგ კვირას გაირკვევა. ფეხბურთის ფედერაცია და „ვიტ ჯორჯია" გადაწყვეტილებას ერთობლივად მიიღებენ.

**დავით თავართქილაძე**

საავარაუდო ტრანსფერი

# THE MIRROR: ხიზანიშვილი გალათასარაიში მიდის

ბრიტანული „მირორის" ინფორმაციით, „ბლექბერნი" მზადაა, **ზურაბ ხიზანიშვილი** „გალათასარაიში" გაყიდოს. თურქული კლუბის წარმომადგენლები ინგლისში მოსალაპარაკებლად ამ კვირაში ჩავლენ. დიდი შანსია, ჩვენი თანამემამულე **ფრანკ რაიკაარდის** პირველი შენაძენი გახდეს. კონტრაქტის შესათანხმებლად ნისლიან ალბიონზე სტამბოლური კლუბის დირექტორი **ემრე გუნგორ სერვეთი** ჩაფრინდება.

იმავე „მირორის" თქმით, 27 წლის ხიზანიშვილი მონადინებულია, ჰქონდეს ხშირი სათამაშო პრაქტიკა და არ გამორიცხავს „გალათასარაიში" გადასვლას, თუკი თურქული კლუბის ხელმძღვანელობასთან პირად კონტრაქტს შეათანხმებს. „ბლექბერნის" თავკაცი **სემ ელერდაისი** თანახმაა, გაუშვას ქართველი ფეხბურთელი და მის სანაცვლოდ კლუბმა მცირე სატრანსფერო თანხა მიიღოს. ელერდაისი დაინტერესებულია „მარსელის" **რენატოსა** და „ტოტენჰემის" **პასკალ შიმბონდას** შეძენით. წლევანდელ სეზონში ზურამ „ბლექბერნის" მაისურა სულ 12-ჯერ (5 პრემიერლიგა, 4 თასი, 3 ლიგის თასი) მოირგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდზე და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლექსო კვახაძე

ვიტ ჯორჯია

# ჩემპიონს ლექსო არ ეთმობა

საქართველოს ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ" ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო. გაირკვა თარიღიც, თუ როდის წავა **რამაზ მუმლაძის** გუნდი უცხოურ შეკრებაზე - ვიტჯორჯიელები ყირიმში 24 ივნისს ჩავლენ და კრიმტეპლიცაში ორი კვირით დარჩებიან.

რაც შეეხება სატრანსფერო პოლიტიკას, „ვიტ ჯორჯიას" ახალი ფეხბურთელი ჯერ არ აუყვანია, თუმცა არის ერთი საინტერესო სიახლეც - „ვიტ ჯორჯიამ" მოლაპარაკება დაიწყო **ალექსანდრე კვახაძესთან.** ახოვანი ცენტრალური მცველი „ვიტ ჯორჯიაში" 2002 წლიდან თამაშობს და კლუბთან კონტრაქტი ახლახან დაუსრულდა. ის უკვე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელია (პირველად ეროვნულ გუნდში **კლაუს ტოპმიოლერმა** მიიწვია) და კარიერის უცხოეთში გაგრძელება სურს, თუმც რადგან „ვიტ ჯორჯიამ" მას ახალ კონტრაქტზე ჩამოუგდო სიტყვა, ალბათ, შანსიც არის, რომ კვახაძემ ისევ ამ გუნდში ითამაშოს.

„ვიტ ჯორჯიას" მალე ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მოუწევს ბრძოლა და კვახაძე ევროსარბიელზეც ძალიან გამოადგება.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

ვახტანგ ფანცხავა

**ვახტანგ ფანცხავა** იმედოვნებს, რომ მომავალი სეზონი მისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდება და „ლე მანის" შემადგენლობაში გამოჩნდება. ზაზა ჯანაშიასავით ჯანმაგარი თავდამსხმელი ორი წელია, საფრანგეთში ვარჯიშობს და მიიჩნევს, რომ იქაურ მოთხოვნებს უკვე ალღო აუღო. მიუხედავად მის მიმართ დიდი ინტერესისა, რუსთავში, მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან, ფანცხავამ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მეორე შეხვედრა ჩაატარა. 19 წლის ფორვარდს ლატვიასთან 2007 წელს „ამერის" სტადიონზე გამართული მატჩის შემდეგ „ჯვაროსნების" ფორმა არ მოურგია. ბევრს აინტერესებდა უცნობი ქართველის ხილვა და ვფიქრობ, იმედი არ გაგვიცრუვდა - ევროპაში საქართველოს პერსპექტიული მოთამაშე ეზრდება. მოძრავი, ენერგიული, სახიფათო და მუდამ საჭირო ადგილას მყოფი ფორვარდი მოლდოვასთან შეცვლაზე შევიდა, მაგრამ სამი საგოლე მომენტი შექმნა...



ვახტანგ ფანცხავა

ფეხბურთის ფედერაცია

## გოგი ქავთარაძე:

# ქუპერი? ჯერ არ ვიცით, გვექნება ფული თუ არა

ეროვნული ნაკრების წარუმატებლობები ძალაუნებურად წარმოშობს კითხვას - უნდა დარჩეს თუ არა პოსტზე **ჰექტორ კუპერი?** გუშინდელ „ლელოში" ამასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **უჩა უგულავამ**, რომელიც მომხრეა, არგენტინელთან კიდევ ორი წლით გაგრძელდეს ხელშეკრულება. ახლა კი ამ საკითხზე აზრის გამოთქმა ფედერაციის კიდევ ერთ ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძეს** ვთხოვეთ.

*„ჯერ არ ვიცით, გვექნება თუ არა დაფინანსება უცხოელი მწვრთნელისთვის. თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაფერი ერთი თვის განმავლობაში უნდა გაირკვეს. თავად კუპერის პოზიციაც გასათვალისწინებელი იქნება",* - გვითხრა ქავთარაძემ.

უცხოელ მწვრთნელებთან (**კლაუს ტოპმიოლერი** და კუპერი) კონტრაქტებისთვის ფულს სახელმწიფო იხდიდა და ცხადია, თუ ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ არ იცის, აპირებს თუ არა ხელისუფლება კიდევ გაიღოს მილიონები ნაკრების მწვრთნელისთვის, ამ ეტაპზე კონკრეტულს ვერაფერს იტყვის.

ერთი თვეც მალე გავა და თუ სახელმწიფო კვლავაც დააფინანსებს პროექტს - „სახელგანთქმული უცხოელი მწვრთნელი საქართველოს ნაკრებში" (პირობითად რომ ვთქვათ), დიდი შანსია, რომ კუპერმა მომდევნო შესარჩევშიც უთავკაცოს ჩვენს ეროვნულ გუნდს.

*„თუ სახსრები ვერ მოვიძიეთ, ქართველი მწვრთნელის მოწვევაზე უნდა ვიზრუნოთ, თუმცა... თემურ ქეცბაიამ „ოლიმპიაკოსთან" კონტრაქტი გააფორმა, შოთა არველაძეც სადაცაა „ალკმაართან" ახალ ხელშეკრულებას მოაწერს ხელს... ვნახოთ, არიან სხვა ქართველი მწვრთნელებიც, მაგრამ ახლა კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ. თუ ქართველი სპეციალისტის ვარიანტი არ გამოვიდა, უმჯობესი იქნება, კუპერს მომდევნო შესარჩევ ციკლშიც ვაცალოთ მუშაობა, ვიდრე სხვა უცხოელი მოვიწვიოთ",* - განგვიმარტა ქავთარაძემ.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს იმ კომისიაზეც ვკითხეთ, საეჭვო თამაშებზე დასკვნების გასაკეთებლად რომ უნდა შეიქმნას. ასეთი კომისია რომ უნდა ჩამოყალიბდეს, ფედერაციის აღმასკომმა უკვე დაადგინა, მაგრამ კომისია ჯერ არ ჩანს.

*„კომისიის შექმნა მომავალ კვირაში უნდა დასრულდეს. ადრეც გაუწყეთ, რომ ფედერაციის სურვილია, მასში ჟურნალისტებიც შევიდნენ და ახლა გაზეთების რედაქტორებისგან ველით პასუხს იმ კონკრეტულ ჟურნალისტებზე, რომელთაც კომისიაში რეკომენდაციას გაუწევენ. მედიელების გარდა, კომისიაში შევლენ ვეტერანებიც და იურისტებიც. სავარაუდოდ, კომისია 12-კაციანი იქნება",* - გვამცნო ქავთარაძემ.

ბოლოს კი ისევ მწვრთნელზე. როგორც ხედავთ, ფეხბურთის ფედერაცია ამჯერადაც ვერ იქნება დამოუკიდებელი ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელის შერჩევაში. სახელმწიფო ხარჯავს ფულს ნაკრების უცხოელი მწვრთნელისთვის - ალტერნატიული მიმართულება, თუ როგორ შეუძლია ხელისუფლებას ფეხბურთის დახმარება, ჯერ არ ჩანს. სახელმწიფომ რომ აღარ დააფინანსოს ზემოთ ხსენებული პროექტი, ალბათ, არც შესაფერისი ქართველი მწვრთნელის გამოძებნა იქნება იოლი....



გოგი ქავთარაძე

**დავით თავართქილაძე**

# ახალი სეზონიდან ლე მანში უნდა გვათამაშონ

**- ვახტანგ, „ლე მანში" შენს გამოსვლაზე მწირი ინფოირმაცია გაგვაჩნია. სეზონში რამდენი შეხვედრა გამართე და რამდენჯერ გაიტანე?**

- ბევრი არ მითამაშია და ძალიან ცოტა გავიტანე, სულ რაღაც ექვსი გოლი.

**- როგორც ვიცი, ტრავმების გამო, ძალიან დიდი დრო დაკარგე.**

- დრო მხოლოდ ტრავმის გამო არ გამიცდა, სხვა მიზეზებიც იყო. ჯერ ფეხი მტკიოდა, შემდეგ წელი, რა დასამალია და წონის გამოც პრობლემა მქონდა, მაგრამ შემდეგ მოვუარე და ახლა სასურველ ფორმაში ვარ.

**- ბოლო შეხვედრაში დუბლი შეასრულე - განსაკუთრებულად მოტივირებული იყავი?**

- არა, ვითამაშე ისეთი განწყობით, როგორც ყოველთვის. უბრალოდ, საფრანგეთში დუბლი პირველად შევასრულე და ამან ძალიან გამახარა.

**- რა დასამალია და, ფეხბურთელისთვის უჩვეულო წონით თამაშობ.**

- ეს მცდარი აზრია, რადგან ძვალმსხვილი ვარ და სხვისთვის ზედმეტი წონა, ჩემთვის ნორმაა. წონა ხელს არც მიშლის, მაგრამ ფრანგებს თავისი მოთხოვნები გააჩნიათ და რასაც მეუბნებიან, უნდა გამეკეთებინა. მაგალითად, მე 86-კილოთი ვთამაშობ და ეს ჩემთვის ნორმალურია.

**- მეორე წელია, „ლე მანში" თამაშობ და წესითა და რიგით, უკვე დროა, ძირითადში ზოგჯერ მაინც გამოჩნდე.**

- მეც ასე ვფიქრობ და მომავალ სეზონს დიდი იმედით ველოდები. დარწმუნებული ვარ, წელს შეცვლაზე მაინც მათამაშებენ.

**- ტრავმის გარდა კიდევ რამ შეგიშალა ხელი?**

- ტრავმებმაც და ასაკმაც. „ლე მანს" ბევრი თავდამსხმელი ჰყავდს, დაძაბული სატურნირო მდგომარეობა იყო და მწვრთნელი ჩემს თამაშს ვერ რისკავდა. არადა, ვგრძნობ, რომ შემიძლია თამაში და კონკურენტებსაც არაფრით ჩამოვრჩები. საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ, ხელმძღვანელობა მაიმედებს და წელს უნდა ვითამაშო.

**- კონკრეტულად ვინმე რამეს გპირდება?**

- ვიცე-პრეზიდენტსა და მწვრთნელს ვესაუბრე, რომ არა შენი გამოუცდელობა, წელსაც გათამაშებდითო. შეიძლება, კონკურენტებს ვჯობივარ, მაგრამ ახალგაზრდა ვარ და მოცდა მიწევს. საერთოდ, საფრანგეთი გასაზრდელად მაგარი ადგილია, ძლიერი სპეციალისტები არიან და ვგრძნობ, იქაურმა ვარჯიშებმა ძალიან გამზარდა.

**- ტრავმების გამო ნაკრებში მხოლოდ მეორე შეხვედრა ჩაატარე. არადა, სანაკრებო სტატისტიკა ფეხბურთელებისთვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.**

- რა თქმა უნდა, საწყენია, მხოლოდ ორჯერ რომ ვითამაშე, მაგრამ მე უპირველესად „ლე მანში" თამაშები მჭირდება და არა სტატისტიკაზე ზრუნვა. მერე ყველაფერს მოევლება. სტატისტიკაზე ფიქრი ნაადრევია. გუნდითა და წინსვლის პერსპექტივით კმაყოფილი ვარ. თუმცა, ძირითად შემადგენლობაში უთამაშებლობით, მაგარი უკმაყოფილო ვარ. ძირითადი გუნდის ფეხბურთელობა სხვა სტატუსია, უფრო მშვიდადაც ხარ და უფრო თავისუფლადაც თამაშობ.

**- უცხოეთში მარტოობა ძნელი გადასატანია. „ლე მანში" ეს პრობლემა არ შეგექმნება - სამი ქართველი თამაშობთ.**

- ეს „ლე მანის" კიდევ ერთი პლუსია. მარტო უცხოეთში ცხოვრება ძალიან რთულია. გული მწყდება, რომ ტრავმის გამო, გიორგი მაკარიძეს თავის გამოჩენის შანსი არ ჰქონია. ამირან სანაია კი სტაბილურად თამაშობდა და ალბათ, წელს ძირითადში მოხვედრის შანსი მიეცემა. მთავარია, რომ სამივეს თავის გამოჩენის შანსი გაგვაჩნია.

**- უცხოეთსა და საქართველოში მოთამაშეებს შორის კლასში დიდი განსხვავებაა?**

- ასე ნამდვილად ვერ ვიტყვი. ნაკრებში შეკრებილი ყველა ფეხბურთელი ნიჭიერი ბიჭია.

**- მათ ფიზიკურ მომზადებაზეც იგივე შეგიძლია გვითხრა?**

- თქვენ გგონიათ, ისინი ჩემს ლემანელ თანაგუნდელებზე ნაკლებს დარბიან? განსხვავება ისაა, რომ საფრანგეთში გაცილებით უკეთესი აღდგენითი სისტემაა, რადგან ფინანსურად მეტი საშუალებაა. ჩვენთან კი, ბევრ გუნდს ელემენტარული სამედიცინო მომსახურება არ გააჩნია.

**მერაბ მამულაშვილი**

გრანდიოზული პროექტი

# 15 ბრაზილიელი ქართველი ივნისისთვის

გუშინდელ „ლელოში" გაგაცანით ბრაზილიაში მცხოვრები ქართველი მწვრთნელის **გოჩა ალადაშვილის** ინიციატივა ბრაზილიურ-ქართული კლუბის ჩამოყალიბებაზე, რაც ითვალისწინებს ამ სუბიექტის მონაწილეობას საქართველოს ჩემპიონატში. „ატლეტიკო პარანაენსესა" და რუსთავის „ოლიმპს" შორის მოლაპარაკება დაწყებულია.

„ატლეტიკოს" პრეზიდენტი 15 მოთამაშის საქართველოში გამოშვებაზე დათანხმდა, „ოლიმპი" კი, თავის მხრივ, მათ ამდენივე ქართველ ფეხბურთელს დაახვედრებს. სხვათა შორის, ბრაზილიელები თანახმანი არიან, რომ თავიანთ მოთამაშეებს ხელფასი თავადვე გადაუხადონ, რადგან, თქვენ წარმოიდგინეთ, „ოლიმპი" მათ ევროპაში ტრამპლინად ესახებათ - ასეთი შემადგენლობით, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე „ოლიმპის" გასვლა სავსებით რეალურია.

როგორც ვთქვით, „ატლეტიკო პარანაენსესთან" პირობები შეთანხმებულია, ახლა საბოლოო სიტყვა ქართველებმა უნდა თქვან. მიმდინარე მოლაპარაკების თაობაზე კომენტარს ორივე მხარე ერიდება. ჯერჯერობით, წერტილი დასმული არ არის და, აქედან გამომდინარე, ბრაზილიელებიც და ქართველებიც ფრთხილობენ.

რუსთავის „ოლიმპის" ვიცე-პრეზიდენტმა **ზურაბ ჯაფარიძემ** მოლაპარაკების მიმდინარეობაზე მცირე კომენტარი მაინც გააკეთა: *„ჯერჯერობით, ეს მხოლოდ მოლაპარაკებებია და არ შემიძლია, ვთქვა, რომ „ატლეტიკო პარანაენსე" და „ოლიმპი" თანამშრომლობის ხელშეკრულებას აუცილებლად გააფორმებენ. ახლა მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ საკითხი 15 ივნისისთვის გადაწყდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

იუბილე

თემურ მახარაძე 60

# მე რომ წავედი, ზესტაფონი ჩემპიონობის კანდიდატი იყო...

**პარადოქსულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და არანაკლები პარადოქსები ხდება ქართულ ფეხბურთშიც. აბა, სხვა რა უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, რომ კვალიფიციური მწვრთნელების მწვავე დეფიციტის პირობებში უკვე მერამდენე თვეა უმუშევარია თემურ მახარაძე; ჩვენი ფეხბურთის კვალობაზე ერთობ აღიარებული მწვრთნელი, 30 წლის (!) განმავლობაში სხვადასხვა გუნდთან ერთად უამრავ წარმატებას რომ მიაღწია. ქართული სამწვრთნელო სკოლის ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და ავტორიტეტულ წარმომადგენელს, კარიერის განმავლობაში, პარადოქსები და უცნაურობები მუდამ თან სდევდა: გაჭირვებული გუნდის გადასარჩენად დაუძახებდნენ, მერე კი, ერთი-ორი სეზონის შემდეგ... კარისკენ მიუთითებდნენ. ოღონდ, უფრო მეტი პარადოქსი თუ უცნაურობა იმაში მდგომარეობდა, რომ დროის ამ პერიოდში მახარაძე-მწვრთნელი ჯერ იმ გუნდს გადაარჩენდა, მომდევნო სეზონში საპრიზო სამეულსა თუ თასის ფინალში გაიყვანდა, და აი, სწორედ მაშინ აიძულებდნენ წასვლას...**

**...თემურ მახარაძეს დღეს იუბილე აქვს - 60 წელი შეუსრულდა. წარმატებულ და გამოცდილ მწვრთნელს „ლელო" ამ ლამაზ თარიღს ულოცავს და, უპირველეს ყოვლისა, ფეხბურთში მალე დაბრუნებას უსურვებს. გვჯერა, რომ ყოველივე ეს მალე იქნება. მანამდე კი, იუბილარ მწვრთნელთან ინტერვიუ...**



**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- არაფერს, ვისვენებ...

**- პაუზა დიდხანს ხომ არ გაგიგრძელდათ?**

- ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში ოთხ-ხუთთვიანი პაუზა რამდენჯერმე მქონია, მაგრამ ამხელა - არასდროს; 2008 წლის 30 ნოემბერს ჩემმა განვრთნილმა „ზესტაფონმა" ბოლნისის „სიონს" რომ მოუგო, იმის მერე არ მიმუშავია.

**- მერე, მწვრთნელობა არ მოგენატრათ?**

- მთელი ცხოვრება ერთ საქმეს რომ ემსახურები, რა თქმა უნდა, გაგიძნელდება ამხელა შესვენების აღება. თუმცა, მეორე მხრივ, „ამოსუნთქვაც" საჭირო იყო - არ არის ადვილი ყოველდღიური სტრესის ატანა.

**- ამ ექვსი თვის განმავლობაში თქვენი სამსახურით არავინ დაინტერესებულა?**

- არ დაგიმალავთ: სანამ მეოცე ჩემპიონატი მორჩებოდა, მეორე ეტაპზე აქაური კლუბებიდან ორი წინადადება მქონდა; თუმცა უარი ვთქვი...

**- დასვენება კარგია, მაგრამ, იმედია, ქართულ ფეხბურთში განვითარებულ პროცესებს თვალს ადევნებდით. როგორ ფიქრობთ, გასულ სეზონში ადგილები ლოგიკურად განაწილდა?**

- ჩემი აზრით, „ვიტ ჯორჯიაც" და „დინამოც" თანაბრად იმსახურებდნენ ჩემპიონობის შანსს - ორივე გუნდი ღირსი იყო წარმატებისთვის. ერთსაც ვიტყვი: „ზესტაფონიდან" რომ წამოვედი, იმ მომენტში „ვიტ ჯორჯია" ოთხი ქულით გვისწრებდა, „დინამო" - ორით; ანუ, ჩემპიონობაზე ფიქრიც თავისუფლად შეგვეძლო, არათუ მესამე ადგილის შენარჩუნება. მით უმეტეს, რომ უახლოეს მდევარს „ოლიმპს" იმ დროისთვის ცხრა ქულით ვუსწრებდით...

**- თქვენი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში რატომ ხდებოდა ისე, რომ გუნდთან წარმატების მიღწევის მერე... წასვლას გაიძულებდნენ?**

- ხშირად გამიგია - ყველა მწვრთნელს, შესაბამისი შედეგის მისაღწევად, გარკვეული დრო სჭირდებაო; ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ვეთანხმები - თუ მწვრთნელს საკმარისი კვალიფიკაცია აქვს, შედეგსაც სწრაფად უნდა მიაღწიოს. ჩემ შემთხვევაში კი, რა გითხრათ... ალბათ, კლუბების ხელმძღვანელებს, მერე და მერე, უფრო მეტი ამბიცია უჩნდებოდათ... არადა, გუნდს გავარდნისგან რომ გადავარჩენდი, მომდევნო სეზონში საპრიზო სამეულში შევიყვანდი, მაგრამ...

**- ამაზე მერე ვისაუბროთ, ახლა თქვენი კარიერის დასაწყისზე გკითხავთ, ოღონდ, ჯერ როგორც ფეხბურთელის.**

- თბილისის „ლოკომოტივის" ჭაბუკთა გუნდში და „დინამოს" დუბლებში ვთამაშობდი. თუმცა, ვაღიარებ, რომ გამიმართლა - ნოდარ ახალკაცი-უფროსთან მომიწია გარკვეული პერიოდი მუშაობამ. „ლოკომოტივში" ყოფნის პერიოდს ვგულისხმობ - იმ დროს მწვრთნელ-ახალკაცს არავინ იცნობდა; თუმცა, მისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, შემდგომში რომ გამომადგა.

**- მწვრთნელობა თავიდანვე გადაწყვეტილი გქონდათ?**

- ასე ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა მალე მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე უნდა ყოფილიყო. აი, ახლაც: ერთი წამითაც არ ვნანობ, ეს პროფესია რომ ავირჩიე.

**- დამოუკიდებლად მუშაობის პირველი შთაბეჭდილებები გაიხსენეთ...**

- ასეთი გუნდი იყო: თბილისის „ავტომობილისტი", სადაც ჯერ მოთამაშე-მწვრთნელი ვიყავი, მერე კი მთლიანად მწვრთნელობაზე „გადავერთე". ეს გუნდი საქართველოს მაშინდელი პირველობის მეორე ჯგუფიდან პირველში გადმოვიყვანე. მომდევნო სეზონში კი ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა საკავშირო ჩემპიონატის მეორე ლიგაში გადასასვლელად. არადა, ძირითადი ბირთვი ჭაბუკები იყვნენ: 35-ე სკოლიდან მეათეკლასელი ბიჭები წამოვიყვანე, ძმები მეშკოვები და ავთანდილ ნარიაშვილი მოვიყვანე, ასევე სრულიად ახალგაზრდები რომ იყვნენ...

**- საყოველთაოდ ცნობილია, რომ თემურ ქეცბაიას ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიგიძღვით.**

- გლდანის სპორტ-ინტერნატში მუშაობის დროს თემურის გარდა კიდევ ორი გამორჩეული შეგირდი მყავდა - გიორგი ნადირაძე და კობა ხარჩილავა; თუმცა, ქეცბაიას, მაინც, განსაკუთრებული მონაცემები ჰქონდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალიან მაღალ დონეზე შეძლებდა თამაშს. ერთ შემთხვევას გავიხსენებ: კიევში პროფკავშირების ნაკრებების საკავშირო ტურნირი ტარდებოდა და ქეცბაიამ, მართლაც, შთამბეჭდავად ითამაშა. უკრაინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, კიევის „დინამოსა" და სსრკ ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა ვიტალი ხმელნიცკიმ რა აღარ ილონა, ქეცბაია რომ... კიევში დაეტოვებინა! უნივერსიტეტს დავამთავრებინებ, კიევის „დინამოში" ჩავრიცხავ და დისშვილს ... ცოლად გავატანო - კაცს, მეტი რაღა უნდა ეთქვა? მაგრამ, ცოცხალი თავით არ დავანებე და მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ქეცბაია თბილისის „დინამოშიც" დაიმკვიდრებდა ადგილს და უფრო მაღალ დონეზეც ითამაშებდა.

**- ეროვნულ ჩემპიონატზეც „გადავიდეთ"...**

- 1992 წელს თელავის „კახეთი" უმაღლესი ლიგიდან ვარდებოდა და საშველად მიხმეს. სწორედ ჩემს დროს ჰქონდა დებიუტი სრულიად ახალგაზრდა გიორგი დემეტრაძეს, ვისი „საქმეში ნახვაც" ბესო კირვალიძემ მირჩია. მერე, როგორი კარიერა ჰქონდა დემეტრაძეს, ვფიქრობ, ზედმეტია საუბარი.

**- თელავის მერე უკვე „დინამოში" იყავით...**

- გივი ნოდიას ვეხმარებოდი და, მართლაც დაუვიწყარი დრო იყო - გუნდში ხომ ქინქლაძე, ჯამარაული, ძმები არველაძეები თამაშობდნენ; მერე „დინამოს" მეორე გუნდის გაწვრთნა შემომთავაზეს და... პარალელურად „მერანი 91"-ში ვმუშაობდი. იმ სეზონში მეორე ჯგუფში პირველ-მეორე ადგილები სწორედ „დინამო 2"-მა და „მერანი 91"-მა დაიკავეს.

**- მერე, ასეთი რამე შეიძლებოდა? ანუ, ერთდროულად ორ გუნდში მუშაობას ვგულისხმობთ.**

- შეიძლებოდა... ისე, „მერანთან" განსაკუთრებული მოგონებები მაკავშირებს - უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონში მეოთხე ადგილზე გავედით და თასის ნახევარფინალამდეც მივაღწიეთ. არავინ რომ არ ელოდა, გუნდმა „ინტერტოტოს თასის" საგზური მოიპოვა და არც იქ შეგვირცხვენია თავი - ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავეთ; სხვათა შორის, ავსტრიულ „რიდს" სტუმრად 3:1 მოვუგეთ.

**- ამის მიუხედავად, „მერანიდან" წამოსვლამ მაინც მოგიწიათ; მერე, იგივე განმეორდა თბილისის „ლოკომოტივშიც"...**

- „ლოკომოტივი" რომ ჩავიბარე, ბოლო ადგილზე იყო, შემდეგ, ჯერ მეოთხე ადგილზე გავედით, მერე - მესამეზე; საქართველოს თასზე კი ერთმანეთის მიყოლებით ვაჯობეთ თბილისისა და ბათუმის „დინამოს", თუმცა ნახევარფინალში წყალტუბოს „სამგურალთან" ორი შეხვედრის ჯამში დავმარცხდით. მოკლედ, წამოვედი, თუმცა გუნდმა უეფას თასის საგზური მოიპოვა. გეხსომებათ, „ლოკომოტივმა" საბერძნეთის „პაოკთან" 0:7 რომ წააგო, იმის მერე... კვლავაც უკან დამაბრუნეს.



2008 წლის 16 მაისი. საქართველოს თასის ფინალი. ზესტაფონი-ამერი 2:1 ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- თუ არ ვცდებით, გარკვეული დრო „ვიტ ჯორჯიაშიც" მუშაობდით.**

- თერთმეტი თვე ვიყავი და, სხვათა შორის, თბილისის „დინამო" თასიდან გამოვთიშეთ.

**- ალბათ ადრევე უნდა გვეკითხა: თქვენს გაწვრთნილ გუნდებს „დინამოსთან" შეხვედრებში თითქმის ყოველთვის დადებითი ბალანსი ჰქონდათ...**

- ჯერ ერთი, „დინამოსთან" მატჩის წინ ნებისმიერ ფეხბურთელს განსაკუთრებული მოტივაცია არ სჭირდება. საერთოდ კი, გეთანხმებით - „დინამოსთან" შეხვედრებში ჩემს გუნდებს აშკარად დადებითი ბალანსი ჰქონდათ; მხოლოდ „ზესტაფონის" მაგალითს მოვიყვან: ოთხი წლის განმავლობაში თასზეც და ჩემპიონატზეც, თუ არ ვცდები, 16-ჯერ ვეთამაშეთ და მხოლოდ სამჯერ დავმარცხდით, დანარჩენ შემთხვევებში, ვიმარჯვებდით ან ფრეს ვთამაშობდით.

**- თქვენს სამწვრთნელო კარიერაზე ვსაუბრობთ და ბოლნისის „სიონი" არ გვიხსენებია - ამ გუნდთან ერთად ხომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეთ.**

- „სიონი" რომ ჩავიბარე, ეს გუნდიც ბოლო ადგილზე იყო; მომდევნო სეზონში კი თასის ფინალში გავედით და უეფას თასის საგზური მოვიპოვეთ. აღარაფერს ვამბობ 2004 წლის, მართლაც მოგონილ, „ოქროს მატჩზე". ფაქტობრივად, ჩემპიონობა ძალით წაგვართვეს! დებულება სეზონის ბოლოსკენ შეცვალეს, თორემ უშუალო კონკურენტ „ვიტ ჯორჯიასთან" ყოველმხრივ უპირატესობას მივაღწიეთ - მოგებაც მეტი გვქონდა და ურთიერთშეხვედრებშიც ვჯობნიდით. ეგ კი არა, მეორე ადგილიც წაგვართვეს და მეექვსეზე დაგვაქვეითეს - ტრიბუნიდან ვიღაც გადმოხტა და გუნდი რა შუაში იყო?

**- თასის ფინალებზეც არაფერი გითქვამთ - შარშანდლამდე, „ზესტაფონთან" ერთად მუდამ რომ მარცხდებოდით;**

- ნერვიულობა, უიღბლობა, არც ვიცი, რას დავაბრალო, სულ მცირედი გვაკლდებოდა. კიდევ კარგი, შარშან მაინც მოვახერხეთ თასის მოპოვება და ზესტაფონელი ერთგული ქომაგის გახარება.

**- გულახდილად გვითხარით: „ზესტაფონიდან" რატომ წამოხვედით?**

- მთავარი მწვრთნელობიდან საკუთარი სურვილით გადავდექი - ოთხი წლის განმავლობაში, მართლაც, დავიღალე ყოველდღიური სტრესული მუშაობით. კლუბის პრეზიდენტს ილია კოკაიასაც არ უნდოდა ჩემი წამოსვლა, მერე მცირე ხნით კლუბში სპორტულ დირექტორად დავრჩი, მაგრამ რაღაც გაუგებრობა მოხდა და...

**- გული არ გწყდებოდათ, „დინამოში" ან საქართველოს რომელიმე ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელობას რომ არ გთავაზობდნენ?**

- ორივეგან მუშაობა ნებისმიერი მწვრთნელისათვის უდიდესი სტიმული და გამოწვევაა; საუბრის დონეზე ერთი-ორჯერ იყო რაღაც შემოთავაზების მსგავსი, მაგრამ ამის იქით საქმე აღარ წასულა... ერთი შემთხვევაც მინდა გავიხსენო: თელავში რომ ვმუშაობდი, უფროსმა ნოდარ ახალკაცმა დამიბარა და ფედერაციის მაშინდელ გენერალურ მდივანს დაუბარა, რომ საქართველოს ნაკრების ყველა გასვლით შეხვედრაში დელეგაციის წევრად ჩავესვი. სამწუხაროდ, ბატონი ნოდარი მალე გარდაიცვალა...

**- ანუ, ცოტა არ იყოს, ნაწყენიც ჩანხართ...**

- ნაწყენი არავისზე ვარ, უბრალოდ, ხანდახან უცნაურად მეჩვენება ხოლმე ის ფაქტი, როცა წლიწადის განმავლობაში უამრავი საზღვარგარეთული სამწვრთნელო სემინარი ტარდება და ერთხელაც არავის გავხსენებივარ. ისე, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ გაიოზ დარსაძე მართლაც დიდ საქმეს აკეთებს ქართველ მწვრთნელთა განათლების საქმეში.

**- სხვათა შორის, ბევრმა თქვენმა ყოფილმა შეგირდმა მწვრთნელობა გადაწყვიტა და არცთუ ურიგო წარმატებებიც აქვთ.**

- მიხარია, რომ იმავე თემურ ქეცბაიამ თუ გიორგი ჩიხრაძემ უკვე ამდენს მიაღწიეს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება...

**- სხვადასხვა გუნდში, ალბათ, რამდენიმე ასეულ ფეხბურთელთან გიმუშავიათ. ამათგან, ყველაზე ადვილი ვისთან იყო მუშაობა?**

- ასეთი, საბედნიეროდ, მართლაც, ბევრი იყო და ნამდვილად არ მინდა, ვინმე გამომრჩეს. არც კი ვიცი, საიდან დავიწყო... ზოგმა დაასრულა კარიერა, ზოგი - დღესაც თამაშობს: იური გაბისკირია, სანდრო ბურნაძე, გიორგი ჩიხრაძე, თემურ ვოლკოვი, ბადრი კვარაცხელია, დავით გოდერძიშვილი, კახა სიდამონიძე, ბესო შენგელია, გიორგი თურმანიძე, ზურაბ იონანიძე, შალვა ლონლაძე, სევასტი თოდუა, გიორგი განუგრავა...

**- აი, ახლა, 60 წლის გადასახედიდან, ისეთი რამ ხომ არ გახსენდებათ, დღეს რომ სხვანაირად მოიქცეოდით?**

- გასაგებია, რასაც მეკითხებით... თუმცა, საბედნიეროდ, ისეთი არაფერი მახსენდება, სანანებელი რომ მქონდეს...

**- დაბოლოს, როდის დაუბრუნდება თემურ მახარაძე სამწვრთნელო ასპარეზს?**

- აუცილებლად დავბრუნდები, ოღონდ, არ მინდა ნაჩქარევი გადაწყვეტილება მივიღო...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ

## ნიკო დოლიძე

# ნიკი ლაუდა, ზაპოროჟეცი და კუპერის საქართველო

## დოლიძე თბილისის ფედერაციას წარმატებულად მიიჩნევს

2008 წლის მაისში თბილისის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები გაიმართა. მაშინ ამ მოვლენამ დიდი დაპირისპირება გამოიწვია - ორგანიზაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა გელა კეტაშვილმა ყრილობა პროტესტის ნიშნად დატოვა, რაკი ჩათვალა, რომ დელეგატებზე ზეწოლა იყო. საბოლოოდ, პრეზიდენტად აირჩიეს გრიგოლ ცაავა, რომელმაც გენერალურ მდივნად ნიკო დოლიძე დანიშნა, კაცი, რომელიც სულაც არ გახლდათ ფეხბურთის ფედერაციისადმი ლოიალურად განწყობილი. მისი მოსვლის შემდეგ თბილისის ფედერაციაში ბევრი რამ შეიცვალა და დოლიძე ამით ამაყობს:

- თბილისის ფედერაციას ფუნქცია დავუბრუნეთ. მისი ბიუჯეტი 54 ათასიდან 150 ათასამდე გავზარდეთ. დანიშვნის დროს, ჩვენს ანგარიშს ყადაღა 12 ათასლარიანი დავალიანების გამო დაადეს. ამას გარდა, მსაჯებისთვის 8 ათასი ლარი იყო გადასახდელი. მიხარია, რომ ერთი წლის განმავლობაში ბიუჯეტი 150 ათას ლარამდე გავზარდეთ.

**- რის ხარჯზე?**

- მარტო ელიტ-ლიგის შემონატანებმა 117 ათას ლარს მიაღწია, დანარჩენი კი რეგიონალ-ლიგის საწევროები გახლდათ. აქედან 80 ათასი მსაჯების ხელფასს ხმარდება. ჩვენ ვანაზღაურებთ მათი ტრანსპორტირების ხარჯებს, 100 მსაჯს „სალერის" ფორმები უფასოდ გადავეცით. პირველად მოვაწყვეთ საერთაშორისო ბავშვთა ფესტივალი საქართველოში - ის 85 ათასი ლარი დაგვიჯდა. ათასამდე ბავშვს დაურიგდა ბურთები, გადასაცმელები, „ფიშკები" (დგარები), კეპები, წყლის მათარები, მწვრთნელებს კი - სავარჯიშო კოსტიუმები, კეპები და ტაქტიკური დაფები. ბუნებრივია, ეს მხოლოდ შემონატანების ხარჯზე არ ხდებოდა. „სალერთან" ტექნიკურ სპონსორობაზე კონტრაქტი გავაფორმეთ. სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულებიც გამოვავლინეთ - საუკეთესო სკოლა, მწვრთნელი და გუნდი დავაჯილდოეთ. აქამდე იყო ელიტლიგა? ჰყავდა თბილისის ფედერაციას ტექნიკური სპონსორი, არსებობდა თბილისის 14-15-წლამდელთა ნაკრები? ვინმეს თბილისის მასშტაბის საუკეთესო სკოლის, მწვრთნელის და გუნდის გამოვლენა უცდია? სხვათა შორის, აქამდე საფეხბურთო სკოლებისთვის უეფას 10 ათასი დოლარის გრანტიც არ მოუპოვებიათ. მსაჯებისთვის თანამედროვე ეკიპირება გადაუციათ? მათ ხელფასი 100 %-ით გავუზარდეთ. თუკი ვინმე მეტყვის, რომ ეს ყველაფერი აქამდეც ხდებოდა, მაშინ თბილისის ფედერაციაში ტყუილად მოვსულვარ.

**- მართალია, რომ ელიტლიგა ახლი ფორმულით ჩატარდება?**

- დიახ, ასეა. სკოლის საუკეთესო გუნდები ცალკე ტურნირში ჩაერთვებიან, შედარებით სუსტები კი ერთმანეთს ცალკე შეეჯიბრებიან. ადრე უველა ერთად იყო. ფაქტობრივად, უმაღლესი და პირველი ლიგები კეთდება.

**- შარშან საერთაშორისო საფეხბურთო და ბიზნესაკადემიის ჩამოყალიბებაზე საუბრობდით.**

- აკადემიის გახსნაზე ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი თანახმაა, ამის შესახებ, ოფიციალური წერილიც გამოგვიგზავნა და თანადაფინანსებას შეგვპირდა. ახლა მთლიანად მთავრობაზე ვართ დამოკიდებული. საფეხბურთო ბიზნესაკადემიისა და თბილისის ფედერაციის ოფისის ასაშენებლად ტერიტორია უნდა გადმოგვცენ.

**- მაისში თბილისში საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალი ჩაიშალა.**

- უცხოეთიდან რამდენიმე გუნდის ჩამოყვანას ვაპირებდით, მაგრამ ასეთ ვითარებაში ჩამოსვლა არავინ ისურვა. ფესტივალი სექტემბრისთვის გადაიდო. იმედია, იმ დროისთვის ყველაფერი გაცილებით უკეთესად იქნება.

**- თბილისის ფედერაციის სპონსორები ახსენეთ. რამდენად მართალია, რომ „რომპეტროლთან" ხელშეკრულება გააფორმეთ?**

- დიახ, „რომპეტროლმა" საკუთარ თავზე აიღო მსაჯების ტრანსპორტირების ხარჯი. ჩვენი სპონსორი გახდა „ფოლკსვაგენიც", თუმცა, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მეტად საავტომობილო კომპანიები აზარალა და სამწუხაროდ, კომპანიამ დაფინანსება შეგვიჩერა. თუმცა, თანამშრომლობას ვაგრძელებთ. სულ ასე ხომ არ გაგრძელდება.

რა თქმა უნდა, ჩვენთან განხორციელებული ცვლილებებით ნაკრები ვერ მოიგებს, მაგრამ სასიკეთო პროცესები დროთა განმავლობაში შედეგს გამოიღებს.

**- ვეტერან ფეხბურთელს საქართველოს ნაკრებზეც უნდა გკითხოთ - თქვენი აზრით, მოლდავეთთან ნაჩვენები თამაშია ქართული ფეხბურთის შესაძლებლობის ზღვარი?**

- ზღვარი ოდნავ მეტია, მაგრამ არაა ის, რასაც გულშემატკივარი ითხოვს. ნიკი ლაუდა „ზაპოროჟეცით" „ფორმულა 1"-ში ხომ ვერ გაიმარჯვებს? ასევე შეუძლებელია ექტორ რაულ კუპერმა საქართველოს ნაკრებში დიდ წარმატებას მიაღწიოს. არა გვყავს მესხი, მეტრეველი, ხურცილავა, ჩივაძე, ყიფიანი, გუცაევი, შენგელია და შედეგებზე ტყუილად ვოცნებობთ. ეს სამწუხარო რეალობაა. არ მესმოდა ტოპმიოლერის, რომელიც ამტკიცებდა, 2010 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაგიყვანთო. რეალური საფუძველი არ გვქონდა და ხალხს რატომ ჰპირდებოდა? მე რომ ვარჯიშზე 170 სმ-ზე ვხტები, როგორ უნდა შევპირდეთ, ტურნირზე ორ მეტრს გადავლახავ-მეთქი?



ნიკო დოლიძე

**მერაბ მამულაშვილი**

### განცხადება

„დინამო" თბილისის საფეხბურთო აკადემია აცხადებს 1993-94-95 წლებში დაბადებულ ბავშვთა შერჩევას.

13-14 ივნისი, 11 საათი.

„დინამოს" დილმის საწვრთნელი ბაზა

ტელეფონი 53 20 75

იუბილარი

## მურად ანჯაფარიძე 60

# ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და გულიანადაც ვემსახურები

**წლების წინ, ის ფეხბურთელი იყო, მერე საფეხბურთო მოღვაწის საფეხურებს წარმატებულად შეუყვა. ომის ქარცეცხლიც გამოუვლია და დღემდე აწუხებს დაკარგული ქართული მიწის, მამაპაპისეული სახლ-კარის, მშობლიური კუთხის, ქალაქის, უბნის, ახლობლების... დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ის ახლა თბილისშია და აქედან ხელმძღვანელობს აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას. ბარე 10 წელზე მეტია დევნილ მობურთავე ბავშვებს თავს ევლება, ტურნირებით ანებივრებს, მათთვის პრიზები და საჩუქრები არ ავიწყდება, გამორჩეულად ნიჭიერებს კი გზას უხსნის... ბავშვების გარდა აფხაზეთიდან ქართული ფეხბურთის რჩეული პიროვნებებიც არ ავიწყდება და იუბილეებითა თუ სახელობის ტურნირებით ახსენებს მათ თაობებს... ეს კაცი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა მურად ანჯაფარიძეა, რომელიც დღეს, 10 ივნისს 60 წლისა შესრულდა.**

**საინტერესოა თუ როგორ აფასებს განვლილს 6 ათეული წლის გადასახედიდან, რას იხსენებს ტკბილად და რაზე ეთანაღრება გული, რა გაუკეთებია და რა ჩაიფიქრა სამომავლო საკეთებლად. იუბილარ მურად ანჯაფარიძეს ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გავესაუბრეთ. გარდა ამისა, აფხაზეთში ფეხბურთის ამჟამინდელ მდგომარეობაზეც ვკითხეთ.**



მურად ანჯაფარიძე

**- ერთი თვალის გადავლებით, განვლილი პერიოდიდან რა გახსენდებათ ტკბილად. რაზე გეთანაღრებათ გული...**

- ყველა კაცის ცხოვრებაშია საინტერესო მომენტები. ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი. ჩემი ცხოვრების 60 წლიდან ორი მესამედი, 45 წელი სოხუმში გავატარე და ყოველი დღე ჩემთვის მნიშვნელოვანია. ჩემთვის ძვირფასია ყველა ის საქმე, რასაც დღემდე ვემსახურებოდი და ახლაც ვაკეთებ. თუ რა და რამდენად შევძელი, ეს უკვე საზოგადოების შესაფასებელია. იმას კი ვიტყვი, რომ რა საქმესაც ვემსახურებოდი მცდელობა არ დამიკლია, რომ პატიოსნად, ადამიანურად, გულიანად მეკეთებინა. რა თქმა უნდა ყველაზე დიდი ტკივილი და აუსრულებელი ოცნებები უკავშირდება აფხაზეთს, იმ ომს უკავშირდება, რომელიც 1992-93 წლებში მოხდა. ამ ომმა დიდი ტკივილი და უბედურება მოუტანა ქართველებს, აფხაზებსა და ყველა იმ ხალხს, ვინც იქ ცხოვრობდა. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის იმ ადამიანების მიმართ, რომელთა გვერდითაც ადამიანად, პიროვნებად, პროფესიონალად ჩამოვყალიბდი. ისინი მაქსიმალურად ხელს მიწყობდნენ, ჩემი შესაძლებლობები რომ გამომევლინა. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან 80-იანის დასაწყისამდე სოხუმის ახალგაზრდობის ლიდერი ვიყავი. კარგა ხანს ვიმსახურე შინაგან საქმეთა ორგანოებში, ვიყავი სამმართველოს უფროსი, მინისტრის მოადგილე და როგორც ომამდე, ასევე მის შემდეგ, შეძლებისდაგვარად ვასრულებდი იმ საქმეს, რომელიც მევალებოდა. ჩემს ცხოვრებასაც თან ახლდა ადამიანური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური სიძნელეები... 1998 წლის ბოლოს მეგობრებმა მთხოვეს დევნილობაში მეხელმძღვანელა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციისთვის. ახალგაზრდობაში ფეხბურთელი გახლდით და ფეხბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია. მართალია 1998 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი, მაგრამ ფეხბურთს უარი ვერ და არც ვუთხარი და ეს სფერო არჩევნების შედეგად ჩავიბარე.

**- ფეხბურთელიც იყავით, მოთამაშის კარიერაც გაიხსენეთ და მაინც რამდენი წელია, რაც ფეხბურთში საქმიანობთ?**

- ფეხბურთზე 10 წლისა მიმიყვანეს... მარჯვენა გარემარბი ვიყავი, ზოგჯერ კი ნახევარდაცვის ცენტრშიც ვთამაშობდი... 1961 წლიდან სოხუმის „ნორჩი დინამოელის" სხვადასხვა ასაკობრივ გუნდში ვთამაშობდი. 1967 წელს ტყვარჩელის „მეშახტეში", 1968-ში უკვე გალის „მზიურში" გამოვდიოდი, 69-ში კი ფოთის „კოლხეთში", მაგრამ ტრავმის გამო სეზონი ვერ ჩავამთავრე. 1970 წელს სოხუმის „დინამოში" მიმიწვიეს და ინტენსიურად დავიწყე მზადება, მაგრამ მენისკის გამო ფეხის ტრავმამ მოთამაშის კარიერის გაგრძელების შესაძლებლობა არ მომცა და ფეხბურთელობა დავასრულე. მერე უკვე ახალგაზრდულ ორგანიზაციულ საქმიანობას მოვკიდე ხელი და ამ სფეროშიც მუშაობის პერიოდშიც, სამსახურებრივად ფეხბურთთან ვიყავი დაკავშირებული. 1998 წლიდან კი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციას ვხელმძღვანელობ. ასე რომ, ჩემი ცხოვრების 20 წელზე მეტი ფეხბურთს უკავშირდება. ქართული ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა და დღემდე გულიანად ვემსახურები.

**- თქვენი და თქვენი გუნდის დამსახურებაა, რომ აფხაზეთის ფეხბურთი დევნილობაშიც ცოცხლობს და ვითარდება. მაინც რა კონკრეტული პროექტები განახორციელეთ კოლეგებთან ერთად?**

- ჩვენ ბევრი ვიშრომეთ, აფხაზეთის ფეხბურთის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ბევრი კარგი საქმე გავაკეთეთ. 1998 წელს გიგა ნორაკიძის 70 წლის, ანატოლი მილჩენკოს, სიომა ბარქაიას იუბილე აღვნიშნეთ... რაც შეეხება ტურნირებს, მხოლოდ მასშტაბურებს ჩამოგითვლით. ყოველწლიურად ვმართავთ ვიტალი დარასელიას, ჟიული შარტავას, გიგა ნორაკიძის, თამაზ კუჭუხიძის, სოხუმის „დინამოს", შემდგომში კი „ცხუმის" ბოლო მწვრთნელის, ირაკლი ქოიავას სახელობის ტურნირს, სიომა ბარქაიას სახელობის გათამაშებასაც ვატარებთ. აფხაზეთის ფედერაციისა და სპორტის სამსახურის ეგიდით 8 გუნდს ვპატრონობთ, რომლებიც აფხაზეთის ჩემპიონატში, მესამე ლიგასა და სხვადასხვა ტურნირში მონაწილეობს. ერთი სიტყვით, ყოველწლიურად, 15 სხვადასხვა ტურნირს ვატარებთ, რომელშიც 800-მდე ფეხბურთელი მონაწილეობს. მათ შორის 25% აფხაზეთიდან დევნილია. გარდა ამისა, სისტემაში გვყავს მოყვანილი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის საქმიანობა. ჩვენი ფედერაციის ალმასკომის წევრები, აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები. აქტიურ მონაწილეობას იღებენ აფხაზეთის ფეხბურთის შენარჩუნებასა და განვითარებაში. 2007 წელს „ღია სახალისო ფეხბურთის" (რომელსაც ვალერი ჩოლარია ხელმძღვანელობს) თანადგომით, ზემო აფხაზეთში, „აფხაზეთის თასის" გათამაშება ჩავატარეთ. წელსაც გავმართავთ ტურნირებს, რომელშიც გლდანში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყნეთში და სხვა ადგილებში მცხოვრები, აფხაზეთიდან ლტოლვილი ბავშვები მიიღებენ მონაწილეობას... წელს გავხსენით „მსაჯთა სკოლა", რომელსაც მსოფლიო დონის პროფესიონალი ანატოლი მილჩენკო ხელმძღვანელობს. აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან. ხშირი და საქმიანი საუბარი მაქვს გენერალურ მდივან რევაზ არველაძესთან, რეგიონული და ბავშვთა ფეხბურთის განვითარების საკითხებზე... გარდა ამისა, 2008 წელს აფხაზეთის ფეხბურთის 100 წლის იუბილე ჩინებულად აღვნიშნეთ. მოქმედი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა აფხაზეთის ნაკრებმა ამხანაგური მატჩები გამართა სამეგრელოს, ქვემო ქართლის (დიდი მხარდაჭერა გაგვიწია ამ რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულმა დავით კირკიტაძემ), საქართველოს კლუბების ნაკრებთან, ვეტერანებთან, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების კომბინირებულ გუნდთან... სულ ასეთი 9 საქველმოქმედო მატჩი გავმართეთ. „ლელოსი" დიდად მადლიერი ვარ, რადგან ჩვენი არც ერთი ინიციატივა და წამოწყება ყურადღების მიღმა არ დარჩენია... იუბილე 10 ივნისს მაქვს და უკვე მივიღე პირველი მილოცვები. ყველასი მადლიერი ვარ და იმედი მაქვს, ყველას მადლობას ჩემი აფხაზეთიდან, ჩემი სოხუმიდან ვეტყვი.

**- დაბოლოს, აფხაზეთში ახლაც ტარდება ჩემპიონატი, რომელშიც ქართველების გუნდიც ასპარეზობს. ბუნებრივია, თქვენც გაქვთ ინფორმაცია...**

- აფხაზეთში 8 და 10-გუნდიანი პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფში ტარდება. თუმცა გუნდების მომზადება, ტექნკური და ფინანსური დონე ძალიან დაბალია, რადგან აფხაზეთის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ იძლევა. სხვათა შორის, თავადაც აღნიშნავენ ჩემპიონატის დაბალ დონეს. მათ ვერ გაზარდეს ისეთი კონკურენტუნარიანი ფეხბურთელი, რომელიც რუსეთის გუნდებში მოხვდებოდა. მართალია დღეს რუსულ კლუბებში აფხაზებიც თამაშობენ, მაგრამ ეს ის ბავშვებია, რომლებიც არა აფხაზეთში, არამედ რუსეთში დევნილობისას გაიზარდნენ... აფხაზეთში, ჭაბუკთა გუნდები, სახელმწიფო დაფინანსებით ფუნქციონირებს. სხვათა შორის, გალის გუნდი ორ ასაკში ერთ-ერთი გამორჩეულია იქაურ პირველობაზე.

**დავით ცაბაძე**

### მილოცვა

მეგობრები და კოლეგები საფეხბურთო საზოგადოების სახელით გულწრფელად ვულოცავთ ბატონ **მურად ანჯაფარიძეს** - ოთხმოციანი წლების აფხაზეთის ახალგაზრდობის ერთ-ერთ გამორჩეულ ლიდერს, თავისი დროის ღირსებისა და საუკეთესო თვისებების მატარებელ, აქტიურ საზოგადო მოღვაწეს და წარმატებულ ხელმძღვანელს, წლების განმავლობაში სფფ-ს აღმასკომის წევრს, აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს თავისი ცხოვრების ღირსეულად გავლილ 60 წლის იუბილეს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი ხანგრძლივი და შინაარსიანი ცხოვრების მეორე ნახევარიც იქნება ასევე წარმატებული, აქტიური და საზოგადოებისათვის სასარგებლო, ხოლო ბატონი მურადი კვლავაც დარჩება თავისი თანამედროვეობის მაღალი ზნეობისა და ღირსების, კეთილშობილების, სტუმართმასპინძლობის, ჭეშმარიტი მეგობრობის, ჭირში და ლხინში თანამდგომი, ქართულ ფეხბურთზე სახელმწიფოებრივად მოფიქრალი თვისებების მატარებელ პიროვნებად.

*ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი, ოთარ გაბელია, რევაზ არველაძე, თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე აპლაკოვი, ბესო ჩიხრაძე, მერაბ დგებუაძე, დიმიტრი ჭანტურია.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგატრანსფერი

# კაკას რეალობა

## 67.2 მილიონი ევრო... ბრაზილიელი პლანეტის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი გახდა

**კაკა ფლორენტინო პერესის** „რეალის" პირველი შენაძენია. პერესის პერსონაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ მისმა წინამორბედებმა ასეთი ხმაურიანი ტრანსფერების გაჩარხვა ვერა და ვერ შეძლეს. როგორც ჩანს, ფლორენტინოს გარდა სამეფო კლუბისთვის მსოფლიო დონის ვარსკვლავების შეძენა არავის შეუძლია. გემახსოვრებათ, **რამონ კალდერონმა** არჩევნები სწორედ კაკას გადაბირების პირობით მოიგო, მაგრამ უბადრუკი საპრეზიდენტო კარიერა ისე დაასრულა, რომ ბრაზილიელის „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაყვანის შანსი ერთხელაც არ მისცემია. მილანელები მას სერიოზულად არ აღიქვამდნენ და მოლაპარაკებათა მაგიდასთანაც კი არ იკადრეს დასხდომა. მოკლედ, ფლორენტინო დაბრუნდა და რამდენიმე დღეში ისეთი საქმე გააკეთა, რასაც კალდერონმა წლების განმავლობაში ვერ მოაბა თავი. კაკა მადრიდის „რეალმა" 2015 წლამდე გადაიბირა. სენიორ პერესს ეს სიამოვნება, არც მეტი არც ნაკლები, 67.2 მილიონი ევრო დაუჯდა. ამ თანხიდან 64.5 მილიონ ევროს „მილანი" მიიღებს. 2.7 მილიონს კი კაკას კიდევ ერთი ყოფილი კლუბი „სან პაულუ" ჩაიჯიბავს. იტალიელებსა და ბრაზილიელებს ეს პუნქტი კონტრაქტში იმთავითვე ჰქონდათ ჩაწერილი. ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ კაკა სამეფო კლუბის სრულუფლებიანი წევრია. სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი გახდა. მან **ზინედინ ზიდანის** სატრანსფერო რეკორდი დაამხო. საგულისხმოა, რომ ზიზუს შეძენით დამყარებული რეკორდიც (60 მილიონი ევრო) ფლორენტინო პერესის სახელს უკავშირდება. კაკას ტრანსფერით მამამისმა **ბოსკო ლეიტემაც** მოითბო ხელი. სეუ ლეიტე შვილის მენეჯერია და ტრანსფერის გაჩარხვის გამო „მილანისგან" უახლოეს დღეებში 4.5 მილიონ ევროს მიიღებს. აქვე გეტყვით, რომ კაკა სამეფო კლუბში ყოველთვიური ჯამაგირის სახით 912 ათას ევროს მიიღებს. ამ კონტრაქტის წყალობით, ბრაზილიელი სუპერვარსკვლავი „რეალის" ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდა. გუშინდლამდე სამეფო კლუბში საუკეთესო ხელფასი **რაულს** ჰქონდა. გონსალეს ბლანკოს წლიური ანაზღაურება 6 840 000 ევროს შეადგენს.

### კაკა სამეფო კლუბს ერთ წელიწადში 75 მილიონს მოუტანს

დღეს, როცა მსოფლიოში უმწვავესი ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, ამხელა ფულის გადახდა საკმაოდ სარისკოდ მოჩანს, მაგრამ ფლორენტინო პერესი ძალიან გამოცდილი კაცია და ყველაფერი წინასწარ რომ არ ჰქონოდა გათვლილი, ამ ნაბიჯს არ გადადგამდა. ამთავითვე გეტყვით, რომ სამეფო კლუბის მიერ კაკას იმიჯის კომერციული საქმიანობაში გამოყენებით მიღებული თანხის 50 პროცენტი „რეალს" დარჩება, დანარჩენს კი თავად ფეხბურთელი მიიღებს. ესპანელები დარწმუნებული არიან, რომ ბრაზილიელის ტრანსფერი მათ ისეთივე ფინანსურ წარმატებას მოუტანს, როგორიც რამდენიმე წლის წინ **დევიდ ბექჰემის** შეძენამ მოიტანა. ფლორენტინო მაისურებით ვაჭრობაში დახელოვნებული პრეზიდენტია და სავარაუდო ბაზრები, ალბათ, ზედმიწევნით კარგად აქვს შესწავლილი. მართალია, გულშემატკივრები კაკას გადაბირებას უდიდესი ენთუზიაზმითა და სიხარულით შეხვდნენ, მაგრამ ეკონომიკის ექსპერტების დიდი ნაწილი ამ გარიგებას სკეპტიკური შეფასებით გამოეხმაურა. მათი თქმით, ესპანური გრანდის უმაღლესი ხელისუფალი არაკრიზისული ეკონომიკის ლოგიკით მოქმედებს და მაშინ, როცა უმდიდრესი კომპანიები ფულის დაზოგვის რეჟიმში არიან, ის ათეულობით მილიონ ევროს ხარჯავს. ბატონი ფლორენტინო აცხადებს, რომ ამ შეხედულებას პატივს სცემს, მაგრამ კატეგორიულად არ იზიარებს. აი, რას ამბობს სამეფო კლუბის პრეზიდენტი:

*„კაკა, რა თქმა უნდა, ძვირად ღირებული ფეხბურთელია, მაგრამ ამით არ უნდა შევშინდეთ. ჩვენ ყველაფერი გათვლილი და დაანგარიშებული გვაქვს. ყველამ იცით, ფეხბურთში თითოეული მატჩის მოგებას დიდი შემოსავალი მოაქვს. თუ რომელიმე ტიტულს დაეუფლები ბიუჯეტში სოლიდური თანხები შემოდის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კაკა დიდი გამარჯვებებისა და ტიტულების მოპოვებაში დაგვეხმარება. ამიტომ აბსოლუტურად არაფრის გვეშინია... თუმცა, ბუნებრივია, მხოლოდ ამის იმედად არ ვიქნებით და მარკეტინგულ სამუშაოებს სხვა მიმართულებითაც გავშლით. შესაძლოა, ვინმესთვის ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ მაისურებით ვაჭრობა ძალიან დიდ შემოსავალს მოგვიტანს. ჩვენი გათვლებით, კაკას შეძენიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ მისი მაისურით ვაჭრობა სულ მცირე 35 მილიონ ევროს მოგვიტანს. საუბარია წმინდა მოგებაზე და არა, თანხის საერთო ბრუნვაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიელის სატრანსფერო თანხის ნახევარზე მეტს პირველივე წელს ამოვიღებთ. 2011 წლისთვის კი აღნიშნული ფული მთლიანად იქნება ამოღებული და უკვე მოგებაზეც გავალთ. ეს გარიგება ყოველმხრივ სასარგებლო და მომგებიანია. შეთანხმების მიხედვით, თითოეული მაისურის გაყიდვით შემოსული ფულის 50 პროცენტს კაკა მიიღებს. ჩვენი ახალწვეული მადრიდული ცხოვრებით ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი იქნება. ის ბევრად მეტ ფულს იშოვის და უამრავ ტიტულს მოიპოვებს. ვიცი, ჩემ მიერ დასახელებულ ციფრებს ბევრი მასხარად აიგდებს, მაგრამ მე ისევ და ისევ ბექჰემის შემთხვევას გაგახსენებთ. მერწმუნეთ, კაკას ტრანსფერს არანაკლები ეფექტი ექნება. ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი გათვლები 100-პროცენტიანი სიზუსტით შესრულდება. სიმართლე გითხრათ, გეგმის გადაჭარბებით შესრულებასაც არ გამოვრიცხავ".*

### ბერლუსკონის არჩევნები კაკამ წააგებინა

როგორც ხედავთ, კაკას ტრანსფერმა ფლორენტინო პერესი უზომოდ გაახარა. ის ოპტიმიზმითაა აღსავსე, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ამ გარიგებას **სილვიო ბერლუსკონი** ძალიან ნანობს. მოგეხსენებათ, იტალიის პრემიერ-მინისტრის პარტიამ ევროპარლამენტის არჩევნები წააგო. ბერლუსკონიმ ამ უსიამოვნო ფაქტს უცნაური მიზეზი მოუნახა. ქვეყნის მმართველი ამბობს, რომ არჩევნები მისი ცოლის მიერ მოწყობილი სკანდალისა და კაკას ტრანსფერის გამო წააგო. მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ სინიორ სილვიო თინეიჯერ **ნოემი ლეტიციასთან** ურთიერთობით ირთობდა თავს. ბუნებრივია, პრემიერის მეუღლე **ვერონიკა ლარიო** ამით ძალიან შეურაცხყოფილი დარჩა და სკანდალი ამიტომაც მოაწყო. ამ ამბების გამო ბერლუსკონის პარტიამ ხმები მართლა დაკარგა, მაგრამ ძნელი სათქმელია, ამ საქმეში კაკას მადრიდის „რეალში" გადასვლამ რამდენად ნეგატიური გავლენა იმოქმედა, მაგრამ იტალიის მთავრობის უმაღლესი პირი სრული სერიოზულობით აცხადებს, კაკა რომ არ გაგვეყიდა, არჩევნებში ბევრად უკეთეს შედეგებს მივაღწევდითო. მართალია, კაკას ტრანსფერი ოფიციალურად გუშინ გამთენიისას გახმაურდა, მაგრამ ეს ამბავი რამდენიმე დღით ადრეც პრაქტიკულად ყველამ იცოდა. ბერლუსკონის მოთხოვნით ფლორენტინო პერესი შეთანხმების ფაქტს არ ახმაურებდა, მაგრამ ინფორმაციამ მაინც გაჟონა. ბატონი სილვიო სწორედ ამან შეაწუხა და აფიქრებინა, რომ საზოგადოებამ ბრაზილიელის გაყიდვის ფაქტი მის პირად მარცხად აღიქვა და პრემიერის ნდობა დაკარგა.

გვერდი მოამზადა
ილია **ნიკოლაიშვილმა**



## კაკა: მინდა, რეალში ახალი ისტორია შევქმნა, მილანში კი პატოს ვტოვებ...

*კაკას ბრაზილიაში „დიარიო ასის" კორესპონდენტმა ჩააკითხა და ინტერვიუ მოამზადა...*

**- „რეალში" გადასვლის შემდეგ „მილანის" გულშემატკივრებს რას ეტყვით?**

- რომანი დასრულდა. უკვე კარგა ხანია, რაც ამ თემაზე საუბრობდნენ. დარწმუნებული ვარ, ყველა გრძნობდა, რომ იტალიიდან მივდიოდი. „მილანს" ამ გუნდში გატარებული თითოეული დღისთვის დიდი მადლობა უნდა გადავუხადო. „როსონერიმ" მსოფლიო დონის ფეხბურთში დამკვიდრებისა და უამრავი ტიტულის მოპოვების შესაძლებლობა მომცა. მილანისტებს მოკითხვას ვუთვლი და გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. იქ ძალიან ბედნიერი ვიყავი. გეფიცებით, „რეალის" გარდა სხვა არც ერთი კლუბის წინადადებას არ დავთანხმდებოდი. დიდი მადლობა „მილანის" ხელმძღვანელობას, რომ ჩემს ოცნებას გაგებით მოეკიდა და სამეფო კლუბში თამაშის საშუალება მომცა. ეს მათი მხრიდან გამოვლენილი კეთილი ნება გახლდათ.

**- „მილანიდან" „რეალში" წასვლა რატომ გადაწყვიტეთ?**

- ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ახლა მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე მოგახსენებთ. როგორც იცით, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო ძალიან ბევრ კომპანიას სერიოზული პრობლემები შეექმნა. მათ შორისაა „მილანიც". დასამალი არ არის, რომ ეს კრიზისი ჩემს ყოფილ კლუბსაც მისწვდა. „რეალმა" „მილანს" ძალიან კარგი თანხა შესთავაზა. ეს ფული „როსონერის" ყოფას შეუმსუბუქებს. ჰოდა, მეც გადავწყვიტე ჩემს უსაყვარლეს გუნდს დავხმარებოდი. როგორც მოგახსენეთ, ეს ის ერთ-ერთი მიზეზია, რომელმაც კლუბის შეცვლა გადამაწყვეტინა. ბუნებრივია, სხვა მოტივებიც მქონდა.

**- თქვენს ახალ კლუბზე რას იტყვით? რას ნიშნავს თქვენთვის მადრიდის „რეალი?**

- „რეალი" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ყველამ იცის, რომ ახალი ხელმძღვანელობა ფანტასტიკური პროექტის განხორციელებას შეუდგა. ეს ყველაფერი საშუალებას მომცემს, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებთან ერთად ვითამაშო. აი, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადმოსვლის კიდევ ერთი მიზეზი (იცინის). ფლორენტინო პერესი ისეთი გუნდის გაკეთებას აპირებს, რომელიც ესპანეთის ჩემპიონის ტიტულსა და ჩემპიონთა თასს დაიბრუნებს. მადრიდის „რეალი" ჩემთვის ახალ, უდიდეს მოტივაციასთან ასოცირდება. მინდა, თეთრ მაისურში გამოწყობილმა უამრავი ტიტული მოვიპოვო. „რეალი" პრესტიჟის, სიმდიდრის, წარმატების, ფუფუნებისა და გენიალურობის განსახიერებაა.

**- თქვენი ბრაზილიელი მეგობრებისგან „რეალზე" რა გსმენიათ?**

- ყველა ბრაზილიელი, რომელსაც სამეფო კლუბთან რაიმე აკავშირებს, მასზე ძალიან კარგად საუბრობს. ვისაც არ ვკითხე, ყველამ მადრიდში გადასვლა მირჩია, თუმცა „რეალს" მათ გარეშეც ძალიან კარგად ვიცნობდი. მის ღირსებას ექსტრაორდინალური ფეხბურთელები იცავენ. მაგალითად, რაული და კასილიასი. სხვათა შორის, ფლორენტინოს გუნდში გადასვლა დევიდ ბექჰემმაც მირჩია.

**- „რეალი" ადრეც გიწვევდათ, მაგრამ აქამდე „სანტიაგო ბერნაბეუზე" თამაშზე არც კი გიფიქრიათ. გადაწყვეტილება რატომ შეცვალეთ?**

- ჩემი აზრით, სამეფო კლუბში ახლა აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა. მართალი ხართ, შემოთავაზებები ადრეც მქონდა, მაგრამ ანჩელოტის ძალიან მოვწონდი და ჩემი იმედი ჰქონდა.

**- თქვენს ახალ პრეზიდენტზე, ფლორენტინო პერესზე როგორი წარმოდგენა გაქვთ?**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მას კარგი პროექტი აქვს. ამ პროექტმა გუნდს დიდი წარმატებები უნდა მოუტანოს. ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ სენიორ პერესი მსოფლიო დონის ფეხბურთელების შეძენას კიდევ აპირებს. დარწმუნებული ვარ, შემტევი შემადგენლობა გვეყოლება და ბევრ წარმატებას მივაღწევთ.

**- როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულის მოსაპოვებლად ლეო მესისთან მოგიწევთ ბრძოლა?**

- მესიმ ძალიან კარგი სეზონი ჩაატარა და ამ წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს ნამდვილად იმსახურებს. „ბარსელონასთან" ერთად მან სამი უმნიშვნელოვანესი ტურნირი მოიგო. ის გუნდის ლიდერი გახლდათ, თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ „ბარსელონას" ჰეგემონიას დავამხობთ და მომავალ სეზონში ტიტულებს მადრიდის „რეალს" მოვაპოვებინებთ.

**- თქვენი წასვლის შემდეგ „მილანისგან" რას ელით?**

- დარწმუნებული ვარ, ჩემს ყოფილ გუნდს ლეონარდოსთან ერთად სკუდეტოს მოპოვების კარგი შანსი ექნება. ჩემი აზრით, ლეონარდო დიდი მწვრთნელია. მჯერა, „მილანი" დიადი ფეხბურთელებით გაძლიერდება და წარმატებებს უჩემოდაც მიაღწევს.

**- პატო თქვენი მემკვიდრე გახდება?**

- ამის დიდი იმედი და სურვილი მაქვს. მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ არაჩვეულებრივი ფეხბურთელია. მას მხოლოდ რამდენიმე წელი უნდა ვაცადოთ. პატო დაბრძენდება და თავზე გვირგვინს დაიდგამს. ის მართლაც გენიალური ფეხბურთელია.

**- ზინედინ ზიდანის მსგავსად კარიერას თქვენც მადრიდის „რეალში" დაასრულებთ?**

- საკმაოდ ხანგრძლივი, ექვსწლიანი კონტრაქტი გავაფორმე. ვოცნებობ, რომ მადრიდის „რეალის" ახალი ისტორიის შექმნაში აქტიური მონაწილეობა მივიღო და თავად გავხდე ამ ისტორიის ნაწილი. აი, ეს არის ჩემი მიზანი.

**- მაისურზე რა ნომერს დაიწერთ? გადაწყვეტილება მიღებული გაქვთ? ჭორები დადის კაკას ზიდანის 5 ნომერი შესთავაზესო...**

- ამ შემოთავაზებისთვის დიდ მადლობას ვიხდი. ზიდანი ზიდანია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ფეხბურთს მან უდიდესი სამსახური გაუწია. „რეალსა" და საფრანგეთის ნაკრებში ზიზუმ ფენომენალურ წარმატებებს მიაღწია. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით არ ვიცი, რა ნომერს ავირჩევ. გადაწყვეტილება ჯერ არ მიმილია.





სილვიო ბერლუსკონი და ვერონიკა ლარიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მილანი

# ცხოვრება გრძელდება... კაკას გარეშე


ლეონარდო და ადრიანო გალიანი ახალ გეგმებს აწყობენ

ცხოვრება გრძელდება და „მილანის" ქომაგებსაც მოუწევთ იმასთან შეგუება, რომ მომავალი სეზონიდან გუნდი **კაკას** გარეშე იასპარეზებს. ექვსი წლის განმავლობაში, რიკი გუნდის ლიდერი გახლდათ და წარმატებებში ლომის წილი შეჰქონდა. ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა თუ „მილანი" თავისი ნებით გაასხვისებდა ბრაზილიელ „მარგალიტს". იტალიაში ბევრმა **ანდრეი შევჩენკოს** ტრანსფერი გაიხსენა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს სულ სხვა შემთხვევაა. ანდრეის თავად სურდა „ჩელსიში" გადასვლა და მიზნის მისაღწევად ყველაფერი იღონა. ალბათ გახსოვთ, „როსონერის" მესვეურები ღიად აცხადებდნენ, რომ უკრაინელის გაშვება არ სურდათ, თუმცა თავს ზემოთ ძალა არ იყო. ახლა კი, ტრანსფერის მთავარი ინიციატორი თავად „მილანია", კლუბი, რომელიც, როგორც ჩანს, ფინანსური კრიზისას ძალიან დაზარალდა. ახლა კი, 67 მილიონ ევროს ბევრი რამის შეცვლა შეუძლია.

და რას უპირებს „მილანი" ამ თანხას? - ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ, **სილვიო ბერლუსკონიმ** განაცხადა, რომ ტრანსფერის განხორციელების შემთხვევაში, აღებული თანხის გარკვეული ნაწილი ახალი ფეხბურთელების შეძენას მოხმარდება. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ კაკაში აღებული დიდძალი თანხის წყალობით, „მილანი" ამ ზაფხულს სატრანსფერო ბაზრის ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე იქნება. თუმცა, სანამ პოტენციურ შენაძენებზე ვისაუბრებდეთ, ორიოდე სიტყვა იმ ფეხბურთელებზე ვთქვათ, რომლებმაც კაკას მსგავსად შეიძლება „როსონერი" დატოვონ.

ვერ გეტყვით რამდენად რეალურია, მაგრამ ფაქტია, რომ იტალიურ პრესაში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ **ალეშანდრე პატოს** მიმართ „ჩელსის" დაინტერესების თაობაზე. მეტიც, თუ „კორიერეს" ვენდობით, საქმე დიდი ხანია გასცდა ინტერესის ფარგლებს. პროცესი უკვე დაძრულია და უახლოეს დღეებში, შესაძლოა ერთი ძალიან საინტერესო შეხვედრა გაიმართოს. ლაპარაკია **კარლო ანჩელოტისა** და პატოს „პაემანზე". ჟურნალისტთა ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ ლონდონში გადაბარგება თავად ფეხბურთელსაც სურს. პატოს მილანური გასამრჯელო არ მოსწონს და ამის შესახებ კლუბის მესვეურებისთვის თურმე არაერთხელ შეუჩივლია. თუმცა, ბრაზილიელისთვის გაუმჯობესებული კონტრაქტი ჯერაც არ შეუთავაზებიათ. ვნახოთ, უახლოეს დღეებში ალბათ ყველაფერი უკეთესად გამოჩნდება.

„როსონერიში" კიდევ ორი ფეხბურთელია, რომელთა გვარებსაც „ჩელსის" უკავშირებენ. ლაპარაკია ორ გამოცდილ მილანელზე, **ანდრეა პირლოსა** და **კლარენს ზეედორფზე**. თავდაპირველად, უფრო ხშირად პირლოზე საუბრობდნენ, თუმცა ბოლო დღეებში წინა პლანზე ჰოლანდიელმა წამოიწია. ზეედორფი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც **ანჩელოტიმ** „მილანში" მისვლისთანავე გადაიბირა. კარლეტოს ჰოლანდიელის მიმართ ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული სიმპათია და გასაკვირი არ იქნება თუ კვლავაც გაუჩნდება მასთან მუშაობის სურვილი.

ჯერჯერობით, „მილანის" მესვეურები ზემოთ ხსენებული ფეხბურთელების გასხვისების შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ ამიერიდან მხოლოდ გუნდის გაძლიერებაზე იფიქრებენ. აქ უკვე მთავარი სიტყვა „მილანის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა უნდა თქვას. თუ იტალიელ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, **ლეონარდოს** უკვე მონიშნული აქვს იმ ფეხბუთელების გვარები, რომელთა გადაბირებასაც უახლოეს მომავალში შეეცდება.

„მილანში" თანხმდებიან იმაზე, რომ გუნდს თითქმის ყველა რგოლში სჭირდება გაძლიერება. **ადრიანო გალიანი** თითქმის ყველა გამოსვლაში აცხადებს, რომ მომავალი სეზონიდან „როსონერიში" კიდევ ერთი უმაღლესი კლასის თავდამსხმელი იასპარეზებს. „მილანის" მესვეურები აქტიურ მოლაპარაკებებში არიან ჩაბმულნი „არსენალის" წარმომადგენლებთან - ალბათ მიხვდით, რომ საქმე **ემანუელ ადებაიორის** ტრანსფერს ეხება. ფერადკანიანი თავდამსხმელის ყიდვას ლომბარდიელები უკვე რამდენიმე წელია ლამობენ და როგორც ჩანს, ამ ზაფხულს მიზნის მიღწევის შესანიშნავი შანსი ექნებათ. აფრიკელმა არაერთხელ განაცხადა, რომ კლუბის გამოცვლის წინააღმდეგი არ არის და საინტერესო წინადადებებს სიამოვნებით გაეცნობა. ადებაიორმა ისიც კი თქვა, რომ „მილანის" შეთავაზება ისეთივე მომხიბვლელი იქნებოდა, როგორიც მომღერალ **ბიონსეს** მიერ ვახშამზე მიპატიჟება. ყველაფერ აქედან გამომდინარე, მართლაც დიდია იმის შანსი, რომ ემანუელმა „მილანში" ამოყოს თავი.

კიდევ ერთი თავდამსხმელი, რომელსაც „მილანი" ეკურკურება, **ედინ ჯეკო** გახლავთ. „ვოლფსბურგის" თავდამსხმელმა გასული სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა და გუნდის გაჩემპიონებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. გერმანელები ბოსნიელის სანაცვლოდ ოც მილიონ ევროს ითხოვენ, რაც იტალიელებს ძალიან ეძვირებათ. თავად განსაჯეთ, „გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, მილანელებმა ვოლფსბურგელებს მხოლოდ რვა მილიონი ევრო შესთავაზეს. ავტორიტეტული გამოცემების მტკიცებით, ამ გარიგებაში შეიძლება **მარკო ბორიელო** მოჰყვეს, ვინაც ტრავმების გამო, გასული სეზონი ფაქტობრივად გამოტოვა. რვა მილიონს პლუს ბორიელო, ედინ ჯეკოსთვის წესით საკმარისი უნდა აღმოჩნდეს. თავად ბოსნიელი გახარებულია „მილანის" ინტერესით და იტალიაში გადაბარგების პერსპექტივას დადებითად აფასებს.

ყველაზე ნაკლებად გაძლიერება ნახევარდაცვას სჭირდებოდა, მაგრამ კაკას წასვლამ, ამ რგოლშიც გააჩინა ვაკუუმი. ვინ შეიძლება შეცვალოს რიკი? - ალბათ ვერავინ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლეონარდო ახალი შუახაზელების დამატებაზე უარს იტყვის. ყველაზე ხშირად **ერნანესის** ვარიანტზე საუბრობენ, ფეხბურთელზე, რომელიც ბრაზილიურ „სან პაულოში" დიდებულად თამაშობს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. „მილანის" ახალი თავკაცი, ჯერ კიდევ კონსულტანტი იყო, როდესაც ანჩელოტის ამ ფეხბურთელის გადაბირებას ურჩევდა, თუმცა, კარლეტომ მაშინ თავი შეიკავა. 24 წლის ნახევარმცველი შემტევი ტიპის მოთამაშე გახლავთ და შესაძლოა, ნაწილობრივ მაინც მოახერხოს კაკას ჩანაცვლება.

გაძლიერება დაცვასაც ესაჭიროება და „როსონერის" მესვეურები ამ მიმართულებითაც აპირებენ აქტიური ნაბიჯების გადადგმას. „შავ-წითელთა" ბანაკში გადასვლის მთავარი კანდიდატი რომაელი **ფილიპ მექსე** გახლავთ. „რომა" მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვერ იასპარეზებს და დიდია შანსი, რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს შეელიოს. ფრანგი უკანახაზელი „მილანის" მიმართ ყოველთვის სიმპათიით იყო განწყობილი და არც მალავს, რომ თუ შანსი მიეცემა, „როსონერიში" სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას. თუ „ჯალოროსიმ" დაცვის ბურჯის გასხვისებისგან თავი შეიკავა, ლეონარდოს ალტერნატიული ვარიანტიც ჰყოლია მოძებნილი. ლაპარაკია „ჰამბურგის" მცველ **ალექს სილვაზე**, ვინაც გასულ სეზონში თავი სტაბილური თამაშით გამოიჩინა.

„მილანი" კაკას გარეშე ალბათ სხვა ფეხბურთს ითამაშებს - ბევრი რამე სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ფეხბურთელებს გადაიბირებენ „როსონერის" მესვეურები. ჩვენ კი, დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ვნახოთ, როგორ გუნდს შექმნის ლეონარდო.

**ლაშა ნიკლაური**

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ფერარას გროსო მოუნდა

## დელ პიეროს ახალი კონტრაქტი

ტურინის „იუვენტუსის" ახალი მწვრთნელი **ჩირო ფერარა** საქმეს შეუდგა და სატრანსფერო საკითხებში აქტიურად ჩაერთო. „ტუტოსპორტის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩიროს კლუბის მესვეურებისთვის **ფაბიო გროსოს** შეძენა მოუთხოვია და მათგან დაპირებაც მიუღია. კლუბის სპორტულ დირექტორ **ალესიო სეკოს**, ფერარასთვის სიტყვა მიუცია, რომ ფაბიოს გადასაბირებლად ყველა ღონეს იხმარს. აი, რა განაცხადა აღნიშნულ საკითხზე „იუვენტუსის" თავკაცმა:

*„განხორციელებული ტრანსფერებით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ გუნდს გაძლიერება კიდევ სჭირდება. მარცხენა ფლანგზე, დე ჩელიეს და მოლინაროს სახით ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელები გვყავს, მაგრამ მათ გამოცდილება აკლიათ. გროსო საგრძნობლად გააძლიერებდა დაცვის ხაზს და მარცხენა ფლანგზე არსებულ გარკვეულ პრობლემებს აბსოლუტურად აღმოფხვრიდა. დიდი იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ფაბიოს ტრანსფერთან დაკავშირებით, დადებითი პასუხი გვექნება. თუ გროსოს შეძენა ვერ შევძელით, მაშინ სხვა ფეხბურთელის მოძებნა მოგვიწევს".*

კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც გუშინ გავრცელდა, **ალესანდრო დელ პიეროს** ეხება. 2010 წლის ზაფხულში, „პინტურიკიოს" ხელშეკრულებას ვადა გასდის და ფეხბურთელს მისი გახანგრძლივება აქედანვე სწადია. ალექსის თქმით, საქმის ბოლო წუთამდე მიყვანა არ უყვარს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე მის მომავალს ეხება. „იუვეს" ლიდერი მზადაა გასამრჯელოს შემცირებას დათანხმდეს და ახალი კონტრაქტი გაუარესებული პირობებით გააფორმოს. ჯერჯერობით, კლუბის მესვეურები დელ პიეროს განცხადებას არ გამოხმაურებიან.

**ლაშა ნიკლაური**


დაბრუნდება გროსო იტალიაში?

● ამბები



### სკოლარი ბუნედკორში

"ჩელსის" ყოფილი თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარი ნუხელ უზბეკური "ბუნედკორის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა - აღნიშნულ ინფორმაციას საფეხბურთო კლუბის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს. მხარეთა შორის შეთანხმება 1,5 წლით დაიდო. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ "ბუნედკორს" მეორე სახელოვანი ბრაზილიელი **ზიკო** წვრთნიდა.

მან ორჯერ მოიგო ქვეყნის თასი, ერთხელ ჩემპიონის ტიტული და გავიდა აზიის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში. რის შემდეგაც უზბეკეთი დატოვა და სამუშაოდ მოსკოვის ცსკა-ში გადავიდა.

### ნიუკასლი იყიდება

სინგაპურული ფინანსური ჯგუფის "პროფითებელ გრუპის" (Profitable Group) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ადასტურებს, რომ კომპანია მზადაა, თავისი იურისტები ინგლისს მიავლინოს და ბიზნესმენ **მაიკ ეშლისთან** "ნიუკასლის" შეძენის თაობაზე მოლაპარაკება დაიწყოს. აღნიშნულ ფირმაში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე "ლივერპულის" ყოფილი ნახევარმცველი **სტივ მაკმაჰონი** მუშაობს. მან უკვე განაცხადა, რომ გარიგების წარმატებით დასრულების შემთხვევაში კლუბის ახალი ხელმძღვანელობა **ალან შირერს** მთავარი მწვრთნელის თანამდებობას შეუნარჩუნებს. ჩემპიონშიფში დაქვეითებული კლუბის პრესსამსახურმა BBC Sports-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არ დაადასტურა, განაცხადა რა, რომ მათთვის ოფიციალურად არავის არაფერი უცნობებია. "ნიუკასლის" სავარაუდო ღირებულება 100 მილიონი გირვანქა სტერლინგია.

### უემბლი უმაყურებლოდ?

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის განცხადებით, სამშაბათს (გუშინ) ლონდონის მეტროპოლიტენის მუშაკების მიერ დაწყებული 48-საათიანი საყოველთაო გაფიცვა შეიძლება იმის მიზეზი გახდეს, რომ გულშემატკივართა გარკვეულმა ნაწილმა სტადიონზე მისვლას შინ დარჩენა ამჯობინოს. მეტროს გაჩერება ლონდონში ქალაქის პარალიზების ტოლია, რადგან ავტომანქანებით ისედაც გადატვირთულ ქუჩებში მოძრაობა კიდევ უფრო აუტანელი ხდება. ასოციაცია ადასტურებს, რომ მზადაა, ნებისმიერ გულშემატკივარს ბილეთის საფასური აუნაზღაუროს. აღმასრულებელმა დირექტორმა **იენ უოტმორმა** თამაშზე დასწრების მსურველთათვის სპეციალური განცხადება გააკეთა: *"გაითვალისწინეთ, რომ ლონდონის მერია დამატებითი საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყოფას არ აპირებს და შესაბამისად, გადაადგილების სერიოზული პრობლემა შეიქმნება"*. აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია გაფიცვაზე კარგა ხნით ადრე გავრცელდა. ასოციაციამ იმთავითვე გაითვალისწინა მოსალოდნელი გართულება და გაყიდვაში სულ 70 ათასი ბილეთი გამოიტანა. შეხვედრას უმაყურებლოდ ჩატარება ნამდვილად არ ემუქრება.

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსაზრება


იოჰან კრუიფი თავის სტიქიაშია...

# კრუიფი ისევ უკმაყოფილოა

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიის ეროვნული გუნდი პირველია ევროპულ ნაკრებებს შორის, რომელმაც სამხრეთ აფრიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელი საგზური მოიპოვა, ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდა **იოჰან კრუიფი ბერტ ვან მარვიიკის** მიერ არჩეული სათამაშო სქემებით მაინც უკმაყოფილოა. ამაზე ის ხმამაღლა ლაპარაკობს გამოცემა „დე ტელეგრააფის" სვეტში. მოდი, ერთად გავეცნოთ მის მოსაზრებას:

„მე ადრე უკვე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ უნდობლად ვუყურებ ჰოლანდიის ნაკრების ახლანდელ სათამაშო სქემას. ვშიშობ, რომ „ნარინჯისფრებს" იმაზე უფრო ძლიერ ნაკრებებთან ჭიდილი, ვიდრე საკვალიფიკაციოში ჰყავთ, გაუჭირდებათ. შეხედეთ, ყველა ის გუნდი, რომელიც ჰოლანდიასთან დამარცხდა, მინდორზე გამოვიდა არა იმისთვის, რომ გაემარჯვა, არამედ თუნდაც ქულის მოსაპოვებლად.

ბერტ ვან მარვიიკი გუნდში ექვს დაცვითი ტიპისა და ოთხ შემტევ ფეხბურთელს იყენებს. ამით ის სერიოზულად რისკავს, რომ ძლიერმა მეტოქემ მისი გუნდი ორ ნაწილად გაყოს და ნელში გატეხოს. თანაც ეს შეიძლება მოხდეს არა დაცვასა და ნახევარდაცვას, არამედ შემტევებსა და შუა ხაზს შორის. ამრიგად, მივიღებთ იმას, რომ მანძილი რგოლებს შორის იმდენად დიდი აღმოჩნდება, რომ იმ ეფექტური და მრავალსვლიანი კომბინაციების ადგილი აღარ დარჩება, რომელსაც გუნდი ბოლო ხანებში გვიჩვენებს. თუკი ყველაფერი ასე მოხდა, გუნდზე უზარმაზარი ზეწოლას ექნება ადგილი.

ამის მიუხედავად, პესიმისტურად განწყობილი სულაც არ ვარ. არ ვფიქრობ, რომ გუნდმა ბოლო შეხვედრები ძალზე იოლად მოიგო. თანაც, მნიშვნელოვანია, რომ ჰოლანდიის ნაკრებმა უბრალოდ კი არ გაანადგურა რამდენიმე მეტოქე, არამედ მათთან შეხვედრაში თვალში საცემი იყო უზარმაზარი განსხვავება სათამაშო კლასში. თანაც, გუნდს შეუძლია თამაშის წარმართვა განსხვავებულ ტემპში. ამის ნათელი დასტური იყო თამაში ისლანდიის ნაკრებთან. თუმცა ხსენებულ დაპირისპირებაში მეორე ტაიმში გუნდი ცოტა მოშვებულიც მეჩვენა. ჩემი აზრით, ეს ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტე იყო".



გამოვიდა ივნისის ნომერი

ვესტ ჰემი

# ჩაქუჩების საქმე გადაწყდა

„ვესტ ჰემის" ახალი მესაკუთრე გუშინ საბოლოოდ გაირკვა, პრემიერლიგური კლუბის ახალი მესაკუთრე ისლანდიური ფინანსური ჯგუფი CB Holding-ია. აღნიშნულმა კომპანიამ პირველი საკადრო გადაწყვეტილება უკვე მიიღო და კლუბის პრეზიდენტად „ჩაქუჩების" მსხვილი აქციონერი **ენდრიუ ბერნჰარდტი** დანიშნა. თავად „ვესტ ჰემის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით კი, ყოფილმა შეფებმა - **ბიორგოლფურ გუდმუნდსონმა** და **ასგეირ ფრიდგეირსონმა** პოსტები თავიანთი ნებით დატოვეს. პოსტზე რჩება კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **სკოტ დაქსბერი**. ბერნჰარდტი უკვე შეხვდა **ჯანფრანკო ძოლასა** და **სტივ კლარკს** და შეჰპირდა, რომ ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ პოსტებს და უფრო მეტიც, შეჭირვებული კლუბი ტრანსფერებისთვის გარკვეულ თანხასაც კი მიიღებს.

„მოხარული ვარ, რომ შემიძლია ფართო საზოგადოებას ვაცნობო, რომ შეთანხმება კლუბის გაყიდვაზე უკვე მიღწეულია. მოუთმენლად ველოდები დაქსბერისთან ერთად კლუბში მუშაობის დაწყებას, - განაცხადა ენდრიუ ბერნჰარდტმა. - ძოლასა და კლარკის სახით ჩვენთან მაღალი კვალიფიკაციის მწვრთნელები მუშაობენ და ჩვენ მათ უსიტყვოდ ვენდობით. თავად გუნდში კი არაჩვეულებრივად თანაცხოვრობენ გამოცდილი და ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელები. შემიძლია დავარწმუნო გულშემატკივარი, რომ ახალი ფეხბურთელების შესაძენად და გუნდის გასაძლიერებლად ფული გამოიყოფა, თუმცა ეს არ იქნება კოლოსალური თანხა. ყველაფერი რეალობიდან გამომდინარე მოხდება. ჩვენი მიზანია, გუნდის მიერ მინდორზე მიღწეული პროგრესი განვაგრძოთ. როგორც გითხარით, პროგრესს საჭირო ფინანსური მხარდაჭერა აუცილებლად ექნება. უკვე შემუშავებული გვაქვს კლუბის განვითარების ორწლიანი გეგმა, რომელიც მოიცავს „ვესტ ჰემის" ინფრასტრუქტურის განვითარებას. აქტიურ მუშაობას მაშინვე შევუდგებით, როცა კლუბის ახალი დირექტორთა საბჭო შეიკრიბება".


ბიორგოლფურ გუდმუნდსონი (მარცხნივ)
და ასგეირ ფრიდგეირსონი აპტონ პარკიდან წავიდნენ

მოსალოდნელი ტრანსფერები

# პავლიუჩენკო რომაში?


მარცხნივ რომან პავლიუჩენკო

იტალიური საინფორმაციო სააგენტო „ილ მესანჯერო" იტყობინება, რომ „რომამ" „ტოტენჰემიდან" რუსეთის ნაკრების თავდამსხმელის **რომან პავლიუჩენკოს** შეძენა განიზრახა. „ჯალოროსის" თავდასხმის გაძლიერება სურს, ლონდონურ კლუბს კი ფეხბურთელის თავიდან მოშორება. მოგეხსენებათ, ბოლო ტურებში ფეხბურთელსა და „მამლების" დამრიგებელ **ჰარი რედნაპს** შორის უსიამოვნება მოხდა - მწვრთნელმა ფეხბურთელი შეცვალა, მან კი ამით ნერვებმოშლილმა უნებართვოდ მიაშურა გასახდელს, რამაც რედნაპის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ტრანსფერის განხორციელებას ერთადერთი სერიოზული პრობლემა შეიძლება აღუდგეს წინ: ფეხბურთელის მაღალი სატრანსფერო ღირებულება. ლაპარაკია დაახლოებით 15 მილიონ ევროზე. „რომას" ერთ ფეხბურთელში გადასახდელი ამხელა ფული სავარაუდოდ არ ექნება.

თავის მხრივ, „ტოტენჰემი" კვალიფიციურ ცენტრალურ ნახევარმცველს ეძებს. აქედან გამომდინარე, შეიძლება გარიგებაში ჩაერთოს ვეტერანი **სიმონე პეროტა**, რომლის „რომადან" აბარგებაზე ბოლო ხანს ბევრს საუბრობენ.

# ოუენი ჭოჭმანობს

ცოტა ხნის წინ გაცნობეთ, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **მაიკლ ოუენი** კარიერას სავარაუდოდ „ევერტონში" განაგრძობდა. თუმცა მოვლენების ასეთ განვითარებას არ ეპუება „ასტონ ვილას" თავკაცი **მარტინ ონილი**. მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ფეხბურთელი „ვილა პარკზე" გადაიბიროს. „ბირმინგემ მეილის" ცნობით, გარიგება მხარეთა შორის შეიძლება უკვე დადებულად მივიჩნიოთ, რადგან ფეხბურთელსა და კლუბს შორის პირადი ხელშეკრულების დეტალები უკვე შეთანხმებულია - ოუენი კვირაში 55 ათას გირვანქას მიიღებს. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მაიკლი თავისუფალი აგენტია, ამას, წესით, წინ ვერაფერი უნდა აღუდგეს.

გამოცემის მტკიცებით, ფეხბურთელმა გადაწყვეტილება „ლივერპულის" გულშემატკივართა გამო მიიღო, რადგან ისინი თავიანთ კერპს მოწინააღმდეგე ბანაკის სამსახურს არასოდეს აპატიებდნენ. თავის მხრივ, შეუძლებელია იმის წინასწარ განსაზღვრა, რა რეაქცია ექნებოდათ „ევერტონის" ფანებს „ლივერპულის" ცოცხალი ლეგენდის კლუბში გამოჩენის შემთხვევაში.

# მასკერანო ბარსაზე უარს ვერ იტყვის

„ლივერპულის" არგენტინელი საყრდენი ნახევარმცველის **ხავიერ მასკერანოს** შეძენა „ბარსელონას" უნდა, - აღნიშნულ ინფორმაციას ესპანური და არგენტინული პრესა ავრცელებს. ფეხბურთელის აგენტის **უოლტერ ტამერის** თქმით კი, თუკი ასეთი შანსი მართლა გაჩნდება, მის კლიენტს კატალონიელთა წინადადებაზე უარის თქმა გაუჭირდება.

„ისეთი კლუბი, როგორიც „ბარსელონაა", ხავიერის სამსახურით არის დაინტერესებული. ეს მაშინ, როცა „ბლაუგრანას" ნახევარდაცვა ყველაზე მრისხანედ მიიჩნევა მთელ მსოფლიოში. ასეთი შანსის ხელიდან გაშვებას საკუთარ თავს ვერავინ აპატიებს, - ამბობს ტამერი, - ხავიერისთვისაც აღნიშნული ინფორმაციის მოსმენა დიდი პატივია. ვფიქრობ, თუკი „ბარსა" საქმეს სერიოზულად მოეკიდება, ტრანსფერს წინ ვერაფერი დაუდგება. რა მოხდება თუკი „ენფილდიდან" ჩაბი ალონსო წავა? მაშინ რაფაელ ბენიტესი მეორე წამყვან ნახევარმცველს აღარ გაყიდის. ასე რომ, შეიძლება ითქვას, რომ მასკერანოს ბედი გარკვეულწილად ჩაბიზეა დამოკიდებული და პირიქით. ვფიქრობ, „ლივერპული" არჩევანს მალე გააკეთებს".


ხავიერ მასკერანო

გვერდი მოამზადა
შალვა ბიბილაშვილმა

ინტერვიუ — კევინ კურანი



# მე ვიქნები მაგათის ჯეკოც და გრაფიტეც!

## შალკეს ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ჯერ კიდევ არ იციან და ვერ აცნობიერებენ, რაოდენ დიდი მწვრთნელი ეყოლებათ

2008-2009 წლების სეზონი ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას „შალკემ" ძალიან ცუდად ჩაატარა. დიდი ამბიციების მქონე გელზენკირხენულმა გუნდმა ბევრი იწვალა თუ ცოტა, ბოლოს მე-8 (!) ადგილს დასჯერდა და შესაბამისად, მომავალ სეზონში ევროტურნირებზე ვერ იასპარეზებს. თუმცა „შალკეს" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარი მწვრთნელისა და გენერალური მენეჯერის პოსტზე ისეთი სპეციალისტი დანიშნეს, რომ გელზენკირხენელი ქომაგები ძალიან იმედიანად არიან. ფელიქს მაგათისგან „შალკეში" სასწაულებს ელიან. ახლა, სხვა ფეხბურთელებთან ერთად „შალკეს" ფორვარდი და ერთ-ერთი ლიდერი კევინ კურანიც ისვენებს. ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის მიცემულ ინტერვიუში კურანი ჩაგდებული სეზონის, სამომავლო გეგმებისა და ფელიქს მაგათის შესახებ საუბრობს.

**- ჰერ კურან, ორი კვირაა, რაც გერმანიის ჩემპიონატი დასრულდა და საინტერესოა, როგორ შეაფასებდით 2008/2009 წლების სეზონს. ფაქტია, რომ „შალკემ" ვერც ერთ მიზანს ვერ მიაღწია და მოსალოდნელზე გაცილებით ცუდად იასპარეზა...**

- ორი აზრი არ არსებობს, ეს „შალკესთვის" ერთ-ერთი ყველაზე უარესი სეზონი იყო ბოლო წლების განმავლობაში. ჩვენ ყველანი გაცილებით მეტს ველოდით და სერიოზული მიზნები გვქონდა. სეზონის წინ მინიმუმ მეხუთე ადგილის დაკავება დავგეგმეთ. ისე კი, იმედი გვქონდა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდა და ჩემპიონობისთვისაც იბრძოლებდა. თამამად ვიტყვი, რომ ამისათვის ყველა წინა პირობა იყო შექმნილი, მაგრამ მთელი სეზონის განმავლობაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ.

**- წარსულზე საუბარი ყოველთვის ადვილია, მაგრამ მაინც: როგორ ფიქრობთ, რაში შეცდა „შალკე"? რა არ გაკეთდა სწორად? რისი გამოსწორება შეიძლებოდა?**

- დღეს ჩემთვის ერთი რამ ცხადზე უცხადესია: კონკრეტულ მიზნებზე ხმამაღლა არ უნდა გვესაუბრა. მაგრამ თითოეულ ჩვენგანს სჯეროდა, რომ „შალკეს" ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეეძლო. თუმცა აშკარად გადავამეტეთ, როცა სეზონის წინ მიზნებზე ხმამაღლა ვსაუბრობდით და ვამბობდით, რომ სამეულში აუცილებლად უნდა მოვხვედრილიყავით და პლუს ამას ჩემპიონობისთვისაც გვებრძოლა. „ვოლფსბურგის" მაგალითმა დამარწმუნა, რომ უმჯობესია, ჩუმად იყო და საქმე აკეთო. მთავარია, საქმეზე იყო კონცენტრირებული და შეუძლებელი არასდროს არაფერია. ჩვენ თავიდანვე კი არ უნდა გვეთქვა, რომ სამეულში მოსახვედრად ვიბრძოდით, არამედ კონკრეტულ მიზნებზე მხოლოდ კვირიდან კვირამდე უნდა გვეფიქრა. როცა გუნდი ძლიერია, ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. საჭიროა მხოლოდ საქმის კეთება!

**- მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მაინც მოახერხეთ გოლების გატანა და „შალკეს" მაისურით 53 გოლი დაგიგროვდათ, რითაც გუნდის ისტორიაში მესამე ბომბარდირი ხართ, ჩამორჩებით რა კლაუს ფიშერს (182 გოლი) და ებე სანდს (74 გოლი). ფიშერს ცხადია, ვეღარ გაასწრებთ. სანდს?**

- თუკი მომავალშიც ისე გავაგრძელებ, როგორც აქამდე ვთამაშობდი, შანსი მაქვს, რომ მეორე ადგილზე გადავიდე და სანდი უკან მოვიტოვო. თუკი მომეცემა ამის შანსი, ანუ, თუ „შალკეში" დამტოვებენ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ სანდს გავასწრო.

**- თქვენს კონტრაქტს ვადა 2010 წლამდე აქვს. წესით, „შალკეს" ხელმძღვანელებთან შეხვედრა უკვე დანიშნული უნდა გქონდეთ, რადგან ხელშეკრულება გაისად გიმთავრდებათ. როდის მიიღებთ გადაწყვეტილებას?**

- ჩემი აზრით, უმჯობესია, ხელმძღვანელებს ახლავე დაველაპარაკო. უფრო სწორად, როცა შვებულებიდან დავბრუნდები, მაგრამ მათთან შეხვედრა დანიშნული არ მაქვს. ახლა ყველანი ვისვენებთ და არაფერზე ფიქრი არ გვინდა. მე ჩემთვის ბევრ რამეზე ვფიქრობ, მაგრამ პირველი სიგნალი გუნდის შეფებისგან უნდა წამოვიდეს. თუკი ერთმანეთს შევხვდებით, დარწმუნებული ვარ, რომ საერთო ენას გამოვნახავთ, რადგან არსად წასვლას არ ვაპირებ, „შალკეში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და აქ დარჩენა მინდა!

**- მიუხედავად იმისა, რომ გოლები ყოველთვის გაგაქვთ, ფანები მაინც სკეპტიკურად გიყურებენ, თქვენგან ყოველთვის უფრო მეტს ელიან და გარკვეულწილად არც გაემტყუნებათ, რადგან ძალიან ბევრ საგოლე მომენტს აფუჭებთ ხოლმე.**

- პირველ წრეში ძალიან ხშირად მაკრიტიკებდნენ და მისტვენდნენ, რის გამოც გული მეტკინა და ამაზე ადრეც ვისაუბრე. ადრეც ვთქვი და ამას კიდევ ერთხელ გავიმეორებ: კრიტიკა ძალიან საჭირო რამ არის, მაგრამ კრიტიკა დამსახურებული უნდა იყოს. თანახმა ვარ მისტვინონ, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა საგოლე მომენტს გავაფუჭებ და არა პერმანენტულად, როცა ბურთს მივიღებ! ჩემთვის კრიტიკა ყოველთვის მისაღები იყო, ოღონდ ჯანსაღი კრიტიკა. მეორე წრეში ვითარება გამოსწორდა და ახლა უკვე ისევ მაქვს ის განცდა, რომ გულშემატკივრები მხარში მიდგანან. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია.

**- „შალკეს" მომავალ სეზონში ფელიქს მაგათი უთავკაცებს. ეს ის მწვრთნელია, რომლის ხელშიც ბუნდესლიგაში პირველად ითამაშეთ (შტუტგარტში - გ.ლ). რას ნიშნავს თქვენთვის ის, რომ მაგათი ისევ თქვენი მწვრთნელი იქნება?**

- ის დრო კარგად მახსოვს. მაგათის სისასტიკე საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი. მაშინ ფელიქსი ძალიან მკაცრი იყო და ვერ წარმომიდგენია, თუ მასზე მკაცრი მწვრთნელებიც არსებობენ. მკაცრი იყო და არის, მაგრამ მისი სისასტიკე ფეხბურთელებზე ყოველთვის ძალიან პოზიტიურად მოქმედებს. ფელიქსის ხელში ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და ის, რომ დღეს ამ დონის თავდამსხმელი ვარ, პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურებაა. მან იცის, როგორ უნდა გაზარდოს ფეხბურთელი. „შალკეს" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ჯერ კიდევ არ იციან და ვერ აცნობიერებენ, რაოდენ დიდი მწვრთნელი ეყოლებათ. მათ შესანიშნავი შანსი აქვთ, დიდ ფეხბურთელებად გაიზარდონ.

**- ერთხელ მაგათმა „შტუტგარტის" მეორე გუნდში გადაგისროლათ. რა დააშავეთ?**

- „შტუტგარტის" პირველ გუნდში დებიუტი 2001 წელს მქონდა, რადგან მოსამზადებელ შეკრებაზე ძალიან კარგად გამოვიყურებოდი და შრომა დამიფასა. მაგრამ მერე დიდი შეცდომა დავუშვი, როცა ვიფიქრე, რომ რაკი ერთხელ ვითამაშე, მერე თავისთავად ყველაფერი კარგად იქნებოდა და აღარ ვშრომობდი. ჰოდა, მაგათმაც დამსაჯა და ისევ მეორე გუნდში მიკრა თავი. „შალკეს" ახალგაზრდა ფეხბურთელებმა ასეთი შეცდომა არ უნდა დაუშვან.

**- მაგათს „ვოლფსბურგში" თავდასხმაში იდეალური დუეტი ჰყავდა ჯეკოსა და გრაფიტეს სახით. „შალკეს" წინა ხაზში კი თქვენ ფაქტობრივად მარტოკაცი ხართ...**

- შეიძლება მაგათმა ვინმე იყიდოს და შემიწყვილოს, თუ არა და მე ვიქნები მისი ჯეკოც და გრაფიტეც.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ვაგნერ ლავის ფლირტი შტუტგარტთან

...ლი ბიბლიოთეკა

## ბრაზილიელს ბუნდესლიგაში გადასვლა სურს

როგორც იცით, „შტუტგარტში" მიუნხენისკენ გეზაღებული **მარიო გომესის** შემცვლელად სხვა თავდამსხმელებთან ერთად, მოსკოვის ცსკა-ს ბრაზილიელი ფორვარდი **ვაგნერ ლავიც** მოიაზრება. რუსული კლუბის ბრაზილიელმა გოლეადორმა პირველად ისაუბრა „შტუტგარტში" მის შესაძლო ტრანსფერზე და განაცხადა, რომ ბუნდესლიგაში უდიდესი სიამოვნებით მოსინჯავდა ძალებს. „შტუტგარტის" ხელმძღვანელები ვაგნერ ლავის გადაბირების სურვილს ოფიციალურად ჯერ არ ადასტურებენ, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბრაზილიელი შვაბთა მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტის** სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზეა.

გერმანელი ჟურნალისტები 39 წლის ჰელდტთან დაკავშირებას ჯერ ვერ ახერხებენ. ეს უკანასკნელი შვებულებაშია. „კიკერისა" და „ბილდის" ცნობებით, ვაგნერ ლავთან ერთად, შტუტგარტელებს ჰოფენჰაიმელი **დემბა ბას** და ლიეჟის „სტანდარდის" ფორვარდ **მილან იოვანოვიჩის** შეძენაც სურთ, მაგრამ ფავორიტი ზემოთ ხსენებული ვაგნერ ლავია.

„ცხადია, „შტუტგარტის" შესახებ ბევრი რამ მსმენია. ეს არის ძალიან ძლიერი გერმანული კლუბი, რომელსაც ევროპაშიც სურს წარმატების მიღწევა, - აცხადებს ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი „სპორტ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - თუკი გერმანელები ჩემს გადაბირებას მოინდომებენ, დარწმუნებული ვარ, ცსკა-ს ხელმძღვანელები მათ ყურადღებით მოუსმენენ. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ევროპის რომელიმე კარგ კლუბში თამაში მინდა. ყველაზე მეტად ესპანეთი და იტალია მიზიდავს, მაგრამ ბუნდესლიგაც შესანიშნავი ვარიანტია."

ვაგნერ ლავის თქმით, ის მხოლოდ ისეთ გუნდში გადავა, სადაც ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას მისცემენ და დღესდღეობით „შტუტგარტი" სწორედ ასეთი გუნდია. რაც შეეხება სხვა კანდიდატებს: „შტუტგარტერ ნახრიხთენის" ცნობით, მენეჯერი ჰელდტი უკვე შეხვდა 28 წლის **იოვანოვიჩს**. ამ უკანასკნელს „სტანდარდთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და მისი სავარაუდო ფასი 5 მილიონი ევროა. გასულ სეზონში მან „სტანდარდისთვის" 12 გოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ვაგნერ ლავი შეიძლება შტუტგარტში გადავიდეს



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# სნეიდერი: მიუნხენში არ მინდა!

## გვარდიოლა ტონის ბარსელონაში ეპატიჟება

როგორც იცით, დიდი შანსია, რომ **ფრანკ რიბერიმ** „ბაიერნი“ დატოვოს და მადრიდის „რეალში“ გადავიდეს. ბავარიელები კი მის სანაცვლოდ, ფულთან ერთად, „სამეფო გუნდს“, სავარაუდოდ, **ვესლი სნეიდერსაც** მოსთხოვენ, რადგან რეკორდმაისტერის ახალ მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** ძალიან სურს, რომ სნეიდერი თავის გუნდში იხილოს. მაგრამ ჰოლანდიელ გარემარბს მიუნხენურ კლუბში გადასვლა არ უნდა, რაც მისმა აგენტმა ჩვენს ჰოლანდიელ კოლეგებსაც დაუდასტურა.

*„ვესლის „რეალში“ დარჩენა უნდა. „ბაიერნში“ გადასვლას არ აპირებს და საერთოდ არ აპირებს გუნდის გამოცვლას. ჩვენ არავისთან გვისაუბრია, სნეიდერი „რეალს“ ეკუთვნის და ამ გუნდში თავს ბედნიერად გრძნობს,“* - აცხადებს ფეხბურთელის აგენტი **სიორენ ლერბიუ** ჰოლანდიური გამოცემა „სპორტვიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.



ვესლი სნეიდერ

ამასობაში, იტალიურმა გამოცემებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ **ლუკა ტონის** „ბარსელონას“ მთავარი მწვრთნელი **პეპ გვარდიოლა** კატალონიურ გრანდში ეპატიჟება. როგორც იცით, რეკორდმაისტერის განკარგულებაში ახლა ხუთი თავდამსხმელია (**მიროსლავ კლოზე, თომას მიულერი, ლუკა ტონი** და ახალწვეულები, **მარიო გომესი** და **ივიცა ოლიჩი**) და ფაქტია, რომ მიუნხენურმა გრანდმა ერთი ფორვარდი უნდა მოიშოროს. ბავარიელთა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** განაცხადა, თუ ტონის გუნდის დატოვება მოუნდება, კალთებს არ დავახევთო.

„გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, გვარდიოლას ტონი ძალიან მოსწონს. პეპი და ლუკა 2001-დან 2003 წლამდე თანაგუნდელები იყვნენ. სწორედ ამ პერიოდში თამაშობდა „ბარსას“ თავკაცი იტალიურ „ბრეშიაში“ და იმხანად ტონი სწორედ ამ კლუბის თავდამსხმელი იყო.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

## არშავინი ხელფასის მომატებას ითხოვს

**ანდრეი არშავინი** „არსენალში“ თებერვალში ჩაირიცხა და მის ერთ-ერთ ლიდერად მალევე იქცა. ფეხბურთელს ლონდონელები კვირაში 80 ათას გირვანქას უხდიან, რაც „არსენალში“ მაქსიმალური ხელფასია. მასზე მეტი „მეთოფეებს“ ჯერ არავისთვის გადაუხდიათ. რუს ფეხბურთელსა და მის აგენტ **დენის ლახტერს** შესანიშნავი იდეა დაებადათ - მათ კლუბისგან ხელფასის მნიშვნელოვნად გაზრდა მოითხოვეს. ლახტერის განცხადებით, „არსენალმა“ უნდა დაფაროს ის ხარჯები, რაც მომავალ წელს დიდ ბრიტანეთში საშემოსავლო გადასახადის 50%-მდე აწევის გამო მის კლიენტს დაეკისრება. აღნიშნულ დოკუმენტს უკვე აქვს კანონის ძალა და ის მომავალი წლის აპრილიდან ამოქმედდება. საინტერესოა, თუ კანონი ძალაში აპრილში შედის, რატომ უნდა აანაზღაუროს კლუბმა „ზედმეტი“ ხარჯები ივნისიდან? ბატონმა ლახტერმა კომენტარი გააკეთა ერთ-ერთი ბრიტანული რადიოარხის ეთერში. მისი სიტყვა სოციალური დემაგოგიის ენციკლოპედიურ მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ:

*„ბრიტანეთის მთავრობამ მსოფლიოს კრიზისთან ბრძოლა იმ ადამიანების შრომის ხარჯზე გადაწყვიტა, რომელთაც დიდი შემოსავალი აქვთ. საშემოსავლო გადასახადის ასეთ მაღალ ნიშნულზე დაყენება, უსამართლობაა“.*

**შალვა ბიბილაშვილი**

## ვესტ ბრომვიჩმა მოუბრეის ფასი დაასახელა

ორშაბათს საღამოს „ვესტ ბრომვიჩის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „სელტიკმა“ **ტონი მოუბრეისთან** მოლაპარაკების დაწყების ნებართვა ითხოვა. კლუბის პრეზიდენტ **ჯერემი პისის** განცხადებით, მის ორგანიზაციაში დიდი ენთუზიაზმით არავინ შეხვედრია ამ წინადადებას, მაგრამ შოტლანდიელებს თანხმობა უკვე შეუთვალეს, თანაც იქვე მიუთითეს, რომ მწვრთნელთან კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა „ვესტ ბრომვიჩს“ 2 მილიონი გირვანქა ეღირს. ფეხბურთელობისას მოუბრეი 1991/95 წლებში იცავდა „სელტიკის“ ღირსებას და გლაზგოელ ფანებში დღემდე დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

**შალვა ბიბილაშვილი**

## რონალდოს ტრავმა სერიოზულია

როგორც პორტუგალიური პრესა იტყობინება, **კრისტიანო რონალდოს** საზარდულის თიაქრის პრობლემა აწუხებს და ლაპარაკი იმაზე, რომ ფეხბურთელი უახლოეს ხანებში მინდორზე გამოვა, თითქმის გამორიცხულია. შესაბამისად, დღეს ის პორტუგალია-ესტონეთის ამხანაგურ შეხვედრას გამოტოვებს. „ალისფერი ეშმაკების“ ვარსკვლავმა გუშინვე დატოვა სანაკრებო შეკრება და მშობლიურ კუნძულ მადეირაზე დაბრუნდა. ჯერჯერობით ექიმებს ტრავმის სირთულე არ დაუდგენიათ, მაგრამ თუკი მათი ყველაზე პესიმისტური პროგნოზი გამართლდა, რონალდოს, როგორც მინიმუმ 1,5 თვე გაუცდება. ასეთ შემთხვევაში მას „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოსამზადებელი ეტაპის ნაწილის გამოტოვებაც კი მოუწევს.

**შალვა ბიბილაშვილი**

## პანტელიჩის იტალიური შანსი?

იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, „რომას“ ბერლინის „ჰერტას“ სერბი თავდამსხმელის, **მარკო პანტელიჩის** გადაბირება უნდა. როგორც ჩვენი იტალიელი კოლეგები იუწყებიან, სერბეთისა და ავსტრიის მატჩში პანტელიჩს „ჯალოროსის“ სკაუტები აკვირდებოდნენ. ცნობილია, რომ პანტელიჩის „ჰერტადან“ წასვლა გადაწყვეტილი ამბავია. ბერლინელი ფანები მას ბუნდესლიგის ბოლო ტურში (შალკესთან) გამოემშვიდობნენ. თუმცა სერბს ჯერ ახალი გუნდი არ უპოვია. „რომას“ გარდა, პანტელიჩის გადაბირება „ჰამბურგსაც“ სურს.

**გოტფრიდ ლენცი**

ვარსკვლავი



ულამაზესი გოლი დენის ბერგკამპის შესრულებით

# არამფრინავი ჰოლანდიელი

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებს შორის ალბათ ყოველი გულშემატკივარი ამოარჩევს რამდენიმე საყვარელ მოთამაშეს, რომელთაც სხვებზე მაღლა დააყენებს. აღქმა ისეთი გენიალური მოვლენისა, როგორიც ფეხბურთია, ძალზე სუბიექტურია და ერთი სუპერვარსკვლავის სხვებისგან გამორჩევა ყოველთვის ემოციურ ნიადაგზე ხდება. ალბათ, ყველა გულშემატკივარი ეძებს სპორტის უპირველეს სახეობაში თავის პატარა სამყაროს...

სიმართლე ითქვას, ძალზე ძნელია, ობიექტური იყო ადამიანის მიმართ, რომელიც ოდესღაც შენი კერპი იყო. ჰო, რთულია **დენის ბერგკამპის** გენიაზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვეცდებით. დენისის კარიერა ძალზე ბევრ კითხვას ტოვებს. მათ შორის მთავარი: რატომ ვერ მოახერხა ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგისა და მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება? მაგრამ მის მიერ განვლილი გზის განხილვა მხოლოდ შედეგებიდან გამომდინარე, არასწორად გვეჩვენება. რადგან დენისი საფეხბურთო მხატვარი და კომპოზიტორი იყო. განა მხატვრებსა და კომპოზიტორებს იმის მიხედვით აფასებენ, რამდენი კონკურსი აქვთ მოგებული? ან მავანმა ჟიურიმ რა შეფასება დაუწერა? მათთვის არც ნაწარმოების რაოდენობას აქვს მნიშვნელობა. მთავარია მათ მიერ დატოვებული სამკვიდროს ხარისხი. დენის ნიკოლაას მარია ბერგკამპი კი კლასიკური „თავისუფალი მხატვარი“ იყო. სწორედ ეს იყო მისი მთავარი დადებითი თვისებაც. ამიტომაც გთავაზობთ, მისი კარიერა სწორედ ესთეტიკური ღირებულების მიხედვით შევაფასოთ.

დენის ბერგკამპმა გრანდიოზული როლი ითამაშა ფეხბურთის პოპულარიზაციაში, თუნდაც თავისი სუპერგოლებით. სწორედ მისი წყალობით დამკვიდრდა ფეხბურთში ისეთი ცნება, როგორიც არის "ჩრდილოვანი ფორვარდი". თანამედროვე ფეხბურთი კი ისე ვითარდება, რომ სუფთა ცენტრფორვარდის ამპლუა შეიძლება მალე წარსულში დარჩეს. არ ვკამათობთ, რომ ჰოლანდიურ ფეხბურთს ჯერ კიდევ ბერგკამპამდე ჰყავდა მისი სტილის თავდამსხმელები, მაგრამ პირველად სწორედ მან მოახერხა და გარდაქმნა ცენტრფორვარდის ცნება. მას მთელი კარიერის განმავლობაში სწორედ "ჩრდილოვან ფორვარდს" უწოდებდნენ. დენისის თამაშის სტილი, გოლები, რომელიც გაჰქონდა, დაფარული თუ გახსნილი პასები იმდენად იყო შეფუთული ექსკლუზიურ საბურველში, რომ შეუძლებელი იყო, ფეხბურთელისთვის კლასიკური ცენტრფორვარდი გეწოდებინა. ის ფანტასტიკურად გრძნობდა სივრცეს, როგორც ჩრდილი, მეტოქეებს ისე ჩუმად ეპარებოდა, თავისი იუველირული სიზუსტის გადაცემებით ყველა დაცვას ჭრიდა და მცველთა რაოდენობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არასოდეს ჰქონდა. დენისს ხანდახან მინდორზე „დამალვა“ სჩვეოდა. შეიძლებოდა, მთელი თამაში უსაქმოდ მდგარიყო, მაგრამ თავისი გასაკეთებელი წამებში გაეკეთებინა. მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევები იყო, როცა არაფერი გამოსდიოდა და ასეთ დროს დანებების ნიშნად ხელებს ჩამოუშვებდა ხოლმე. არსებობს შტამპი, რომელსაც, რატომღაც, ძალზე ხშირად უსვამდნენ ხაზს - „ის მინდორზე ლიდერი არ იყო“. დიახ, არ იყო, არ იყო ისეთი, როგორიც სხვებს სურდათ, ეხილათ. ამ მხრივ ის არ იყო **კრუიფის, ვან ბასტენის, გულიტისა** და **კუმანის** მსგავსი. ბერგკამპი თავისთავადი იყო. თუმცა ამის მიუხედავადაც კი შეუძლებელია, მასზე ვთქვათ, რომ საბრძოლო თვისებებით დაჯილდოებული არ იყო. გავიხსენოთ ეპიკური შეხვედრები დანიისა (1992) და ბრაზილიის (1994) წინააღმდეგ: შეხვედრები, სადაც ის გუნდისთვის ყველაზე რთულ მომენტებში პოულობდა ძალას, რათა გოლი გაეტანა. ხანდახან მინდვრიდან შეხვედრის შუა წელს გაჰყავდათ, როგორც ეს 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოხდა საფრანგეთთან; ის ხანდახან თავის თავში იკეტებოდა, როგორც ეს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იყო ბრაზილიასთან ნახევარფინალში. თუმცა იყო მატჩები, როცა მინდვრიდან თანაგუნდელებს ხელში აყვანილი გაჰყავდათ, როგორც „არგენტინა 1998-ის“ შემდეგ. 1996 წელს **გუუს ჰიდინკის** ფორმაციის უსახურ ჰოლანდიის ნაკრებს დენის ბერგკამპი მარტო მიათრევდა თამაშიდან თამაშამდე. განა ეს ცოტა იყო, რომ ის ეროვნული გუნდის ლიდერად გველიარებინა? ალბათ... მაგრამ მისებრ თავისუფალ მხატვრებს არასოდეს ძალუძდათ ლიდერობის ტვირთის (ამ სიტყვის კლასიკური გაგებით) ზიდვა.

დენის ბერგკამპის ფეხბურთის აზრი ყოველთვის შინაარსი იყო და არა შედეგი. ის მუდმივად ფიქრობდა და აანალიზებდა ყველაფერს, რაც მინდორზე ხდებოდა. მატჩის შემდგომ პრესკონფერენციებზე კი ხშირად ამბობდა - ჰოლანდიელთა ყველაზე დიდი პრობლემა ის იყო, რომ ისინი ძალზე დიდ დროს უთმობდნენ გუნდის... პრობლემების დეტალურ ანალიზს.

დიახ, ბერგკამპი ასეთი იყო: მხოლოდ საფეხბურთო ინტელექტი აძლევდა საშუალებას, მთელი რვა წამის განმავლობაში ბურთი ფეხზე მიეკრა და გამაოგნებელი, მაგრამ ძალზე მარტივი (მისთვის მარტივი) დრიბლინგის წყალობით „იუვენტუსის“ დაცვა ტერორში ჰყოლოდა იქამდე, ვიდრე ერთი შეხებით გენიალურ გადაცემას არ გაუკეთებდა **ფრედრიკ ლუნგბერგს**. მხოლოდ თავის ტვინის განსაკუთრებულად გამართულად მუშაობის წყალობა იყო, რომ მას შეეძლო, მეტოქე ისე მოეტყუებინა, ერთი ზედმეტი მოძრაობა არ გაეკეთებინა. დიახ, პრინციპი - „არც ერთი ზედმეტი მოძრაობა“ მისი დრიბლინგის განსაკუთრებული დამახასიათებელი ნიშანი იყო. მისი მთავარი პლუსი იყო სწორედ ის, რომ შეზღუდულ სივრცეში იმ ერთადერთ მოძრაობას აკეთებდა, რომლითაც მდგომარეობიდან გამოსვლა შეიძლებოდა. მეტოქის მოსატყუებლად მას მინიმალური მოძრაობა სჭირდებოდა. და მაინც, დენისს შეტევაში მარტო თამაში ყოველთვის უჭირდა. შეტევის ერთი შეხებით დასრულება, ბრძოლა საჯარიმოში ყოველი სანტიმეტრისთვის - მისი სტილი არ იყო. „არსენალში“ ბრწყინვალე პარტნიორი ჰყავდა **იან რაიტის** სახით. აი, ნაკრებში კი ასეთი თანაგუნდელი ნამდვილად არასოდეს ჰყოლია. ბერგკამპისა და **პატრიკ კლუივერტის** დუეტი სრულფასოვნად ვერასოდეს ამუშავდა, რადგან ორივე თავდამსხმელი ძალზე შემოქმედებითი სტილის იყო. **მარკო ვან ბასტენი** ფეხბურთიდან ძალიან ადრე წავიდა. ისე გამოვიდა, რომ ბედმა დენისს სწორედ მაშინ უმუხთლა, როცა ის საფეხბურთო აზროვნების პიკს უახლოვდებოდა. დარწმუნებული ვართ, ვან ბასტენი ბერგკამპისთვის იდეალური პარტნიორი იქნებოდა.

ბერგკამპმა ნაკრებში ვერაფრის მოგება ვერ მოახერხა. ჩემპიონთა ლიგის მოგებამდე კი ერთი ნაბიჯი დააკლდა - ეს 2006 წლის 17 მაისს მოხდა. შეიძლება ითქვას, რომ ბედმა მას აქაც მწარედ დასცინა. უკვე „მობერებული“ ვარსკვლავი **არსენ ვენგერმა** სათადარიგოთა სკამზე დატოვა. ფრანგი სპეციალისტი თავის მთავარ ვარსკვლავს მინდორზე ალბათ შეუშვებდა კიდეც, მაგრამ მე-18 წუთზე „არსენალი“ 10 კაცით, ჩვენი გმირი კი შეხვედრის ბოლომდე სკამზე დარჩა ისევე, როგორც მისი უმცროსი მეგობარი **რობინ ვან პერსი** (ისინი ძალიან ჰგავდნენ მოსწავლესა და მასწავლებელს). საინტერესოა, ნანობს თუ არა ვენგერი იმას, რომ ბერგკამპი მინდორზე არ შეუშვა... ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ მოინდომებდა ფეხბურთელი გოლის გატანას კარიერის უკანასკნელ შეხვედრაში?

მას გოლის გატანა თავის გამოსათხოვარ შეხვედრაშიც ძალიან უნდოდა. მასზე მუშაობდა მთელი მისი გუნდი, მაგრამ ვერ გაიტანა, რადგან... მინდორზე ძალიან ბევრს ფიქრობდა. ეს იყო ფეხბურთელი, რომელსაც ვერავინ დასდებდა ბრალს საფეხბურთო ეგოიზმში, რადგან ბურთს ყოველთვის მაშინ „იშორებდა“, როცა ეს საჭირო იყო. იყო თუ არა მასთან გამოთხოვების დღე „მისი დღე“? დიახ, მისმა გუნდმა გაიმარჯვა, თავად კი ყველაფერი გააკეთა ამისთვის... ამაზე მეტი დენისს არასოდეს არაფერი სჭირდებოდა.

კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ მწვრთნელად მუშაობას აპირებდა. დიახ, ეს ლოგიკური ნაბიჯი იყო მისი მხრიდან. ასეთი ინტელექტი ტყუილად არასოდეს უნდა დაიკარგოს. დენის ბერგკამპს კიდევ არა ერთი და ორი თაობისთვის შეუძლია გამოცდილების გაზიარება.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი




ვაჟა დანელიას ფოტო

# სცენაზე უკრაინული მუსიკა ჟღერდა

უკრაინელი დები **მუზიჩუკები მაია ჩიბურდანიძის** თასის გათამაშების ფავორიტები რომ არიან, ბევრჯერ ალვნიშნეთ. ხუთი ტურია გასული დღეისთვის და თავიანთ სტატუსს ისინი ამტკიცებენ, **ანა**, რომელიც 19 წლისაა და 3 წლით უფროსია **მარიაზე**, სულაც ცხრილს ჩაუდგა სათავეში და ჯერჯერობით შემცილებელი არავინ ჰყავს, ხოლო მარია ნახევარქულიანი ჩამორჩენით მიჰყვება კვალში ანას და არ არის გამორიცხული, რომ გადაასწროს კიდეც. გუშინ პირველ დაფაზე ანა თეთრებით **ბელა ხოტენაშვილს** ხვდებოდა, ვინც აქამდე უდანაკარგოდ თამაშობდა და ერთპიროვნული ლიდერი იყო 4 ქულით. ცხადია, ყურადღება აქეთკენ გვქონდა მიპყრობილი და ჩვენებურის წარმატებისა გვეიმედებოდა, თუმცა ისიც კარგად გვესმოდა, რომ მსოფლიოს კლასიფიკაციაში მეექვსე ნომერ მეტოქესთან შავებით მოგება ძალიან რთულია. დაიწყო პარტია და კაროკანის დაცვაში მთლად კარგად ვერ წარმართა ბელამ დებიუტი. ინიციატივა ანამ განავითარა და შეტევაზე ჯიქურ გადავიდა. ხოტენაშვილი დაცვაზე გადავიდა და ამ საქმეს კარგად ართმევდა თავს. თუმცა მუზიჩუკმა რალაც ისე ვერ გათვალა და შეტევას სიმწვავე მოაკლდა. მეტოქის შეფერხება მშვენივრად გამოიყენა ქართველმა დიდოსტატმა და იქით შეუქმნა პრობლემები მომხვდურს. ენდშპილში, სადაც ორივე მხარეს თეთრუჯრედოვანი კუ და ლაზიერი ჰყავდა, პაიკთა რაოდენობაც თანაბარი იყო (6-6). ამ დროისთვის უკვე ბელას გასჩენოდა მოგების შანსები და თუკი ზუსტად ითამაშებდა, შორს არ უნდა ყოფილიყო მოგება. სამწუხაროდ, გადამწყვეტ მომენტში ძალიან სუსტი სვლა გააკეთა და ინიციატივა კვლავ მუზიჩუკის ხელში გადავიდა. ანას ამჯერად აღარ გასჭირვებია მაქსიმალური სარგებლის მიღება ერთი შეხედვით თანაბარი პოზიციიდან და გაიმარჯვა. დასანანია, მაგრამ სლოვენიის სახელით მოასპარეზე უკრაინელმა წინა დღით დის დამარცხებისთვის რევანშის აღება შეძლო. როგორც გითხარით, მოიგო მარიამმაც და ეს ძალიან დაძაბულ ბრძოლაში შეძლო; თანაც მრისხანე მეტოქე დაამარცხა - სომეხი **ლილიტ მკრტჩიანი,** რომელიც რეიტინგით (2479 ) მესამეა ტურნირზე. თეთრებით უკრაინელი თამაშობდა და დებიუტიდანვე შეუქმნა პრობლემები ლილიტს. სულ მალე პაიკიც მოუგო და პოზიციაც ისეთი ჰქონდა, სომეხ დიდოსტატს სასწაულის იმედიღა თუ რჩებოდა პარტიის გადასარჩენად; და ეს სასწაული კინალამ მოხდა - მარიამმა სუსტი სვლა გააკეთა შუა თამაშში და ინიციატივაც გადააბარა მეტოქეს. სამწუხაროდ, მკრტჩიანმა საჩუქარი ვერ შეირგო და ისევ შეცდა, რაც უკვე საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის და ხარისხნაკლულმა მალე კაპიტულაცია გამოაცხადა.

გუშინდელი დღე აშკარად მუზიჩუკების იყო და ხატოვნად რომ ვთქვათ, ჭადრაკის სასახლის საკონფერენციო დარბაზის სცენაზე მათი მუსიკა ისმოდა. ფავორიტთაგან მხოლოდ დებმა იმარჯვეს. მეორე დაფაზე **მაკა ფურცელაძე** თეთრებით ხვდებოდა **ნანა ძაგნიძეს.** მაკა ძალიან კარგ ფორმაშია და არ იქნებოდა მოულოდნელი, რომ ამ შეხვედრაშიც ემარჯვა. ჰქონდა კიდეც შანსი, მაგრამ შუა თამაშის შემდეგ უკვე თავად გაუხდა საკუთარი მეფე დასაცავი და ბევრი იწვალა, რომ თეთრი დროშა არ გადმოეფინა. შეხვედრა ყაიმით დასრულდა, რაც მაკას უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე ძაგნიძეს. მეოთხე და მეხუთე დაფებზე ყაიმები დაფიქსირდა, რამაც მუზიჩუკს გაუადვილა ლიდერობა.

მეექვსეზე **ლელა ჯავახიშვილი** თეთრებით **ნინო მელაშვილს** ეტოქებოდა და ამჯერად ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც უმაღლესი კლასის დიდოსტატს ეკადრება, ქულაც ჩაიჩხრიალა ყულაბაში. სამაგიეროდ, კვლავ დაუცდა ფეხი **მაია ლომინეიშვილს,** ვინც შავებით **მირანდა მიქაძესთან** დამარცხდა. მაია აშკარად არ არის სათანადო ფორმაში. არადა, როგორც გახსოვთ, ორიოდ თვის წინათ ევროპის ჩემპიონატზე ლამის ოქროს გამოკრა ხელი, ბრინჯაო კი ნამდვილად უნდა დაესაკუთრებინა. მაიას მხოლოდ 2,5 ქულა აქვს და ალბათ საპრიზო სამეულში მოხვედრის ყველა შანსი დაკარგა...

სტარტი ცუდი ჰქონდა **ნინო ხურციძესაც,** მაგრამ გუშინ იმარჯვა და ნელნელა უახლოვდება ლიდერთა ჯგუფს. მოიგო **სოფიკო ხუხაშვილმაც** და ისიც დაუბრუნდება სცენას. **სალომე მელია** სცენიდან არც გასულა, მაგრამ გუშინ ამის საშიშროება დაუდგა - შავებით ხვდებოდა **მერი არაბიძეს.** დებიუტში ინიციატივის სანაცვლოდ ხარისხი შეწირა. ერთი შეხედვით შეწირვა ნაადრევი ჩანდა. მერი მშვენივრად გაერკვა ვითარებაში. მართალია, ორიოდ პაიკის დათმობამ მოუწია სანაცვლოდ, მაგრამ ხარისხის ხარჯზე შეეძლო მათი განეიტრალება. შეეძლო, მაგრამ არ აგმოუვიდა და ეს მაინც კლასის და გამოცდილების ნაკლებობის ბრალია. მელიამ სწორედ ამ კომპონენტებში აჯობა მერის, თუმცა არაბიძეს რომ ერთი გულუბრყვილო შეცდომა არ დაეშვა, არ წააგებდა. თვალსასეირო ბრძოლა სალომეს გამარჯვებით დასრულდა. მელიას დღეისთვის 3,5 ქულა აქვს და მე-6-15 ადგილებს იყოფს.

ძალიან საინტერესოა დღევანდელი ტური: პირველ დაფაზე ტურნირის პირველი და მეორე ნომრები ხვდებიან - ნანა ძაგნიძე ანა მუზიჩუკს დაუპირისპირდება. თეთრებით ქართველია და, ცხადია, გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს. ნანა ანას ნახევარი ქულით ჩამორჩება და აუცილებლად სჭირდება დადებითი შედეგი. მეორე დაფაზე მაკა ფურცელაძე მარია მუზიჩუკს ხვდება და ვისი მუსიკა გაიჟღერებს დღეს, ესეც საკითხავია. ჩვენ გვსურს, ქართული ჰანგებით დავატკბოთ სცენა და ვნახოთ, დაგვანებებენ თუ არა უკრაინელები.

მეექვსე ტურის წილისყრა. პირველი რვა დაფა: **ნანა ძაგნიძე (4)-ანა მუზიჩუკი (4,5); მაკა ფურცელაძე (4)-მარია მუზიჩუკი (4); ბელა ხოტენაშვილი (4)-სოფიკო ხუხაშვილი (3,5); ინგა ჭარხალაშვილი (3,5)-ლელა ჯავახიშვილი (3,5); სალომე მელია (3,5)-ნინო ბაციაშვილი (3,5); მირანდა მიქაძე (3,5)-ნინო ხურციძე (3,5); ქეთი წაწალაშვილი (3,5)-ლილიტ გალოიანი (3,5); ლილიტ მკრტჩიანი (3)-ანა გავაშელი (3,5).**

**ზვიად შათირიშვილი**

სამბო

# წარმატებულ ფალავნებს გარჯა დაუფასეს

საქართველოს სამბისტებმა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატსა და პირველობებზე, ტრადიციულად, უხვად მოიხვეჭეს მედლები. იტალიის ქალაქ მილანში ეროვნული ნაკრების წევრებმა ორი ოქროს (**უშანგი კუზანაშვილი, დავით სვიმონიშვილი**), ერთი ვერცხლისა (**გელა სანიკიძე**) და 3 ბრინჯაოს (**ავთანდილ ცინცაძე, მინდია ბოდაველი, ვახტანგ ზოიძე**) ჯილდო დაიმსახურეს. ახალგაზრდებმა და ჭაბუკებმა კონტინენტის პირველობაზე ლიტვის ქალაქ შიაულიაში იყოჩაღეს. ჭაბუკებში პირველ ადგილზე გავიდა **აჩიკო სინჯიკაშვილი,** მეორე იყო **გოჩა ვარძელაშვილი,** ხოლო **გივი ნადარეიშვილი, გენადი ჩირგაძე, ზვიად კაპანაძე** და **იაგო მესტვირიშვილი** „ბრინჯაოს" დასჯერდნენ. ახალგაზრდებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ **ნოდარ კუდუხაშვილი** და **ლაშა გურული.** მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები დათმეს **ვაჟა ლატარიამ** და **ლევან ნახუცრიშვილმა,** ოთხ მოჭიდავეს — **გიორგი გეჯაძეს, ბექა ბუცხრიკიძეს, გიორგი ბოლოთაშვილსა** და **დავით ბოჭორიშვილს** მესამე ადგილები ხვდა.

გუშინ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში სამბოს ფედერაციის ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი **ლევან თედიაშვილი,** მთავარი მწვრთნელი **ოლეგ იაძე**) საგანგებო პრესკონფერენციაზე 2009 წლის სეზონის განვლილი პერიოდის შედეგები შეაჯამა. ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულებს 2500-2500, მეორეადგილოსანს — 1500 და მესამე პრიზიორებს 1000-1000 ლარი გადასცეს სპორტულ ეკიპირებასთან ერთად. ფულადი პრიზები და ფასიანი საჩუქრები ხვდათ ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს, დაჯილდოვდნენ, ასევე, ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმი **ზურაბ კახაბრიშვილი,** მწვრთნელები — **გივი ზაუტაშვილი, ქართლოს პავლიაშვილი, ზურაბ ტუღუში, ელიზბარ ბიგანიშვილი, ტარიელ ცინცაძე** და ვეტერანი სამბისტი **იოსებ მალალაშვილი.**

**ლევან თედიაშვილი:** — დიდი მადლობა იმ სპორტსმენებს, რომლებმაც საერთაშორისო სარბიელზე გვასახელეს. ძალიან გვინდოდა, რომ პრიზების რაოდენობა მეტი ყოფილიყო, მაგრამ ჯერჯერობით ბიუჯეტი ამის საშუალებას არ გვაძლევს. ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. ყველა ხვდება, რომ ოლიმპიური სახეობების განვითარებას ვუწყობთ ხელს. ჩვენი ბიჭები ხომ წარმატებით ცდიან ძალებს ძიუდოში, ამიტომ სამბოს თანადგომა ძიუდოს თანადგომაც იქნება.

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ რეგიონებში სამბოს განვითარებას, ახალგაზრდა მსაჯების მომზადებას.

**ოლეგ იაძე:** — დღემდე მოპოვებული შედეგებით კმაყოფილი ვარ, თუმცა მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. განსაკუთრებით ეს ითქმის ჭაბუკებზე. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ჩვენდამი გულგრილი დამოკიდებულების შედეგს ახლა ვიმკით — ახმეტამ, საგარეჯომ, თელავმა, კასპმა საგრძნობლად დათმეს პოზიციები და ნაკრებში მოსახვედრად კონკურენციის შესუსტებამ უარყოფითად იმოქმედა. ბატონმა ლევანმა სწორად შენიშნა — ერთი სახეობის განვითარებამ მეორის ჩავარდნა არ უნდა გამოიწვიოს. პირიქით, ერთმანეთი უნდა გავაძლიეროთ. ბევრ სამბისტს ხომ წარმატებით დაუცავს ქვეყნის სპორტული ღირსება ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, თუნდაც ძიუდოში. დასტურად **ნესტორ ხერგიანის** და **ლევან წიკლაურის** დასახელებაც კმარა.

ჩვენი სპორტსმენები ახლა ერთი თვე დაისვენებენ, შემდეგ შევიკრიბებით და მსოფლიო ჩემპიონატისა და პირველობისთვის დავიწყებთ მზადებას. ეროვნული ნაკრები ჯერ ბათუმში გაივლის გამაჯანსაღებელ-საწვრთნელ შეკრებას, მერე — ბორჯომში. შემოდგომაზე მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტის თასზე გამოვალთ. ჩვეულებრივ, იქ მსოფლიოს ჩემპიონატის რვა საუკეთესო ნაკრები ხვდება. შარშანდელი აგვისტოს მოვლენების შემდეგ ჩვენ სანკტ-პეტერბურგში არ გვიასპარეზია, ამის მიუხედავად, პრეზიდენტის თასის გათამაშებაზე მეცხრე გუნდად მიგვიწვიეს, რადგან იციან ჩვენი ფალავნები ძალა და პოტენციალი. შარშანწინ გუნდურში მეორე ადგილი დავიკავეთ. ვეცდებით, წლეულსაც ფინალში ვიჭიდაოთ და გავიმარჯვოთ. ოქტომბერში ჭაბუკები და ახალგაზრდები სოფიაში მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან, ეროვნულ ნაკრებს კი ნოემბერში მსოფლიოს ჩემპიონატი ელის. ვინც ევროპაზე წარმატებას მიაღწია, ნაკრებ გუნდებში ადგილი გარანტირებული აქვს, დანარჩენ წონებში უფრო ძლიერებს შევარჩევთ. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სეზონის მიწურულს დასათვლელი მეტი გვქონდეს.



მარცხნიდან: ოლეგ იაძე და ლევან თედიაშვილი

**უშანგი კუზანაშვილი:** — ჩემთვის ყველაზე წარმატებული 2007 წლის სეზონი იყო, როცა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონობა მოვიპოვე. წლეულსაც დღემდე ყველა ტურნირი მოვიგე, მათ შორის — კონტინენტის პირველობა. ვეცდები, მსოფლიოს ჩემპიონატიდანაც „ოქროთი" დავბრუნდე. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენი შრომის დაფასებისთვის ფედერაციის ხელმძღვანელობას მადლობა გადავუხადო.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ძიუდო

# წიკლაური ბევრს ეცადა, მაგრამ...

გერმანიაში ძიუდოს ბუნდესლიგის მე-3 ტურის შეხვედრები გაიმართა. დიდი დანაკლისი განიცადა „ესლინგენმა", სანაკრებო შეკრების გამო კლუბს ვერ დაეხმარა ქართველი ლიდერი, ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ვარლამ ლიპარტელიანი.** ამის მიუხედავად, „ესლინგენმა" სტუმრად „ვისბადენი" დაამარცხა - 7:5 (ქულებით 70:42). სამხრეთის ზონის კიდევ ერთმა „ქართულმა" გუნდმა „ეტლინგენმა" ბუნდესლიგის ფავორიტ „აბენსბერგს" უმასპინძლა და 5:8 (42:64) წააგო. პირველ შეხვედრაში **ლევან წიკლაურმა** (81 კგ) იუკოთი დაამარცხა **ტონი ლეტნერი,** მეორეში კი - იპონით. მოკლედ, ლევანმა ყველაფერი გაილო თავისი კლუბისთვის, მაგრამ მას თანაგუნდელები ვერ აყვნენ, მათ შორის თანამემამულეებიც. **ბეთქილ შუკვანმა** (60 კგ) მხოლოდ ერთხელ იჭიდავა, მან ბრიტანელ **ჯეიმს მილართან** დათმო - იუკო ვაზარის წინააღმდეგ. მხოლოდ ერთხელ იჭიდავა **ადამ ოქრუაშვილმაც** (მძიმე წონა). მას გერმანიის ნაკრების ლიდერი **ანდრეას ტოლცერი** შეხვდა, წუთ-ნახევარში გერმანელმა იპონზე დააგდო ქართველი მძიმეწონოსანი. მეორე შეხვედრაში „ეტლინგენის" ხელმძღვანელობამ ტოლცერს **ტობიას პფაილი** შეახვედრეს, შედეგი იგივე იყო, ოღონდ ტოლცერს მოსაგებად წუთიც ეყო. „აბენსბერგის" რიგებში ერთი მატჩი გამართა **ჯარჯი ზვიადაურმა** (90 კგ), მან ეტლინგენელ **ტომას ბეკს** იპონით მოუგო. „ეტლინგენს" 5 ქულიდან 2 წიკლაურმა მოუტანა. **მინდია ხომიზურის** (66 კგ) „გროსჰადერნი" „ლაიფციგს" ესტუმრა და 2:12 (20:106) შერცხვა. პირველ შეხვედრაში მინდია **იოჰანეს ჰერციგთან** დამარცხდა (იუკო), მეორეში კი მათ შორის ფიცხელი ორთაბრძოლა გაჩაღდა, ორივემ ვაზარი მიითვალა, თუმცა წუთსა და 20 წამში ჰერციგმა ჩვენებური წმინდა გდებით დაამარცხა. სამხრეთ ზონაში ჯარჯის „აბენსბერგი" 6 ქულით ლიდერობს, 5 ქულა აქვს ლიპარტელიანის „ესლინგენს", მე-4 ადგილზეა „ეტლინგენი" 3 ქულით. მინდია ხომიზურის „გროსჰადერნი" კი უქულოდ ბოლო, მე-8 ადგილზეა.

მეორე ბუნდესლიგაში მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართა. **ავთანდილ შოშიაშვილის** „რბს ლაიფციგმა" 6:7 წააგო „ჰალესთან". შოშიაშვილმა (73 კგ) იპონით მოუგო **აქსელ ფრანკენბერგს.** მეორე შეხვედრაში მის წინააღმდეგ „ჰალემ" **მარკ ბურმაისტერი** გამოიყვანა, თუმცა ქართველმა ისევ იპონით იმარჯვა. „ლაიფციგი" 2 ქულით ბოლოსწინა, მე-7 ადგილზეა მეორე ბუნდესლიგის სამხრეთ ზონაში.

გერმანულ ბუნდესლიგაში სულ 16 კლუბია, ორ ზონად (სამხრეთი და ჩრდილოეთი) გაყოფილი. 7 ტურის შემდეგ ოქტომბერში გაიმართება ე.წ. მაისტერრუნდე, ნოემბერში კი ფინალ-რუნდე. თითოეული მატჩი 7 წონით კატეგორიაში ორი რაუნდისგან შედგება, თითო გამარჯვება თითო ქულაა, თუმცა ითვლება ქულები ილეთებისთვისაც, რომელთაც თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში მიეცემა მნიშვნელობა. ბუნდესლიგა მსოფლიოში ძიუდოს ყველაზე ძლიერი ლიგაა, იქ ევროპისა და აზიის ბევრი სუპერვარსკვლავი მონაწილეობს. სამწუხაროდ, ჩვენთვის ძიუდოს საკლუბო სისტემა ოცნებად რჩება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

# შენგელია ტრევიზოს კემპის ოლ სტარში



თორნიკე შენგელია

ყოველ ივნისს, NBA-ს დრაფტის დაწყებამდე ორიოდე კვირით ადრე იმართება საზაფხულო კემპი, რომელშიც ნიჭიერი კალათბურთელები ამერიკულ კლუბებს თავს აწონებენ. ამ საზაფხულო ბანაკში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ **ვიქტორ სანიკიძე, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე** და **გიორგი შერმადინი.**

ბოლო სამეულმა კემპზე შარშან ითამაშა. წლეულს ასეთ პრესტიჟულ ღონისძიებაში ერთი ჩვენიანია – "ვალენსიას" ფორვარდი **თორნიკე შენგელია.** იგი, ჩეხ **ტომაშ სატორანსკისთან** ერთად კემპის მონაწილეთაგან ყველაზე ახალგაზრდაა – 1991 წელსაა დაბადებული. ყველაზე უფროსები კი 1987-წლიანები არიან.

კემპის მონაწილეები იტალიის ქალაქ ტრევიზოში 5 ივნისს შეიკრიბნენ. პირველ დღეს "ბენეტონის" ბაზა "ლა ჯირადაზე" დაბინავდნენ.

მეორე დღე გაცნობისა იყო. კალათბურთელები გუნდებად დანაწილდნენ და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ იტალიაში ახალგაზრდებზე დასაკვირვებლად NBA-ს კლუბების წარმომადგენელთა გარდა სპეციალურ სტუმრებად მიიწვიეს ცსკა-ს თავკაცი **ეტორე მესინა,** "ვალენსიას" მწვრთნელი **ნევენ სპაჰია,** "ცრვენა ზვეზდას" დამრიგებელი **სვეტისლავ პეშიჩი** და სხვანი.

მესამე დღეს კალათბურთელები საქმეს შეუდგნენ. სადებიუტო მატჩში თორნიკე შენგელიას "წითლები" "ლურჯებს" დაუპირისპირდნენ. მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და ბოლო წამებზე გამარჯვება "წითლებს" დარჩათ – 67:64.

თორნიკე შენგელია სათადარიგო იყო. მან 17 წუთი ითამაშა და ეს დრო უქმად არ დაუხარჯავს: 3-დან 2 ორქულიანი ჩააგდო, ზედ 3 საჯარიმო მიაყოლა და 7 ქულას გამორჩა. გარდა ამისა, შენგელიამ 4 ჩაჭრა, 3 მოხსნა და თითო პასი-დაფარება მოაგროვა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ქართველი თავდამსხმელი თანაგუნდელთა შორის მესამე იყო: მისმა მქკ-მ 13-ს უწია.

პირველი დღის მიმოხილვაში ამერიკელი კრიტიკოსი **ჯონათან ჟივონი** ქართულ გვარსაც შეეხო: *"კიდევ ერთი კალათბურთელი, რომელზეც მომდევნო დღეებში სერიოზული დაკვირვება გვმართებს, ქართველი თორნიკე შენგელიაა. 18 წლის ქართველმა მხოლოდ 17 წუთი ითამაშა, მაგრამ დამაჯერებლად გაისარჯა და დამაგვირგვინებელ ფაზაში რამდენიმე ეფექტური მოძრაობა შეასრულა."*

სხვათა შორის, ბატონი ჟივონი შარშან გიორგი შერმადინზეც ხშირად წერდა. იგი ჟურნალისტი კი არის, მაგრამ აქამდე არაერთხელ მოუხდენია გავლენა სადრაფტო კანდიდატების შერჩევის პროცესზე.

გადავიდეთ ტურნირის მეოთხე დღეზე. თორნიკე შენგელიას თანაგუნდელმა "წითლებმა" გარემოს დამცველები გაანაწყენეს - "მწვანეებს" 68:64 აჯობეს. "მწვანეებმა" ბოლო პერიოდი 23:12 მოიგეს, თუმცა მანამდე შენგელიას გუნდელებს ისეთი უპირატესობა ჰქონდათ, რომ მეტოქეს თამაშის შემობრუნების უფლება არ მისცეს. პირველ შეხვედრაში დამაჯერებელი თამაშის შემდეგ მწვრთნელმა თოკოს 23 წუთი უბოძა. ქართველმა არც ამჯერად მოიკოჭლა. იგი 10 ქულას ასცდებოდა, 4-დან 2 საჯარიმო მაინც რომ ჩაეგდო. მან ერთ თავისუფალ ტყორცნას 6-დან 4 ორქულიანი მიამატა და 9 ქულას მოუყარა თავი. ქართველმა ფორვარდმა მონაგარი 3 მოხსნითა და ამდენივე ჩაჭრით შეავსო. მატჩის სნაიპერი შენგელიას თანაგუნდელი **ალექსეი შვედი** გახდა, რომელმაც 16 ქულა ჩააგდო.

ტრევიზოს კემპის დაწყებიდან მეხუთე დღე თორნიკესთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მან ჯერ ჯგუფური ეტაპის მატჩი ითამაშა, შემდეგ კემპის "ოლ სტარში" მიიღო მონაწილეობა.

ჯერ დილის შეხვედრაზე ვთქვათ. მანამდე დაუმარცხებლად მოასპარეზე "წითლებმა" ვერაფერი მოუხერხეს "შავებს". პირველი პერიოდი მუქებმა 23:9 მოიგეს. დარჩენილ დროში თორნიკე შენგელიას თანაგუნდელებმა სიტუაციის გამოსწორება კი სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და საფინალო სირენამ მათი 11-ქულიანი მარცხი დააფიქსირა – 65:54.

თორნიკე შენგელია სასტარტო ხუთეულში არც ამჯერად გამოჩენილა, თუმცა, სათამაშო დრო კიდევ უფრო გაეზარდა – 27 წუთი. ასეთი ტიპის მატჩები ძირითადად სპეციალისტებზე ეფექტის მოხდენას ემსახურება. ამიტომ ყველა კალათბურთელი ინდივიდუალური ოსტატობის გამოვლენას ცდილობს. შენგელია კი გუნდური ტიპის მოთამაშეა და სხვებისგან განსხვავებით მოკრძალებულად ისროლა: 2 ორქულიანი, 1 სამიანი და 4 საჯარიმო, რომელთგან მიზანში 1 ორქულიანი და 3 საჯარიმო მოარტყა. სამაგიეროდ სხვა კომპონენტებში გამოირჩა – 7 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა. "წითლების" ბომბარდირი, 14 ქულით **არტიომ ზაბელინი** გახდა. მის გარდა მხოლოდ ერთმა კალათბურთელმა გადალახა ათქულიანი ზღვარი.

ახლა კემპის მთავარ მოვლენაზე, ვარსკვალვთა მატჩზე. "ოლ სტარში" ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ტურნირის მონაწილეთა ნაკრები და სპეციალური სტუმარი სერბული "რაბოტნიჩკი". ამ გუნდმა საპატიო სტუმრის პატივი იუნიორთა ევროლიგის მოგებით დაიმსახურა.

ვარსკვლავთა ნაკრებმა სერბებს მეორე პერიოდში მოუთავა საქმე – 37:18 მოუგო. საფინალო ანგარიში კი 96:77 იყო. ...შეხსენება არ დაგჭირდებათ ვის სასარგებლოდ.

თორნიკეს არც ვარსკვლავთა მატჩში შეურცხვენია თავი – 19 წუთი ითამაშა, 7 ქულა, 2 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა. იგი შეტევაში ამჯერადაც ზუსტი იყო: 1-დან 1 სამქულიანი, 3-დან 1 ორიანი, 2-დან 2 საჯარიმო.

კემპის ბოლოს მონაწილეები მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ვფიქრობთ, სტატისტიკაზე საკმარისად ვისაუბრეთ. ბოლოს თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ ერთ ნიუანსს: თორნიკე შენგელიას თავისზე უფროსებში უწევდა ასპარეზობა. ზოგიერთი კალათბურთელი მასზე 4 წლით უფროსიც გახლდათ...

## ესპანეთის ვიცე-ჩემპიონი

ტრევიზოს კემპის დაწყებამდე თორნიკე შენგელიამ "ვალენსიასთან" ერთად ესპანეთის ჭაბუკთა ჩემპიონატში ითამაშა. ფინალურ მატჩში ვალენსიელებმა "მალაგასთან" წააგეს და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

ამ ტურნირზე შენგელია საშუალოდ 15.2 ქულას და 8.2 მოხსნას აგროვებდა.

ესპანეთის ჭაბუკთა პირველობაზე თავგამოჩენილ კალათბურთელებს ინტერნეტგაზეთ "სოლობასკეტში" ცალცალკე სტატიები მიეძღვნა. აი, როგორ ახასიათებენ თორნიკე შენგელიას:

*ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელია ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კალათბურთელია. მას სხვა ჭაბუკებთან შედარებით ზრდასრულთა ტურნირებში თამაშის გამოცდილებაც აქვს.*

*შენგელია "ვალენსიას" ჭაბუკთა გუნდში ერთ-ერთი ლიდერია. იგი 203 სმ. სიმაღლისაა და მისთვის შესაფერისი ამპლუა მსუბუქი ფორვარდობაა. ქართველი ახალგაზრდა ათლეტურია და ფიზიკურად შესანიშნავად გამოიყურება. იგი შეტევაში მეტად ეფექტურია, სასტარტო სისწრაფეს იოლად ავითარებს და ერთი-ერთზე კარგად შეუძლია მეტოქის მოტყუება. 203 სმ. სიმაღლის კალათბურთელის კვალობაზე ბურთს კარგად ატარებს, თუმცა, მაღალი კლასის ფლანგის მოთამაშედ რომ ჩამოყალიბდეს, დრიბლინგზე კიდევ უნდა იმუშაოს.*

*თორნიკე შენგელია შემოქმედი კალათბურთელია, განსაკუთრებით დამაგვირგვინებელ ფაზაში. იერიშისას იგი იყენებს თავის სიძლიერესა და მოქნილობას. მან კარგად იცის, რომელ ეპიზოდში როგორ მოიქცეს".*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ოქსანამ მხნედ დაიწყო



ოქსანა კალაშნიკოვა

საქართველოს პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** (172) წარუმატებლად დაიწყო ასპარეზობა მარსელის (საფრანგეთი) საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი ამერიკული დოლარია. ანა უკვე დაემშვიდობა წყვილთა ბადეს, თუმცა მთავარი მაინც ერთეულთა ასპარეზობაა, სადაც ტატიშვილის მეტოქე მე-5 ნომრად განთესილი ფრანგი **პოლინ პარმენტიეა** (78). წყვილებში ანა იტალიელ **კორინა დენტონისთან** (144) ერთად ასპარეზობდა. მათ იტალიურ-არგენტინულ (**ტატიანა გარბინი** (69) და **მარია-ემილია სალერნი** (489)) დუეტთან დათმეს - 6:4, 4:6, 6:10.

იტალიური კამპობასოს თიხნარზე ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $) დაიწყო. გაირკვა **მაკა ჩახნაშვილის** (253) პირველი მეტოქის ვინაობა, მე-5 ნომრად განთესილ ქართველს საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული, მასპინძელი **ვალენტინა სულპიციო** (463) შეხვდება. წყვილთა ბადეში ჩახნაშვილი სერბ **ანა იოვანოვიჩთან** (236) ერთად მეოთხედფინალიდან ჩაერთვება ასპარეზობაში. ეს დუეტი მე-4 ნომრადაა განთესილი ტურნირზე.

დაიწყო ქარშის (უზბეკეთი) საერთაშორისო ტურნირი, 25-ათასიანი საპრიზო ფონდით. ოთხი ჩვენებურიდან კორტზე სამი უკვე გამოვიდა. სამწუხაროდ, მათგან მხოლოდ მე-7 ნომრად განთესილმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** (290) იმარჯვა. 18 წლის ოქსანამ ორ სეტში მოუგო რუს **მარინა შამაიკოს** (459) - 7:6 (6), 6:3. **სოფიო შაფათავას** (270) უიღბლო სერია გრძელდება, მესამე ნომრად განთესილმა ქართველმა 17 წლის უკრაინელ **ანასტასია ვასილიევასთან** (367) დათმო - 4:6, 0:6. **სოფიო ქვაცაბაიამ** (564) „უაილდ ქარდით" მიწვეულ 16 წლის უზბეკ **ალექსანდრა კოლესნიჩენკოსთან** (767) წააგო - 6:7 (3), 7:6 (5), 3:6. **ეკა გორგოძე** (549) თავის პირველ მატჩს დღეს ითამაშებს, მას საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებული უკრაინელი **ანასტასია ლიტოვჩენკო** ელის. მერვედფინალში კალაშნიკოვა „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელ **საბინა შარიპოვას** შეხვდება. წესით და რიგით, ჩვენებურმა უნდა გაიმარჯვოს, რადგან შარიპოვა ურეიტინგო, 14 წლის ჩოგბურთელია. თუმცა ისიც ალვნიშნოთ, რომ შარიპოვამ აპრილში რეიტინგში ოქსანაზე ზემოთ მყოფი სოფიო შაფათავა დაამარცხა.

წყვილთა ბადეში ოთხივე ჩვენებური, ბუხარის ტურნირის დარად, უცხოელთან ერთად თამაშობს. პირველ წრეში ჩვენს ინტერესს ერთი მატჩი იწვევს, სადაც ქართველები ერთმანეთის წინააღმდეგ ითამაშებენ. შაფათავასა და რუსი **ელენა კულიკოვას** (343) მე-4 ნომრად განთესილი გუნდი ქვაცაბაიასა და **ავგუსტა ციბიშევას** (რუსეთი, 617) დუეტს დაუპირისპირდება. ოქსანა კალაშნიკოვა და უკრაინელი **კრისტინა ანტონიჩუკი** (229) მე-3 ნომრად არიან განთესილები, ხოლო გორგოძე ბელარუს **ვიქტორია იემიალიანავას** (697) გაუწევს კომპანიას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფოტომატიანე



ასე თამაშობდა თემურაზ კაკულია

რაგბი



ინტერვიუ ავთო ლიბრაძესთან

# ქართული რაგბის აღმასვლა სამოცდაათიანი წლების ბოლოს დაიწყო

## მეეზოვეებად გაგვაფორმეს და ორ მორაგბეს 50 მანეთს შუაზე უყოფდნენ

**ქართული** რაგბის დღევანდელი წარმატებების საძირკველი ჯერ კიდევ შორეულ წლებში ჩაიყარა. მორაგბეებმა, რომლებიც საქართველოში ოვალური ბურთით თამაშის სათავეებთან იდგნენ, ღირსეულად, საკუთარ მხრებით ზიდეს მძიმე ჭაპანი. მათ მიერ დათესილ ნაყოფს კი, ახლალა ვიმკით. ამაგდართა შორისაა ჩვენი ქვეყნის უპირველესი გუნდის, თბილისის „ლოკომოტივის“ მეორეხაზელი, მრავალი წლის განმავლობაში ამ გუნდის კაპიტანი ავთო ლიბრაძე.

- თავდაპირველად კალათბურთს ვთამაშობდი, - გვიამბობს ავთო ლიბრაძე - 1964 წელს სამედიცინო ინსტიტუტში ჩავაბარე და ამ გუნდის ღირსებას 1970 წლამდე ვიცავდი. მერე „ბურევესტნიკში“ ჩავირიცხე, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა.

**- რაგბის თამაში როდის დაიწყეთ?**

- თავდაპირველად 1967 წელს თემურ რუხაძემ ამიყოლია, რომელიც იმ დროს „ლოკომოტივში“ თამაშობდა. რაგბით მოხიბლული ნამდვილად არ დარჩენილვარ, არ მომეწონა. ზამთარში დარბაზში ვივარჯიშეთ. რომ გამოზაფხულდა „ლოკომოტივის“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე ვითამაშეთ, მინდორზე მახოხეს. მუხლები მთლიანად გადავიტყავე. ხელი ჩავიქნიე, არა ეს ჩემი საქმე არაამეთქი და ექვსი წელი რაგბის აღარ გავკარებივარ. მერე 1973 წელს ისევ თემურ რუხაძე შემიჩნდა და... საბოლოოდ დავუკავშირე რაგბის ჩემი ცხოვრება.

**- იმ პერიოდისთვის „ლოკომოტივი“ უკვე საკავშირო პირველობაზე ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა. ახალბედა მოთამაშეს გუნდში როგორ დაგხვდნენ?**

- „ლოკომოტივში“ იმ დროს დიდი პიროვნებები თამაშობდნენ. მწვრთნელი გოგი ტონია იყო, რომელიც მერე ნოდარ ყიფიანმა შეცვალა. მისგან კი, ესტაფეტა თემურ ბენდიაშვილმა გადაიბარა. ამ პიროვნებებმა ეპოქა შექმნეს ქართულ რაგბიში. ახლა მოთამაშეები ავილოთ: ვახო ფეტვიაშვილი, რომელიც მაშინ გუნდის კაპიტანი იყო, გია ჯაფარიძე, მურად გეგეშიძე, ზურაბ ხარშილაძე. ამ ადამიანებთან ურთიერთობამ ბევრი შემძინა.

ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული რომ არ გვქონოდა ვერაფერს მივაღწევდით. იმდენად დავახლოვდით, ერთმანეთის მეჯვარეები, ნათელმირონები გავხდით.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ ქართველ მორაგბეთაგან ყველაზე ხანგრძლივი სათამაშო კარიერა გაქვთ?**

- „ლოკომოტივში“ 1996 წლამდე ვითამაშე. 1994 წელს, ერთი სეზონი მე და ჩემი ვაჟი ერთადაც კი ვთამაშობდით. მერე ჩემს ყოფილ თანაგუნდელთან, ლევან მგელაძესთან ერთად თბილისის არმიის სპორტულ კლუბში რაგბის გუნდი შევქმენით და 2002 წლამდე იქ ვიყავი მოთამაშე მწვრთნელად. ამის შემდეგ ფინანსური პრობლემების გამო გუნდი დაიშალა.

**- იქნებ გაიხსენოთ, რომელი მატჩია თქვენთვის ყველაზე კარგად მოსაგონარი და რა მიზეზის გამო?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, ვფიქრობ, ორი შეხვედრაა. 1978 წელს საბჭოთა კავშირის თასის ნახევარფინალი და ფინალი. ორივე მატჩი თბილისში გაიმართა. ნახევარფინალში მონინოს „ვვა“ დავამარცხეთ - 33:3. ამ შეხვედრას 5 ათასი მაყურებელი დაესწრო. ეს იმ დროისთვის ძალიან დიდი რაოდენობა იყო. ფინალზე კი, მოსკოვის „სლავასთან“ 10 ათასი კაცი მოვიდა საქომაგოდ. გამორჩეული შემართებით, სულ სხვა ალმაფრენით ვითამაშეთ და 36:3 მოვიგეთ. ხალხი მოედანზე გადმოვიდა. ჩვენთან ერთად ზეიმობდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული რაგბის აღმასვლა სწორედ მაშინ, საბჭოთა კავშირის თასის მოგების შემდეგ დაიწყო.

**- რა შეიცვალა გუნდის თამაშში ისეთი, რომელმაც იმხანად „ლოკომოტივს“ დიდი წარმატებები მოუტანა?**

- მაშინ საბჭოთა კავშირში ყველა ერთი სტილით თამაშობდა. მხოლოდ ინგლისელი „პინგვინების“ სტუმრობის შემდეგ შეცვალა რადიკალურად თემურ ბენდიაშვილმა ყველაფერი. თამაშის აქცენტი ძირითადად შერკინებაზე გადავიტანეთ. მორკინალების მიერ მოპოვებულ უპირატესობას კი, უკანახაზელები იოლად გარდასახავდნენ ლელოდ. მაშინ უკვე გუნდის კაპიტანი ვიყავი და რა კომბინაციასაც ვიტყოდი, ყველაფერი გამოგვდიოდა.

**- მინდა ერთ საკმაოდ მტკივნეულ თემას შევეხო. რამდენადაც ვიცი, თქვენ აფხაზეთში იბრძოდით.**

- დიახ, თბილისის ბატალიონში ვირიცხებოდი. რამდენიმე დღით თბილისში ვიყავი ჩამოსული. უკან რომ უნდა დავბრუნებულიყავი, წინა დღით ჩემი ვაჟი გამეპარა სოხუმში. მეორე დღეს მეც გადავფრინდი. სადაც მივაკითხე, ვერსად მივუსწარი. სოხუმში მითხრეს, გუშინ ოჩამჩირეში გადაიყვანესო. იქ ჩავაკითხე, სოხუმში დაბრუნებული დამხვდა. კვირის თავზე კი, სოხუმში დაილუპა. დამიმალეს. მითხრეს თბილისში დაბრუნდაო და შინ რომ მოვდიოდი, სიმართლე გზაში შევიტყვე.

**- საინტერესოა, ამდენი წლები რაგბის თამაშს შეალიეთ. სათანადო ანაზღაურებას თუ იღებდით ამისთვის?**

- არაფერს გვიხდიდნენ. მხოლოდ ერთხელ, 1978 წელს ნავთლუღის სადგურში გაგვაფორმეს მეეზოვედ. 50 მანეთს გვიხდიდნენ. იმასაც მე და ავთო გიორგაძე ვიყოფდით. თასი რომ მოვიგეთ, იმავე წელს ავტომობილების შეძენის უფლება მოგვცეს ურიგოდ. ამის მეტი რაგბიდან არაფერი მახსოვს. თან ვმუშაობდი რესპუბლიკურ საავადმყოფოში, თან ვთამაშობდი. სხვაგვარად არ გამოდიოდა.

**- დღესაც მოღვაწეობთ რაგბიში. როგორ შეაფასებდით საქართველოში სპორტის ამ სახეობის ამჟამინდელ მდგომარეობას?**

- მიმაჩნია, რომ საქართველოში რაგბი დღესდღეობით პროგრესს განიცდის. ნაკრების თამაშში ჩავარდნები არის ხოლმე, მაგრამ ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა. ამას ვერსად გაექცევი. ასეთია სპორტი ხან მოიგებ, ხანაც წააგებ.

ძალიან კარგია, რომ ბევრი ბავშვია რაგბით დაკავებული. თითქმის ყველა უქმეზე ტარდება სარაგბო ფესტივალები, ჭაბუკთა A და B ლიგის თამაშები. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის. აგერ ისეთ რაღაცას გააკეთებენ ხოლმე ეს პატარა ონავრები, რომ გაოცდები. ამას ვერ ასწავლი. ეს გენში აქვთ, ნიჭია. გარწმუნებთ, ქართულ რაგბის ძალიან კარგი მომავალი აქვს, თუმცა ყურადღება მაინც მეტი სჭირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

# გვინდა, ევროპაზე საქართველო ვასახელოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისთვის (მთ. მწვრთნელი ნუგზარ სხირელი) გასული წელი საკმაოდ უხვმოსავლიანი გამოდგა. წლეულსაც შესანიშნავად ასპარეზობენ. მარტო სამ საერთაშორისო შეჯიბრებაში ოცდაათამდე მედალია მოპოვებული. ამჟამად ნაკრები ევროპის ჩემპიონატისათვის ვარიანის სპორტულ კომპლექსში ემზადება. სპეციალისტთა შეფასებით ამ ერთობ პერსპექტიული გუნდის რამდენიმე წევრის შესაძლებლობები აქედანვე დიდ იმედს იძლევა სამომავლოდ უფროსთა შორისაც მნიშვნელოვანი შედეგების საჩვენებლად. შეკრებაზე უშუალოდ ვიხილეთ სპორტსმენთა თავდაუზოგავი შრომა. გადავწყვიტეთ მკითხველისთვის ორი მათგანის, დავით მარსაგიშვილისა და გიორგი საკანდელიძის უფრო ახლოს გაცნობა. მარსაგიშვილი (84 კგ) მიმდინარე სეზონში იმით გამოირჩა, რომ ხუთ სერიოზულ შეჯიბრებაზე იჭიდავა და ხუთჯერვე ფინალში გავიდა (სამჯერ ჩემპიონი გახდა). საკანდელიძე კი მუდამ პრესტიჟულად მიჩნეულ მძიმე წონით კატეგორიას წარმოადგენს, წარმატებები არც მას აკლია. მას და ლევან ბერიანიძეს კონკურენციის დასაძლევადაც ჯერ ურთიერთში უწევთ ბრძოლა. გუნდის თავკაცი ფიქრობს, რომ ერთი მათგანი ევროპის, ხოლო მეორე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დააყენოს გუნდში.



დავით მარსაგიშვილი

## დავით მარსაგიშვილი:

— ვარჯიში სტეფანწმინდაში მამაჩემთან დავიწყე. იგი მწვრთნელია და შვილები ალბათ ამიტომაც სპორტს ვეზიარეთ. ამჟამადაც ჭიდაობენ ჩემი უფროსი ძმები - ირაკლი და გიორგი. უკვე სამი წელიწადია თბილისში, ფალავანთა კლუბში ვემზადები. ჩემი პირადი მწვრთნელი დავით ხურცია გახლავთ.

**— სტეფანწმინდაში არ არის დაოსტატების პირობები?**

— მამამ თვითონ გაარემონტა დარბაზი და საკმაოდ წარმატებითაც მუშაობს, თუმცა ამ ეტაპისთვის მიჯობდა თბილისში გადმოვსულიყავი. ისე კი უნდა აღვნიშნო, რომ უწინდელივით დატვირთული არაა სტეფანწმინდაში ჭიდაობის დარბაზი. უფრო დედაქალაქისკენ წამოვიდა სპორტსმენთა ნაკადი.

**— შენთვის ახალგაზრდულ ნაკრებში ეს პირველი სეზონია და საკმაოდ კარგ შედეგებსაც იმკი. ჭაბუკთა შორის რა მიღწევები გქონდა?**

— 2007-08 წლებში საქართველოს ჩემპიონი გავხდი, პირველ წელს ირანის საერთაშორისო ტურნირი მოვიგე, თურქეთში კი მეორეზე გავედი. ვერცხლის მედალი მოვიპოვე ევროპის ჩემპიონატზეც. სამწუხაროდ, შარშან ქვეყნის ჩემპიონობის შემდეგ საერთაშორისო ხალიჩაზე წარმატებით ველარ გამოვედი, ფაქტობრივად, ჩავარდნა მქონდა.

**— სამაგიეროდ, მიმდინარე სეზონი ჯერჯერობით უხვმოსავლიანია შენთვის...**

— შეცდომების აღმოსაფხვრელად გულდასმით ვიმუშავე და ამან, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. წლეულს ისევ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი. შემდეგ რიგის საერთაშორისო ტურნირზე მხოლოდ ფინალი დავთმე. მომდევნო, ბაქოს საერთაშორისო შეჯიბრებაზე კი დამაჯერებლად ვაჯობე ყველას. პირველი ვიყავი დავით გობეჯიშვილის სახელობის ტურნირზეც. ახლახან ანთალიაში მეორე ადგილს დავჯერდი.

**— ანუ ხუთივე შემთხვევაში ფინალში გააღწიე და სამჯერ გადამწყვეტი შერკინებაც მოიგე.**

— ეს მეტყველებს, რომ ცუდ ფორმაში არ ვარ, მაგრამ მაინც გული მწყდება ორ წაგებულ ფინალზე. ანთალიაში შესაძლოა ერთგვარი გადაღლაც იყო ფინალში მარცხის მიზეზი. ახლა ძალების აღდგენაზე და, საერთოდ, ნაკრების მწვრთნელების ხელმძღვანელობით საფუძვლიანად ვმუშაობ. ძალიან მინდა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს სახელით, რაც შეიძლება კარგად წარმოვაჩინო თავი.

**— შედეგებიდან გამომდინარე, შენს წონით კატეგორიაში კონკურენცია, გარკვეულწილად დაძლეულიც გაქვს?**

— ერთ-ერთი კონკურენტს, ვასილ კოტორაშვილს საქართველოს ჩემპიონატისა და გობეჯიშვილის სახელობის ტურნირის ფინალურ ორთაბრძოლებში ვძლიე. წონის გამოკვეთილ ფავორიტთა შორის მყოფმა ბექა ჭელიძემ კი წლეულს, გარკვეულ ხანს, უფროსთა შორის იასპარეზა. მასთან უშუალო შეხვედრა არ მქონია, თუმცა ბაქოს საერთაშორისოზე ორივემ ვიასპარეზეთ და მე უკეთესი შედეგი მქონდა.

## გიორგი საკანდელიძე:

— აქამდე თბილისის „შრომითი რეზერვების“ დარბაზში ვვარჯიშობდი. წლეულს გადავედი ფალავანთა კლუბში. ჩემი წონის გამო, ძალიან ცოტა ხანს მომიწია ჭაბუკთა შორის ასპარეზობამ. უმცროსებში უკვე 100 კგ-ზე მეტი ვიყავი და იძულებული გავხდი, ახალგაზრდებში გადავსულიყავი.

**— მძიმე წონაში, როგორც ვიცით, საკმაოდ მძაფრი კონკურენცია გაქვთ შენ და ლევან ბერიანიძეს.**

— ... და ორივე თავდაუზოგავად ვიბრძვით საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად. ლევანთან შარშან საქართველოს ჩემპიონატზე ნახევარფინალში წავაგე და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავედი. საქართველოს წლევანდელ ჩემპიონატზე კი რევანშს მივაღწიე. ჩვენ რიგის საერთაშორისო შეჯიბრებაზეც მოგვიწია ერთმანეთთან შეხვედრამ, სადაც, ისევე, როგორც მანამდე, მონეტის წესმა წამაგებინა. უნდა აღინიშნოს, რომ ერთხელ თვითონაც იმავე სიტუაციაში მოვუგე ლევანს. მერე უკეთესი შედეგი ვაჩვენე ბაქოს ტურნირზე, სადაც მე ოქროს მედალი მერგო და იმ მოწინააღმდეგეს ვაჯობე, რომელთანაც ლევანმა წააგო.

**— საერთაშორისო არენაზე უშუალო კონკურენტთა თვალსაზრისით რა მდგომარეობაა?**

— უცხოელთა შორის ევროპაში და, საერთოდაც, ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალა რუსეთის ნაკრების ფალავნები არიან. საინტერესოა, რომ ბოლო ხანს ამ ქვეყნის ნაკრების ბევრი მოჭიდავე (ძირითადად ჩრდილო კავკასიელები) გადაიბირეს აზერბაიჯანელებმა. მეც, მაგალითად, ბაქოს ტურნირის ფინალში აზერბაიჯანის ნაკრების ოსი ეროვნების წევრს ასლან დოგბასოვს ვძლიე. სხვა ქართველ ფალავნებსაც არაერთი დაღესტნელი, თუ ოსი მეტოქე შეხვდათ ამა თუ იმ შეჯიბრებაზე აზერბაიჯანის სახელით.

**— ანთალიის ტურნირზე რატომ არ იასპარეზე?**

— ანთალიის, ისევე როგორც დავით გობეჯიშვილის სახელობის ტურნირებზე, ჭიდაობის ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მაგრამ ხელის ტრავმამ არ მომცა ამის საშუალება. ტრავმა ამჟამად თითქმის მოშუშებული მაქვს და თუ ევროპის ჩემპიონატისათვის ჩვენი ნაკრების მძიმე წონით კატეგორიაში მე მომინევს ჭიდაობა, იმედი მაქვს, გავამართლებ.

**— შეკრებისა და ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისით კმაყოფილი ხარ?**

— შეკრება ნაყოფიერად მიმდინარეობს. ვარიანში უწინაც ვყოფილვართ. ყველა დაუზარლად ემზადება. ყველას გვინდა უახლოეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე გავიმეოროთ შარშანდელი წარმატებები. მოგეხსენებათ შარშან ევროპის ჩემპიონატზე საქართველომ გუნდური პირველობა არავის დაუთმო. ახლა უკვე თბილისში, საკუთარი მაყურებლის თვალწინ შევეცდებით დავიცვათ უძლიერესის სახელი.

**ვასილ ბალახაძე**

ავტორის ფოტოები



გიორგი საკანდელიძე

ჩოგბურთი. ინტერვიუ როჯერ ფედერერთან

# ყველაზე დიადი გამარჯვება



**როლან გაროსის** ფინალური აკორდი დიდხანს ემახსოვრებათ ჩოგბურთის მოყვარულებს. ტურნირმა, რომელიც საკმაოდ მოსაწყენად დაიწყო, ბევრი ამაღელვებელი წუთი აჩუქა გულშემატკივრებს, ყველაფერი კი როჯერ ფედერერის ტრიუმფით დასრულდა.

როჯერ ფედერერი საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულია - ალბათ, გარკვეული დრო დასჭირდება იმას, რომ ამ სიტყვებს მივეჩვიოთ. შვეიცარიელი დიდხანს მიდიოდა ამ ტრიუმფამდე და ბევრს უკვე აღარ ეგონა, რომ როჯერი შეძლებდა თავისი საოცნებო ტურნირის მოგებას.

- ალბათ, ეს ჩემი ყველაზე დიადი გამარჯვებაა კარიერაში. რა თქმა უნდა, ამ ტიტულის მოლოდინი დიდ ტვირთად აწვა ჩემს გონებას. ვფიქრობ, ახლა კარიერის ბოლომდე საკუთარი სიამოვნებისთვის ვითამაშებ და მუდმივად აღარ გავიგონებ ფრაზას იმის შესახებ, რომ როლან გაროსი არასოდეს მომიგია.

**- საინტერესოა, გრძნობდით თუ არა ფინალის წინ დაძაბულობას? გადამწყვეტი მატჩის მსვლელობამ დაგვანახა, რომ პრობლემა არ გქონიათ და ტიტული ძალიან იოლად მოიპოვეთ.**

- რა თქმა უნდა, რთულ მატჩს ველოდი. რობინი ძლიერი ჩოგბურთელია, თანაც გარკვეული ზეწოლაც არსებობდა, რადგან ეს იყო იმ ტურნირის ფინალი, რომელიც აქამდე არასოდეს მქონდა მოგებული. ასე რომ, სრულად ვაცნობიერებდი ამ მატჩის მთელ სირთულეს. კარგი დასაწყისის იმედი მქონდა და გამიმართლა, რის შემდეგაც ყველანაირი ტვირთი მომეხსნა და მეტოქეს ჩემი ჩოგბურთი მოვახვიე თავს. ვფიქრობ, გადამწყვეტი აღმოჩნდა მეორე სეტი. საჭირო იყო, რომ ჩემს მოწოდებაზე მეტოქისთვის შანსი არ მიმეცა და ეს ჩანაფიქრიც განვახორციელე. ამ პარტიაში კარიერაში ჩემი საუკეთესო ტაი-ბრეიკი ვითამაშე, რომლის დროსაც ოთხი ეისის შესრულება შევძელი. და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, მთელი მატჩის განმავლობაში გონებიდან არ მშორდებოდა კითხვა: „რა მოხდება, თუ ამ ტურნირს მოვიგებ? რა უნდა გავაკეთო? რა უნდა ვთქვა?" არ ვიცოდი ამ კითხვებზე პასუხი.

ამ გრძნობას ვერაფერს მოუხერხებთ, მხოლოდ საკუთარ თავთან ლაპარაკს თუ შეძლებთ. როცა შეხვედრას იგებთ, უნებლიეთ იძულებული ხართ ამ ყველაფერზე იფიქროთ. მესამე სეტის დასაწყისში ძალიან ვნერვიულობდი, რადგან გავაცნობიერე, თუ რამდენად ახლოს ვიყავი გამარჯვებასთან. უნდა გავიხსენო ბოლო გეიმი - თქვენ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რამდენად რთული უნდა ყოფილიყო ის ჩემთვის. ამ დროს პრაქტიკულად არ შემეძლო თამაში, მხოლოდ კარგი მოწოდების ან მეტოქის იმედი მქონდა, რომ ის ოთხ შეცდომას დაუშვებდა. ძალიან გამიჭირდა. ასე რომ, ემოციურად უმძიმესი მატჩი გადავიტანე.

**- რამდენად დიდი როლი ითამაშა თქვენს დამაჯერებელ თამაშში იმან, რომ მირკა ფეხმძიმედაა და მალე თქვენს ოჯახში მატება იქნება? მნიშვნელოვანია თუ არა თქვენთვის ამაზე ფიქრი?**

- მიმაჩნია, რომ ეს ორი სხვადასხვა თემაა. პროფესიონალი ჩოგბურთელი სხვა ადამიანია კორტზე და სრულიად განსხვავებული - ცხოვრებაში. მადლობა ღმერთს, რომ მირკა ორივეში მონაწილეობს. რა თქმა უნდა, ძალიან მიხარია, რომ ჩემი მეუღლე შვილს ელოდება. ის თავს შესანიშნავად გრძნობს და მოუთმენლად ველით ბავშვის დაბადებას.

მაგრამ არ ვიცი, რა საერთო აქვს ამ ამბავს როლან გაროსზე გამარჯვებასთან. მე უბრალოდ ბედნიერი ვარ, რომ ახლა ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი სრულ წესრიგშია. ბუნებრივია, შესანიშნავია, რომ ჩემი კარიერის ამ ეტაპზე ასე კარგად აეწყო ყველაფერი. ვფიქრობ, ამისთვის უფრო შესაფერისი დროის გამოძებნა შეუძლებელი იყო.

**- მაკინროის, ედბერგს, სამპრასს არასოდეს მოუგიათ როლან გაროსი. საქმის კურსში ხართ, რომ წლევანდელ ტურნირამდე ბევრმა ექსპერტმა ჩოგბურთელთა ამ კატეგორიას მიგაკუთვნათ. ძალიან სამწუხარო იქნებოდა, თუ თქვენ ამ როლან გაროსს ვერ მოიგებდით...**

- მე ამ მოსაზრებას არასოდეს ვეთანხმებოდი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ მთელი ეს წლები, საფრანგეთის ღია პირველობაზე ტრიუმფის ძალიან ბევრი შანსი გავუშვი ხელიდან და პარიზი უფრო ადრე უნდა დამეპყრო. როგორც მახსოვს, პიტი აქ მხოლოდ ერთხელ იყო ნახევარფინალში, სხვებმა თითოჯერ მიაღწიეს ფინალს. მე კი გადამწყვეტი მატჩი სამჯერ ვითამაშე, ერთხელ ნახევარფინალში ვიყავი. გარდა ამისა, ოთხჯერ მაქვს მოგებული ჰამბურგის მასტერსი, ვთამაშობდი მონაკოსა და რომის ფინალში. ვიცოდი, რომ ერთხელაც რაფა ნადალს არ გადავეყრებოდი ფინალში, მე კი იქ გავაღწევდი და მოვიგებდი. ყოველთვის ვიცოდი ეს და მჯეროდა ამის. და ეს სინამდვილეში მოხდა.

**- ფინალში მოედანზე თქვენი ფანი ვიხილეთ, რომელიც კორტზე შემოიპარა. საკმაოდ არასასიამოვნო ინციდენტი იყო. შეგიძლიათ მოგვიყვეთ, რა გაიფიქრეთ მის დანახვაზე? უსაფრთხოების სამსახურს დიდი დრო დასჭირდა მის შესაჩერებლად.**

- სიმართლე გითხრათ, ზუსტად ვერ მივხვდი რა მოხდა. ჯერ ხალხის ხმაური გავიგონე და შევბრუნდი. სწორედ მაშინ შევამჩნიე, როგორ გადმოლახა ბარიერი. როცა ის გვერდით დავინახე, ოდნავ შევშინდი. ასეთი რამ ადრეც მომხდარა და ამიტომაც პანიკაში არ ჩავვარდნილვარ. უიმბლდონზე მახსოვს ასეთი ეპიზოდი, როცა ორი ბიჭი გამოვარდა კორტზე. ერთხელ მსგავსი რამ მონრეალში მოხდა, როცა როდიკთან წავაგე მატჩი, რომელშიც კლასიფიკაციის პირველი ჩოგნის ბედი ირკვეოდა. ასე რომ, ასეთი რამ პირველად არ მინახავს. ჩვეულებრივ, ისინი შემხედავენ და შემდეგ გარბიან. ჩემთვის ეს სამწუხაროა, რადგან მათ აქვთ ასეთი საქციელის მიზეზი, რომელიც ჩვენ არ გვესმის.

ეს ინგლისელი საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურებოდა. შემომხედა და წავიდა. მე რატომღაც ცუდ განწყობაზე დავდექი იმის გამო, რაც გავაკეთე. დაახლოებით ასეთი ტიპის ჟესტი ვაჩვენე: „ო ქეი, ოღონდ მე არ შემეხო". მომეჩვენა, რომ ჩემთვის რაღაცის გადმოცემა უნდოდა. მაშინვე დავწყნარდი, რადგან დავრწმუნდი, რომ რაიმე სისულელის ჩადენა არ ჰქონდა განზრახული.

როგორც ჩანს, დისკომფორტი ვიგრძენი, რადგან ძალიან ახლოს მოვიდა ჩემთან. თუ იმ ეპიზოდს გავიხსენებთ, მან ოდნავ ამომაგდო რიტმიდან. გავიფიქრე კიდეც - ტაიმაუტი ხომ არ მოვითხოვო და ორი-სამი წუთი სკამზე დავჯდე.... ვაღიარებ, რომ ეს სახიფათო შეხება იყო.

## ფედერერი და როლან გაროსი. ციფრები

1 - **როჯერ ფედერერმა** 27 წლის ასაკში პირველად მოიგო როლან გაროსი.

2 - შვეიცარიელს აქამდე არასოდეს მოუგია „დიდი სლემის" ტურნირი, რომლის მსვლელობისას ორჯერ მოუწია ხუთსეტიანი მატჩის ჩატარებამ. წლევანდელ როლან გაროსზე როჯერმა მეოთხე წრეში **ტომი ჰაასი** დაამარცხა 6:7, 5:7, 6:4, 6:0, 6:2, ნახევარფინალში კი **ხუან მარტინ დელ პოტროს** სძლია - 3:6, 7:6, 2:6, 6:1, 6:4.

6 - როჯერ ფედერერი „დიდი სლემის" ყველა ტიტულის მქონე მეექვსე ჩოგბურთელი გახდა. მანამდე ასეთივე მიღწევა ჰქონდათ - **ფრედ პერის** (1933-36, ავსტრალია - 1, როლან გაროსი - 1, უიმბლდონი - 3, აშშ - 3), **დონალდ ბაჯს** (1937-38, ავსტრალია - 1, როლან გაროსი - 1, უიმბლდონი - 2, აშშ - 2), **როდ ლეივერს** (1960-69, ავსტრალია - 3, როლან გაროსი - 4, უიმბლდონი - 2, აშშ - 2), **როი ემერსონსა** (1961-67, ავსტრალია -6, როლან გაროსი - 2, უიმბლდონი - 2, აშშ - 2) და **ანდრე აგასის** (1992-2003, ავსტრალია - 4, როლან გაროსი - 1, უიმბლდონი - 1, აშშ - 2).

8 - როჯერ ფედერერი ერთ-ერთია იმ რვა ჩოგბურთელთაგან, რომლებიც მინიმუმ ოთხჯერ გადიოდნენ როლან გაროსის ფინალში. ისევე, როგორც მისმა წინამორბედებმა, ბოლოს მანაც მოახერხა ამ ტიტულის მოგება.

10 - შვეიცარიელმა **რობინ სოდერლინგის** წინააღმდეგ გამართული ათივე მატჩი მოიგო.

11 - როჯერ ფედერერმა მე-11 ცდაზე მოიგო როლან გაროსი, ისევე როგორც 1999 წელს, ანდრე აგასიმ.

14 - როჯერმა „დიდი სლემის" ტიტულების რაოდენობით ლეგენდარული ამერიკელის **პიტ სამპრასის** რეკორდი გაიმეორა. 1990-2002 წლების პერიოდში სამპრასმა მოიგო: ორჯერ ავსტრალიის ღია პირველობა, შვიდჯერ - უიმბლდონი და ხუთჯერ - აშშ-ის ღია პირველობა. ფედერერმა 2003-09 წლებში სამჯერ მოიგო ავსტრალია, ერთხელ - როლან გაროსი, ხუთჯერ - უიმბლდონი და ხუთჯერ - აშშ-ის ღია.

59 - ფედერერმა კარიერაში 59-ე ტიტული მიითვალა და ამ მაჩვენებლით ისტორიაში მეექვსე ადგილს იკავებს. 60 ტიტულით მეშვიდეზე ანდრე აგასი იმყოფება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

სხვადასხვა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

## ივანოვიჩმა მწვრთნელი დაითხოვა

სერბმა ჩოგბურთელმა **ანა ივანოვიჩმა** ოთხთვიანი თანამშრომლობის შემდეგ ურთიერთობა გაწყვიტა მწვრთნელ **კრეიგ კარდონთან**.

*„მინდა კრეიგს გაწეული სამუშაოსთვის მადლობა გადავუხადო, - განაცხადა ანამ. - ის შესანიშნავი ადამიანია და მომწონდა მასთან ერთად ვარჯიში".*

ადრე კარდონი ჩოგბურთის ისეთ ვარსკვლავებთან მუშაობდა, როგორებიც იყვნენ **მარტინა ნავრატილოვა, ლინდსი დავენპორტი** და **ჯენიფერ კაპრიატი**.

როლან გაროსის შარშანდელმა ჩემპიონმა ივანოვიჩმა საფრანგეთის ღია პირველობაზე ნაადრევი ეტაპიდან გამოთიშვის შემდეგ, რეიტინგის საუკეთესო ათეული დატოვა და ახლა, მე-13 ადგილს იკავებს. ანას უიმბლდონისთვის **სვენ გრონეველდი** მოამზადებს, რომელიც სერბთან 2008 წელს მუშაობდა.

## ფერეროს უიმბლდონის უაილ-ქარდი ერგო

ესპანელმა ვეტერანმა **ხუან კარლოს ფერერომ** უიმბლდონის ორგანიზატორებისგან უაილ-ქარდი მიიღო, - იტყობინება სააგენტო „როიტერი". როლან გაროსის 2003 წლის ჩემპიონის გარდა, „დიდი სლემის" რიგით მესამე ტურნირში სათამაშოდ მიწვეულია უიმბლდონის იუნიორთა ტურნირის 2008 წლის გამარჯვებული, ბულგარელი **გრიგორ დიმიტროვი**, რომელმაც გასულ წელს, ასევე იუნიორებში აშშ-ის ღია პირველობა მოიგო.

ქალებს შორის უაილდ-ქარდის მფლობელი გახდა 15 წლის ბრიტანელი **ლორა რობსონი** - იუნიორთა უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონი. ეს მისთვის „დიდი სლემის" პირველი ტურნირი იქნება უფროსთა კატეგორიაში. ასევე ითამაშებს წლევანდელ უიმბლდონზე ამერიკელი **ალექსა გლეტჩი**.

## ჰაასი დევისის თასზე არ იქნება

გერმანული ჩოგბურთის ვეტერანი **ტომი ჰაასი** მონაწილეობას არ მიიღებს დევისის თასის მეოთხედფინალურ მატჩში, რომელშიც გერმანიის ნაკრები მოქმედ ჩემპიონ ესპანეთს შეხვდება.

*„ესპანეთში თიხნარზე მოგვიწევს თამაში და მარათონულ მატჩებს ჩემი ორგანიზმი ვერ გაუძლებს. პირენეებიდან აუცილებლად ტრავმით დავბრუნდები",* - განაცხადა ჰალეში მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში გამარჯვების შემდეგ ჰაასმა. შეგახსენებთ, რომ ტომიმ დევისის თასის მერვედფინალური მატჩიც გამოტოვა, რომელშიც გერმანია ავსტრიის ნაკრებს ხვდებოდა. მაშინ ჰაასს მხრის ტრავმა აწუხებდა.

ოლიმპიზმი

## ბილეთებზე დიდი მოთხოვნილებაა

2010 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა გასაყიდად გამოიტანეს ვანკუვერის თამაშების ჰოკეის ტურნირის ფინალის ბილეთების ნაწილი. დაახლოებით 3 ათასი ბილეთი რამდენიმე წუთში მთლიანად გაიყიდა.

ამ დღეებში, საორგანიზაციო კომიტეტმა სარეალიზაციო ქსელში სხვადასხვა ტურნირზე დასასწრები 200 ათასი ბილეთი გაავრცელა. აღსანიშნავია, რომ პირველ 15 წუთში ორგანიზატორებმა 22 ათასი შეკვეთა მიიღეს.

ბილეთების მორიგი სერიის რეალიზაცია შემოდგომაზეა დაგეგმილი.

### რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 13 140 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 11 070 |
| 3(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 9 230 |
| 4(4). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 8 020 |
| 5(5). ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 5 480 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 4 400 |
| 7(7). ჟილ სიმონი (საფ) | 3 970 |
| 8(8). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 710 |
| 9(9). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 3 510 |
| 10(12). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 3 165 |
| 11(11). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3 155 |
| 12(25). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 2 825 |
| 13(13). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 870 |
| 14(10). გაელ მონფილსი (საფ) | 2 610 |
| 15(17). ტომი რობრედო (ესპ) | 2 580 |
| 16(16). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2 390 |
| 17(15). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2 385 |
| 18(14). დავიდ ფერერი (ესპ) | 2 130 |
| 19(18). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 095 |
| 20(21). რიშარ გასკე (საფ) | 1 925 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 4 248 648 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 3 478 676 |
| 3. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 992 858 |
| 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 841 023 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 1 190 384 |
| 6. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 1 180 233 |
| 7. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 995 568 |
| 8. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 858 501 |
| 9. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 853 591 |
| 10. ტომი რობრედო (ესპ) | 786 573 |
| 11. დავიდ ფერერი (ესპ) | 726 784 |
| 12. ჟო-ვილფრედ ცონგა (საფ) | 650 154 |
| 13. ნენად ზიმონიჩი (სერ) | 641 907 |
| 14. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 584 093 |
| 15. გაელ მონფილსი (საფ) | 572 051 |
| 16. დანიელ ნესტორი (კან) | 550 384 |
| 17. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 537 267 |
| 18. ჟილ სიმონი (საფ) | 530 599 |
| 19. მარდი ფიში (აშშ) | 513 490 |
| 20. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 506 714 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). დინარა საფინა (რუს) | 9 801 |
| 2(2). სერენა უილიამსი (აშშ) | 8 158 |
| 3(3). ვენუს უილიამსი (აშშ) | 7 217 |
| 4(4). ელენა დემენტიევა (რუს) | 6 591 |
| 5(7). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 6 191 |
| 6(5). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 6 100 |
| 7(6). ვერა ზვონარევა (რუს) | 5 360 |
| 8(9). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 4 746 |
| 9(10). კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 4 350 |
| 10(11). ნადია პეტროვა (რუს) | 3 760 |
| 11(12). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 411 |
| 12(13). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 285 |
| 13(8). ანა ივანოვიჩი (სერ) | 3 172 |
| 14(19). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 3 065 |
| 15(14). ფლავია პენეტა (იტა) | 2 860 |
| 16(15). ჟიე ჟენგი (ჩინ) | 2 603 |
| 17(16). ამელი მორესმო (საფ) | 2 549 |
| 18(32). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 2 428 |
| 19(20). ა. მედინა გარიგესი (ესპ) | 2 140 |
| 20(25). ნა ლი (ჩინ) | 2 114 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. დინარა საფინა (რუს) | 2 825 79 |
| 2. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 243 84 |
| 3. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2 240 85 |
| 4. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1 563 69 |
| 5. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 184 84 |
| 6. ვენუს უილიამსი (აშშ) | 902 18 |
| 7. კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 867 48 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუს) | 701 23 |
| 9. სამანტა სტოსური (ავსტრა) | 616 10 |
| 10. ანა ივანოვიჩი (სერ) | 565 73 |
| 11. ა. მედინა გარიგესი (ესპ) | 542 32 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 535 66 |
| 13. დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 535 03 |
| 14. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 475 46 |
| 15. ვირჟინ რაზანო (საფ) | 407 66 |
| 16. პატი შნიდერი (შვეიც) | 394 85 |
| 17. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 379 09 |
| 18. ლიზელ ჰუბერი (აშშ) | 371 56 |
| 19. ელენა ვესნინა (რუს) | 362 53 |
| 20. მარიონ ბარტოლი (საფ) | 353 64 |

ფორმულა 1

# ფორმულაში კალათბურთელი, ქალი და FACEBOOK მოდიან



ფორმულა 1-ის სამყარო მოუთმენლად ელის 12 ივნისს. სწორედ ამ დღეს უნდა დაასახელოს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (FIA) 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ წლევანდელ პირველობაში მოასპარეზე ათიდან რვა საჯინიბო არ აპირებს ახალი წესებით FIA-ს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებას, ფორმულა 1-ის ექსპერტები მოვლენათა განვითარების ოთხ ვერსიას ასახელებენ...

1. მონაწილეთა სიაში მოხვდებიან „უილიამსი" და „ფორს ინდია" - ორი გუნდი, რომელმაც უკვე შეიტანა ფედერაციაში საგაისო განაცხადი; ამ დუეტს დაემატება 11 ახალი საჯინიბო. ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციის (FOTA) წევრთა პირობითი განაცხადები უარყოფილი იქნება.

2. სიაში მოხვდებიან „უილიამსი", „ფორს ინდია", „ბრაუნ გრან-პრი", „რედ ბული" და „ტორო როსო", იმ პირობით, რომ ეს სამი გუნდი 12 ივნისისთვის ფედერაციაში „ნამდვილ" განაცხადს შეიტანს. თუმცა ასეთი ვარიანტი ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან „ბრაუნ გრან-პრის" შეფმა **როს ბრაუნმა** სტამბოლში განაცხადა, რომ ბოლომდე FOTA-ს ერთგული იქნება. ამ შემთხვევაშიც არ გაითვალისწინებენ FOTA-ს წევრთა პირობით განაცხადებს.

3. სიაში მოხვდება ყველა მოქმედი გუნდი, რომლებსაც FIA-სთან კონტრაქტი აკავშირებთ, რაც ჩემპიონატში 2012 წლამდე გამოსვლას ითვალისწინებს. დანარჩენ ვაკანსიებს ახალი გუნდები შეავსებენ.

4. მოსლი დაეთანხმება FOTA-ს მოთხოვნებს და 2010 წლის ჩემპიონატის რეგლამენტის კორექტირებას მოახდენს. ამ შემთხვევაში ყველა მოქმედი გუნდი დარჩება და მათ სამი ახალი საჯინიბო დაემატება.

■ ■ ■

საუკეთესო ვარიანტი, რა თქმა უნდა, მეოთხეა. ამ შემთხვევაში საინტერესო ის არის, რომელი სამი ახალი საჯინიბო შეავსებს ფორმულა 1-ის სასტარტო ბილიკს. პრეტენდენტთა სია საკმაოდ დიდია და უპრიანი იქნება მისი გაცნობა, რადგან გამორიცხული არ არის, რომ FOTA-სა და FIA-ს შორის მოლაპარაკებების ჩიხში შესვლის შემთხვევაში, ყველა პრეტენდენტს მოუწიოს ახალ ფორმულა 1-ში მონაწილეობამ.

## CAMPOS META 1 (ესპანეთი)

ამ გუნდის სულისჩამდგმელია ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი **ადრიან კამპოსი**, რომელმაც თავის დროზე, **ფერნანდო ალონსო** აღმოაჩინა და ის დაბალ სერიებში მიიწვია. პროექტის დაფინანსებას მექსიკელები და NBA-ის ვარსკვლავი **პაუ გასოლი** აპირებენ.

## PRODRIVE (ბრიტანეთი)

ფორმულას ყოფილი გუნდის BAR-ის ექს-შეფი **დევიდ რიჩარდსი** Prodrive-ით აპირებს სამეფო რბოლებში დაბრუნებას. ამ საჯინიბოს დაფინანსებას ახლო აღმოსავლეთის კომპანია Dar ჰპირდება, რომელიც ფინანსური საქმიანობით, ლოჯისტიკითა და უძრავი ქონებით არის დაკავებული.

## USF1 (აშშ)

ამერიკული საჯინიბო ფორმულა 1-ში გამოსასვლელად ინვესტორების ძიებაშია. იმ შემთხვევაში, თუ სამეფო რბოლებში მონაწილეობის უფლებას მიიღებს, USF1 მზად არის ერთი ბოლიდის საჭე ქალს - ამერიკელ ავტომრბოლ **დანიკა პატრიკს** დაუთმოს.

## LITESPEED (ბრიტანეთი)

ეს გუნდი ბრიტანულ F3-ში ერთი წლის წინ გამოჩნდა. მისი ფორმულა 1-ისთვის მომზადება „ტოიოტას" ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა **მაიკ გასკოინმა** ითავა. ამასთან, Litespeed 60-70-იან წლებში ფორმულა 1-ის ცნობილი გუნდის „ლოტუსის" სახელის გამოყენებას აპირებს.

## SUPERFUND (ავსტრია)

თუ გუნდი ფორმულა 1-ის საგზურს მოიპოვებს, მისი ბოსი ფორმულას ყოფილი პილოტი **ალექს ვიურცი** გახდება. პროექტის დასპონსორებას ავსტრიაში აპირებენ - ამას საინვესტიციო კომპანია Superfund აიღებს საკუთარ თავზე.

## LOLA (ბრიტანეთი)

მრავალი წლის განმავლობაში Lola შასით ამარაგებდა ფორმულა 1-ის გუნდებს. 1997 წელს დამოუკიდებელი საჯინიბოს რანგში გამოსვლა დააპირა, მაგრამ აბსოლუტურად არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ავსტრალიის გრან-პრიზე კვალიფიკაცია ვერ გაიარა და მომავალ რბოლებში მონაწილეობა იუარა.

## EPSILON EUSKADI (ესპანეთი)

ეს სარბოლო გუნდი „რენოს" მსოფლიოს სერიასა და „ლე მანის 24 საათში" გამოდის. მის ხელმძღვანელობას სერიოზულად აქვს განზრახული ფორმულა 1-ის ჩემპიონატში მონაწილეობა.

## MARCH (ბრიტანეთი)

ფორმულა 1-ში შეიძლება დაბრუნდეს March-ი. ეს გუნდი ჩემპიონატში 1970 წელს გამოჩნდა და მაშინვე მესამე ადგილი დაიკავა კონსტრუქტორთა თასზე. ამის შემდეგ, მისი გამოსვლა ნაკლებად წარმატებული იყო - 3 მოგება, 21 პოდიუმი და ბოლო სტარტი 1992 წელს.

## N. TECHNOLOGY (იტალია)

ეს იტალიური საჯინიბო ფორმულას დაბალ სერიებში გამოდის. ჯერჯერობით უცნობია სპონსორებისა და ძრავების მომწოდებელი კომპანიის ვინაობა.

## MYF1DREAM

2010 წლის ჩემპიონატში გამოსვლაზე განაცხადი შეიტანა გუნდმა, რომელიც Facebook-ის სოციალური ქსელის მომხმარებელთა მიერ არის დაფუძნებული. გუნდის დაფინანსება საწევრო შენატანებითა და საერთაშორისო სოციალური ორგანიზაციების დახმარებით მოხდება.

კალათბურთი

# ცსკა რიგითი გუნდი გახდება



მოსკოვის ცსკა-ს ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან ევროპის ერთ-ერთი წამყვან კლუბს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. 40 წლის **ევგენი პაშუტინი** იტალიელ **ეტორე მესინას** შეცვლის, რომელიც ბოლო ოთხი წელი ავარჯიშებდა არმიელთა კლუბს და ამ დროის განმავლობაში ორჯერ მოაგებინა ევროლიგა.

პაშუტინი ცსკა-ს პირველი რუსი მწვრთნელია 2002 წლის შემდეგ, როცა გუნდს **ვალერი ტიხონენკო** ედგა სათავეში. იქიდან მოყოლებული, არმიელ კალათბურთელებს ჯერ **დუშან ივკოვიჩი**, შემდეგ კი მესინა წვრთნიდა.

მწვრთნელის შეცვლასთან ერთად, იცვლება კლუბის საკადრო პოლიტიკა. ცსკა-ში მკვეთრად შემცირდება სახელფასო ბიუჯეტი და ამის გამო, გაისად შემადგენლობის ძირითად ნაწილს რუსი კალათბურთელები დააკომპლექტებენ. არადა, გასული შვიდი წელი, ამ გუნდმა ევროპაში წამყვანი პოზიციები თავისი ლეგიონერებისა და დიდი ბიუჯეტის ხარჯზე მოიპოვა.

ჯერჯერობით გაურკვეველია მესინას ბედი. ცსკა-მ მას კონსულტანტის თანამდებობა შესთავაზა, მაგრამ ეს ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა, რადგან იტალიელ სპეციალისტს რამდენიმე ევროპული გრანდი ეპატიჟება, მათ შორის მადრიდის „რეალის" ახალი პრეზიდენტი **ფლორენტინო პერესი**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ბოსნია-ომანი | 2:1 |
| ერაყი-პოლონეთი | 1:1 |
| აზერბაიჯანი-ესპანეთი | 0:6 |

**აზერბაიჯანი:** ვალიევი, მაჰარამოვი, სადიგოვი, იუნისოღლუ, მალიკოვი, შუქუროვი, აბასოვი, ზეინალოვი, ჰუსეინოვი, შუბაშიჩი (46. ნადიროვი), ახტიამოვი.

**ესპანეთი:** კასილიასი (46. რეინა), არბელოა (46. სერხიო რამოსი), მარჩენა, ალბიოლი (71. პუიოლი), კაპდევილია, ჩაბი ალონსო, ფაბრეგასი (46. ჩავი), კასორლა (67. გუისა), რიერა, ვილია (46. ბუსკეტსი), ფერნანდო ტორესი.

**გოლები:** 0:1 ვილია (34), 0:2 ვილია (38), 0:3 ვილია (45-პენ), 0:4 რიერა (67), 0:5 გუისა (71), 0:6 ფერნანდო ტორესი (87)

**მაყურებელი:** 20 000

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ბელარუსი-მოლდოვა | 2:2 |
| დანია-იტალია (U23) | 0:4 |
| შვედეთი-ესტონეთი | 2:1 |

**ევრო 2011**

**UNDER 21**

| | |
|---|---|
| ფარერები-რუსეთი | 1:0 |
| სომხეთი-თურქეთი | 2:5 |
| პოლონეთი-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| სან მარინო-ჩეხეთი | 0:8 |
| უკრაინა-მალტა | 1:0 |

**ნორვეგია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჰამა კამი-ჰაუგესუნდი | 1:2 |

### კალათბურთი

**ევრობასკეტი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| თურქეთი-სერბეთი | 65:55 |
| ჩეხეთი-უკრაინა | 79:77 |
| ბელარუსი-იტალია | 58:67 |
| ესპანეთი-სლოვაკეთი | 71:54 |
| პოლონეთი-უნგრეთი | 60:53 |
| საფრანგეთი-ისრაელი | 73:70 |
| ლატვია-საბერძნეთი | 70:68 (ო) |
| ლიტვა-რუსეთი | 52:60 |

**გერმანია**

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ტელეკომი-ალბა | 52:62 |

**[illegible]**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ლე მანი-ორლეანი | 71:61 |

### ჩოგბურთი

**ATP. ჰალე**

| | |
|---|---|
| ზვერევი-სირიანი | 6:2, 6:4 |
| მელცერი-კლემანი | 1:6, 6:3, 6:2 |
| ცონგა-სანტორო | 7:5, 6:2 |
| ვერდასკო-პეტშნერი | 6:3, 6:7, 4:6 |
| ჯოკოვიჩი-ბოლელი | 7:5, 6:2 |
| ო. როხუსი-ვისენტე | 6:0, 6:0 |
| კოლშრაიბერი-ფაუ | 6:4, 6:2 |
| ბეკი-კ. როხუსი | 6:3, 6:1 |
| კიფერი-ტროიცკი | 6:2, 6:1 |

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| გულბისი-მარტინი | 6:7, 4:6 |
| დარცისი-კაპდევილე | 3:6, 6:3, 6:4 |
| ფერერო-გროსჟანი | 6:2, 6:1 |
| ბენეტო-კოლერერი | 6:3, 6:4 |
| კარლოვიჩი-გაბაშვილი | 6:3, 7:6 |
| როდიკი-ვლიეგენი | 6:1, 6:4 |
| ფიში-ლოდრა | 5:7, 7:6, 6:3 |
| ბლეიკი-ლუბიჩიჩი | 6:2, 7:6 |
| ფ. ლოპესი-ისტომინი | 7:6, 4:6, 7:6 |
| კუერი-ანდერსონი | 7:5, 6:3 |
| მონფილსი-გოლუბევი | 6:3, 3:6, 7:6 |

**WTA. ბირმინგემი**

| | |
|---|---|
| ვოგელი-გალიქსონი | 3:6, 6:4, 7:5 |
| გორგესი-როდიონოვა | 6:4, 6:2 |
| მირზა-პუჩეკი | 6:1, 6:2 |
| ჩინკი-პარა სანტონხა | 6:4, 6:3 |
| კეოტავონგი-არვიდსონი | 6:2, 6:2 |
| კორიტცევა-ფედოსოვა | 4:6, 6:4, 6:2 |
| მორიტა-სტრიუკოვა | 5:7, 6:3, 3:6 |
| ჩეტკოვსკა-ფორეცი | 7:6, 6:3 |

TV პროგრამა

### 10 ივნისი. ოთხშაბათი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:45 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
08:40 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
10:10 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-ავსტრია.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
14:10 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რომა-კლუჟი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 მინი-ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი.
17:05 ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
18:35 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-ლიხტენშტაინი.
20:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:55 საფეხბურთო პროგრამა.
21:25 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი (LIVE).
23:25 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
00:30 სასტვენი.
01:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:15 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-ანდორა.
03:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ფინეთი-რუსეთი.
04:45 მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პარაგვაი (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 ტრიატლონი. ესპანეთი.
11:10 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. სერბეთი-ავსტრია.
12:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-დანია.
13:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-თურქეთი.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-ბაჰრეინი (LIVE).
16:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. IV ეტაპი (LIVE).
19:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. III დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).
22:35 ავტოსპორტი. ლე მანის სერია. მიმოხილვა.
22:50 მულტისპორტი.
22:55 ცხენოსნობა. ერთა თასი. სენტ გალენი. შვეიცარია.
23:55 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
00:00 გოლფი. ევროპის ტური.
00:30 გოლფ-კლუბი.
00:35 აფროსნობა. როლექსის თასი.
01:05 აფროსნობა. რეგატა. Volvo Ocean. ტელეჟურნალი.
01:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:45 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
02:40 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-ბაჰრეინი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 რაგბი. მსოფლიოს ჩემპიონატი (ახალგაზრდები). ირლანდია-ახალი ზელანდია. იაპონია.
13:00 ახალი ამბები.
13:30 კრიკეტი. World Twenty 20. ჯგუფური ტურნირი. ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა. ბრიტანეთი.
14:30 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩები.
16:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ს. კორეა-ს. არაბეთი (LIVE).
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-ბაჰრეინი.
19:00 სპიდვეი. გრანპრი. შვედეთი.
20:00 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. თავისუფალი პრაქტიკა. საფრანგეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:15 ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. თავისუფალი პრაქტიკა. საფრანგეთი (LIVE).
02:00 ახალი ამბები.

კალათბურთი

# მაიამიმ კიდი მიიწვია

„მაიამი ჰიტმა" ახალი სეზონისთვის „დალას მავერიქსის" გამთამაშებლის **ჯეისონ კიდის** შეძენა განიზრახა. ვეტერანი მცველი 1 ივლისიდან თავისუფალი აგენტი ხდება და „ჰიტის" ხელმძღვანელობას საშუალება აქვს კალათბურთელს წელიწადში 5 მილიონი დოლარის ოდენობის ხელფასი შესთავაზოს.

ასე რომ, ჯეისონმა, რომელმაც გასულ სეზონში საშუალოდ 9.0 ქულა და 8.7 შედეგიანი გადაცემა დააგროვა, შესაძლოა, ძლიერი ტანდემი შექმნას ამერიკის ნაკრებში თავის თანაგუნდელთან **დუეინ უეიდთან**.

■ ■ ■

მომავალი სეზონისთვის მნიშვნელოვნად აპირებს შემადგენლობის გაძლიერებას საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი". ამ გუნდის ხელმძღვანელობა თავის რიგებში იწვევს „ჩიკაგო ბულზის" ერთ-ერთ ლიდერს **ბენ გორდონს**, რომელსაც ბრიტანეთის პასპორტი აქვს და შესაბამისად, საბერძნეთის ჩემპიონატში ლეგიონერად არ ჩაითვლება.

„ოლიმპიაკოსი" გორდონს **ლინ გრირის** შემცვლელად მოაიზრებს, რომელსაც 1 ივლისს უმთავრდება კლუბთან კონტრაქტი. თუმცა, „ჩიკაგოს" მთავარი მწვრთნელი **ვინი დელ ნეგრო** პრიორიტეტულ ამოცანად სწორედ ბენ გორდონის შენარჩუნებას ასახელებს. ეს კალათბურთელი რეგულარულ ჩემპიონატში 20.7 ქულას აგროვებდა, პლეი ოფში კი მისმა მონაგარმა 24.3 ქულა შეადგინა.

ვარსკვლავები მოედნებს მიღმა




# მის მსოფლიო კრისტიანო რონალდო

ალბანელმა გულშემატკივრებმა გასული წლის საუკეთესო ფეხბურთელი, პორტუგალიელი **კრისტიანო რონალდო** 2010 წლის "მის მსოფლიოს" ტიტულით დააჯილდოეს. ეს ბანერი ალბანეთისა და პორტუგალიის შესარჩევი მატჩის დროს ტრიბუნაზე გამოფინეს. გულშემატკივრებმა კრისტიანოს ისეთი გვირგვინი დაადგეს თავზე, როგორსაც, ჩვეულებრივ, სილამაზის კონკურსების გამარჯვებულებს ახურავენ ხოლმე.

ალბანეთი-პორტუგალიის შეხვედრა 1:2 დასრულდა. სტუმრებმა გამარჯვების გოლი მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში გაიტანეს. რონალდომ მინდორზე 90 წუთი ითამაშა.

ალბანეთთან მატჩამდე, პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ტრადიციისამებრ სარდინიაზე მოიწყო ერთკვირიანი არდადეგები. შარშან, რონალდო აქ ესპანელ მოდელ **ნერეიდა გალიარდოსთან** ერთად ისვენებდა. ამჯერად, თითქოს მარტო ჩავიდა კუნძულზე, მაგრამ ადგილზე კრისტიანოს გარშემო ორკაციანი კომპანია გამოიკვეთა: უცნობი ქალბატონი და ასაკოვანი მელოტი კაცი, რომელიც რონალდოს საკუთარი შვილივით უვლიდა.





# კინოვარსკვლავი ანჩელოტი

როგორც აღმოჩნდა, "ჩელსის" ახალი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** ახალგაზრდობაში კინოში თამაშობდა. მან მონაწილეობა მიიღო სამი ფილმის გადაღებებში, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი გახდა 1983 წელს შექმნილი სურათი - "დონ კამილო".

"მილანის" ყოფილი დამრიგებელი საფეხბურთო მატჩის სცენაში გადაიღეს ის დემონების გუნდში ირიცხებოდა და ანგელოზების წინააღმდეგ თამაშობდა. მიხვდით, ალბათ, რომ კარლო უარყოფით პერსონაჟს ასახიერებდა. მთავარი გმირი კი ლეგენდარული იტალიელი მსახიობი **ტერენს ჰილი** (ნამდვილი სახელი - **მარიო ჯიროტი**) იყო.

*"ეს იყო მატჩი დემონებსა და ანგელოზებს შორის, -* მოუყვა გაზეთ "სანს" ანჩელოტიმ. - *გამიხარდა ამ ფილმში მონაწილეობის მიღება. მაშინდელი სამუშაოსგან სასიამოვნო მოგონებები დამრჩა, თუმცა ტერენს ჰილს სულ ხუთი წუთი ველაპარაკე".*

ანჩელოტი 25 წელია **ლუიზა ჯიბელინის** ქმარია, რომლისგანაც ორი შვილი ჰყავს - **კატია** და **დავიდე**. ეს უკანასკნელი "მილანის" ახალგაზრდული გუნდის წევრი იყო, ახლა კი სერია D-ში თამაშობს. სწორედ ლუიზაა გამოსახული მეორე ფოტოზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბეკერი უიმბლდონზე

ლეგენდარულმა გერმანელმა ჩოგბურთელმა **ბორის ბეკერმა** ლონდონში, უიმბლდონის უბანში სახლი შეიძინა, რომელიც სულ რამდენიმე ასეული მეტრით არის დაშორებული უიმბლდონის ცნობილი საჩოგბურთო სტადიონისგან.

*"ლონდონი ციურიხის შემდეგ, ჩემი მეორე სახლია,* - განაცხადა 41 წლის ბეკერმა, რომელიც 12 ივნისს ჰოლანდიელ ტოპმოდელ **ლილი კერსენბერგზე** (ფოტოზე) ქორწინდება. - *ჩემი ქალიშვილი ლონდონში ცხოვრობს და მნიშვნელოვანია, რომ მასთან ახლოს ვიქნები".*

გერმანელს მხედველობაში ჰყავს ქალიშვილი **ანა**, რომლის დედაც რუსი **ანჯელა ერმაკოვაა**.

გვერდი მოამზადა **გია თვალაბეიშვილმა**





# ეტყობა, ბევრს უხდიან

სენეგალელმა ფორვარდმა **ელ ჰაჯი დიუფმა** 420 ათას ფუნტად Mercedes-Benz SLR McLaren შეიძინა და ახლა ავტოფარეხში ოთხი მანქანა ჰყავს. აფრიკელმა "მერსედესი" "რეინჯ როვერს", "ლინკოლნ ნავიგატორსა" და "კადილაკ ესკალეიდს" მიუყენა გვერდით. ცნობისთვის: დიუფი წელს 14-ჯერ გავიდა მოედანზე და ერთი გოლი გაიტანა.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge